

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

იზა ნათელაური

საბარეო ეკონომიკური კომპლექსის
ფუნქციონირება და განვითარება

გარდამავალ ქვეყანაში
მცირე ღია ეკონომიკით
(საქართველოს მაგალითზე)

„მეცნიერება“
თბილისი, 2004

უაპ (საიკ) 339 (035.5)

6 192

© იზა ნათელაური

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი: ცისანა კარგოზია

0604000000
6
M 607(06)2004

ISBN 99928-0-825-X

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლია დარბაიძე

მ. პ. ს. გამომცემლობა „მერიდიანს“
თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 147

წიგნში განხილულია გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის, მცირე ღია ეკონომიკაზე ორიენტირებულ ქვეყანაში საქართველოში საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირებისა და განვითარების თავისუფლებები. გაანალიზებულია საგარეო ეკონომიკური კავშირების ფორმები და მართვა-რეგულირების მეთოდები, გამოკვლეულია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მიმართულებები და მონაწილეები.

შემოთავაზებულია საგარეო ვაჭრობის თეორიების ეკონომიკურ-მათემატიკური ფორმალიზაცია.

გამახვილებულია ყურადღება საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ ისეთ ფაქტორებზე საქართველოში, როგორცაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის დაჩქარებული რეფორმირების აუცილებლობა; დაძაბული სოციალური ფონი; ეკონომიკური სისტემის რეფორმირების გაჭიანურება; უცხოეთის ქვეყნებზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდა; ფართო მოხმარების საქონელის იმპორტის, საგარეო ვალების, გრანტების, მიგრანტთა ტრანსფერების მნიშვნელობის ზრდა; ყოველივესადმი ერთის მხრივ საზოგადოების დამოკიდებულება და მეორეს მხრივ პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია.

წიგნი განკუთვნილია საგარეო ეკონომიკური კავშირების მკვლევარი და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

- რედაქტორი:** გიორგი წერეთელი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- რეცენზენტები:** კლიმენტი აჩელაშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- არჩილ თეთრაული - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
- ზურაბ რევიშვილი - ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

შინაარსი

- I. საბარაო ეკონომიკური კომპლექსი. 12
 - I.1. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის არსი და აუცილებლობა. . 12
 - I.2. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ზოგადი დახასიათება. . 17

- II. საბარაო ეკონომიკური კავშირების ბრალისიული ფორმები. 22
 - II.1. საგარეო ვაჭრობა. . 22
 - II.1.1. საგარეო ვაჭრობის კლასიკური მოდელები. . 23
 - II.1.2. საგარეო ვაჭრობის ნეოკლასიკური მოდელები. . 30
 - II.1.3. საგარეო ვაჭრობის ალტერნატიული მოდელები. . 35
 - II.1.4. პარადოქსი და რევერსები საგარეო ვაჭრობაში. . 38
 - II.2. მომსახურებით საგარეო ვაჭრობა. საგრანსპორტო მომსახურება. საერთაშორისო გურიზმი. . 40
 - II.3. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა. . 44

- III. საბარაო ეკონომიკური კავშირების ახალი ფორმები. 46
 - III.1. დარგობრივი თანამშრომლობის პირდაპირი კავშირები. საზღვარგარეთის ქვეყნებთან სანაპირო-სასაზღვრო ვაჭრობა. . 46

III.2. ერთობლივი საწარმოები. . 49	
III.2.1. ერთობლივი საწარმოების არსი და მიზანი. . 49	
III.2.2. პარგნიორის შერჩევა, მთლიანობა რეალურ პარგნიორთან, წინასწარი შეთანხმება და წინადადებების მომზადება ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ. . 53	
III.2.3. ერთობლივი საწარმოს დამუშა- ნებელი დოკუმენტები. . 59	
III.2.4. ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის განსაზღვრა, შექმნა და მიზნობრივი გამოყენება. . 63	
III.2.5. ერთობლივი საწარმოს მართვა, საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა, მოგების გამოანგარიშებისა და განაწილების წესი, დაბეგვრა. . 69	
III.3. თავისუფალი ეკონომიკური ზონები. . 76	
III.3.1. თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსი და ფუნქციონირების რეჟიმი. . 76	
III.3.2. თავისუფალი ეკონომიკური ზონების მსოფლიო მოდელები. . 80	
IV. საქართველოს საეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები. საბაზაზღვრული ბაზანსი. 83	
V. საბაზაზღვრული ეკონომიკური კავშირების ფორმები საქართველოში. 91	

V.1. საგარეო ვაჭრობა. . 91	
V.2. ერთობლივი საწარმოები. . 94	
V.3. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პერსპექტივები საქართველოში. . 98	
VI. საბარეო ეკონომიკური კავშირების რეგულირების მეთოდები და მათი ბამოყენება საქართველოში. 104	
VI.1. საგარიფო მეთოდები. . 105	
VI.2. არასაგარიფო მეთოდები. . 108	
VI.3. საფინანსო მეთოდები. . 109	
VI.4. წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის მოძრაობის რეგულირება. . 112	
VII. საქართველოს საბარეო ეკონომიკური კავშირების ძირითადი მიმართულებები. 115	
VIII. საბარეო ეკონომიკური კომპლექსის მართვა-რეგულირება და საბარეო ეკონომიკური მონაწილეები (საქართველოს გაბაღითზე). 132	
ლიტერატურა 136	
დასკვნა-რეზიუმე 143	
Функционирование и развитие внешнеэкономического комплекса в переходной стране с малой открытой экономикой (на примере Грузии) Заключение - Резюме. 154	
Functioning and Development of Foreign Economic Complex In the Transitional Country with Small Open Economy (An Example of Georgia) Conclusion-Summary. 162	

Академия наук Грузии
Институт экономики им. П. Гугушвили

Иза Нателаури

Функционирование и развитие
внешнеэкономического комплекса
в переходной стране
с малой открытой
экономикой

(на грузинском языке)

"Мецниереба"
Тбилиси, 2004

В книге рассмотрены особенности функционирования и развития внешнеэкономического комплекса в Грузии - в стране, ориентированной на малую открытую экономику со статусом переходной экономики. Проанализированы формы внешних экономических связей, методы управления - регулирования, исследованы направления и участники внешних экономических отношений.

Предложена экономико-математическая формализация теории внешней торговли.

Заострено внимание, на такие, определяющие внешнеэкономическую политику Грузии факторы, как необходимость ускорения реформирования общественно-политической системы; обострённый социальный фон; затянутость реформирования экономической системы; рост экономической зависимости от зарубежных стран; рост значимости импорта товаров широкого потребления, внешних долгов, грантов, трансферов мигрантов; с одной стороны отношение общества, а с другой стороны реакция стран партнёров и международных организаций ко всему.

Книга предназначена для исследователей внешних экономических связей и заинтересованных лиц.

редактор: Георгий Церетели - доктор экономических наук, профессор

рецензенты: Климентий Ачелашвили - доктор экономических наук, профессор

Арчил Тетраули - доктор экономических наук, профессор

Зураб Ревшвили - кандидат экономических наук.

Содержание

I. Внешнеэкономический комплекс	12
I.1. Сущность и необходимость внешнеэкономического комплекса..12	
I.2. Общая характеристика внешнеэкономического комплекса Грузии..17	
II. Традиционные формы внешних экономических связей	22
II.1. Внешняя торговля..22	
II.1.1. Классические модели внешней торговли..23	
II.1.2. Неоклассические модели внешней торговли..30	
II.1.3. Альтернативные модели внешней торговли..35	
II.1.4. Парадокс и реверсы во внешней торговле..38	
II.2. Внешняя торговля с услугами.	
Транспортные услуги.	
Международный туризм..40	
II.3. Международное научно-техническое сотрудничество..44	
III. Новые формы внешних экономических связей.	46
III.1. Прямые связи отраслевого сотрудничества	
Приграничная торговля..46	
III.2. Совместные предприятия..49	
III.2.1. Сущность и цель создания совместных предприятий..49	
III.2.2. Подбор партнёра, договорённость с реальным партнёром, предварительное соглашение и подготовка предложений для создания совместного предприятия..53	
III.2.3. Учредительные документы совместного	

предприятия.	59
III.2.4. Определение, создание и использование уставного фонда совместного предприятия.	63
III.2.5. Управление совместного предприятия, финансово-кредитные отношения, порядок расчёта и распределение прибыли, налогообложение.	69
III.3. Специальные экономические зоны..	76
III.3.1. Сущность и режим функционирования специальных экономических зон..	76
III.3.2. Мировые модели специальных экономических зон..	80
IV. Международные валютные и финансово-кредитные отношения.	83
Платежный баланс	
V. Формы внешних экономических связей в Грузии.	91
V.1. Внешняя торговля.	91
V.2. Совместные предприятия.	94
V.3. Перспективы создания специальных экономических зон в Грузии.	98
VI. Методы регулирования внешних экономических связей и их использование в Грузии.	104
VI.1. Тарифные методы.	105
VI.2. Нетарифные методы.	108
VI.3. Финансовые методы.	109
VI.4. Регулирование перемещения факторов производства между странами.	112

VII. Основные направления внешних экономических связей Грузии	115
VIII. Управление-регулирование внешнеэкономического комплекса и внешнеэкономические участники (на примере Грузии).	132
Литература.	136
Заключение - резюме (на грузинском языке).	143
Заключение - резюме (на русском языке).	154
Functioning and Development of Foreign Economic Complex In the Transitional Country with Small Open Economy (An Example of Georgia)	
Conclusion-Summary	162

1. საგარეო ეკონომიკური კომპლექსი

1.1. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის არსი და აუცილებლობა

საგარეო ეკონომიკური კომპლექსი წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმების, მართვა-რეგულირების მექანიზმების, მიმართულებებისა და საგარეო ეკონომიკური მონაწილეების ერთობლიობას; ეფუძნება უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის უპირატესობების გამოყენებას; ემსახურება მთლიანამშრომლეთა ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების პრაქტიკულ რეალიზაციას.

თანამედროვე საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმები მრავალფეროვანია. პირობითად მათი დაყოფა შეიძლება სამ ჯგუფად:

1. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ტრადიციული ფორმები (საგარეო ვაჭრობა - ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი, რეიმპორტი; საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა; საერთაშორისო სპეციალიზაცია და კოოპერირება; საერთაშორისო ტურიზმი და ა.შ.);

2. საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ახალი ფორმები (დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით, თავისუფალი ეკონომიკური ზონები, ერთობლივი საწარმოები, სანაპირო-სასაზღვრო ვაჭრობა);

3. საერთაშორისო საეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები (ერთგვარული ვალუტებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან მიღებული კრედიტები და გრანტები და ა.შ.).

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სუბიექტები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საგარიფო, არასაგარიფო, საფინანსო და არაეკონომიკური მეთოდებით. საგარიფო მეთოდებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს საბაჟო გარიფები და გადასახადები, არასაგარიფო მეთოდებიდან - ლიცენზიების სისტემა და კვოტები. საფინანსო მეთოდებში შელის სუბსიდიები, საექსპორტო კრედიტები და ლემპინგი, არაეკონომიკურ მეთოდებში კი საეაქრო ხელშეკრულებები და სამართლებრივი რეჟიმის სხვადასხვა სახე.

რაც შეეხება საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა ძირითად მიმართულებებს, მათ ჩამოყალიბებაში არსებითი როლი განეკუთვნება მოთანამშრომლე ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტატუსს და სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებს, დროის ამა თუ იმ კონკრეტული პერიოდისათვის. უდავოა მსგავსი და განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ქვეყნებს შორის თანამშრომლობა სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. ასე მაგალითად, თანამშრომლობა განვითარებულ ქვეყნებს შორის, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის ან განვითარებად ქვეყნებს შორის არსებითად განსხვავდება განვითარებულ და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, გარდამავალი ეკონომიკისა და განვითარებად ქვეყნებს შორის თანამშრომლობისაგან, პარტნიორობა ურთიერთ-მოთხოვნებით, ურთიერთვალდებულებებით, თანამშრომლობის პრინციპებით, უორმებითა და შედეგებით. წვეილუბი: განვითარებული ქვეყანა - განვითარებული ქვეყანა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა, განვითარებადი ქვეყანა - განვითარებადი ქვეყანა, განვითარებული ქვეყანა - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა, განვითარებული ქვეყანა - განვი-

თარებადი ქვეყანა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა - განვითარებადი ქვეყანა საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სხვადასხვა მიმართულებებს ქმნიან. გარდა ამისა, მსოფლიო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ახალ აქტუალობას იძენს საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ისეთი მიმართულებები, როგორცაა: 1) თანამშრომლობა ქვეყნებს შორის ისტრატეგიული კავშირებით და მათ გარეშე და 2) თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მეთვალყურეობის, მონიგორინგისა და რეგულირების რეჟიმში.

საგარეო ეკონომიკურ მონაწილეებს წარმოადგენენ ის ფირმები, საწარმოები და ორგანიზაციები, სამინისტროები და დეპარტამენტები, რომლებიც ახორციელებენ ან საექსპორტო წარმოებას, ან საქონელისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ აქტს. საგარეო ეკონომიკური კავშირების, მათ შორის წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის მოძრაობის, რეგულირებას, კონტროლს და სხვა ოპერაციებსა და ღონისძიებებს უცხო ქვეყნებს შორის ურთიერთობათა სფეროში.

თეალსაჩინოებისთვის საგარეო ეკონომიკური კომპლექსი (სეკ) წარმოვადგინოთ სქემატურად:

უაქტია, რომ ცივილიზებული მსოფლიოს ყველა ქვეყანაში უუნქციონირებს საგარეო ეკონომიკური კომპლექსი. მათი შექმნა ობიექტური აუცილებლობითაა ნაკარნახევი. დაკავშირებულია იგი შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესთან. საგარეო ეკონომიკური კომპლექსები შრომის საერთაშორისო დანაწილების შედეგითაა და მასი ღონისა და მასშტაბების მახასიათებელიც.

გაცვლითი ურთიერთობები სხვადასხვა ქვეყნებს შორის მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. თითოეული ქვეყანა აწარმოებს და მოიხმარს განსაზღვრული ნივთიერებებისა და რაოდენობის პროდუქციას. ამასთან, ცალკეული ქვეყნის შიგნით წარმოება და მოხმარება ურთიერთგანსხვავებული სიდიდეებია. არც საკუთარი წარმოების შედეგების სრული მოხმარებაა შესაძლებელი და არც მოხმარებული პროდუქციის სრული კომპლექსის საკუთარ ქვეყანაში წარმოებასა აქვს აზრი. აქედან გამომდინარე, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საგარეო ეკონომიკური კომპლექსის არსებობის აუცილებლობა განპირობებულია რიგი მიზეზებით - პირველი, რესურსების (ბუნებრივი, შრომაითი, ფინანსური, მატერიალური, ინტელექტუალური) არათანაბარი განაწილებით ქვეყნებს შორის, მეორე, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარების განსხვავებული დონეებით (რიგ შემთხვევაში მნიშვნელოვანი განსხვავებით), მესამე, მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის მოთხოვნებით, მეოთხე, მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესით, მეხუთე, შრომის საერთაშორისო დანაწილების თანამედროვე მასშტაბებით და ა.შ.

საგარეო ეკონომიკური კომპლექსი, ნებისმიერ ქვეყანაში, წარმოადგენს სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. ამდენად, მისი განვითარების მიმართულებებს ეს უკანასკნელი განსაზღვრავს

თავისი მიზნებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე თანამედროვე განვითარებული ქვეყნებს საგარეო ეკონომიკური კომპლექსები ემსახურება მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს, განვითარებადი ქვეყნებს - მათი საექსპორტო პოტენციალის ნაყენებს აკონომიკური ინტერნაციონალიზაციის მსოფლიო პროცესის სამსახურში, ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის შექმდგენლობაში შექმნილი მოკავშირე რესპუბლიკებისა კი - ახალი პოლიტიკური - სოციალურ-ეკონომიკური თვისობრიობის შექმნას.

1.2. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ზოგადი დახასიათება

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის სტრუქტურასა და განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს შემდეგი:

1. საქართველო გერიგორიულად პატარა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და განსაკუთრებული გეოპოლიტიკური უპირატესობების ქვეყანაა;

2. იგი განეკუთვნება გარდამავალი ეკონომიკის სტადიის მქონე ქვეყნების რიგებს;

3. წლების მანძილზე საქართველო ვითარდებოდა გერიგორიულად დიდი, რესურსებით მდიდარი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის, სსრკ-ს შემადგენლობაში.

გახული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში თეორეტიკოს და პრაქტიკოს საეკონომიკურ განვითარებასა და განხილვაზე გერიგორიულად დიდი და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის სსრკ-ს გარე სამეზობლო (მსოფლიოს დახარისხებულ ქვეყნებთან) ურთიერთობების შექმნაში.

დაფუძნებული - ჩაკეტილი ეკონომიკური სისტემის პრინციპებზე და - სახელმწიფოს მონოპოლიაზე.

მრავალრიცხოვანი უცხოელი ექსპერტის აქტიური თანამონაწილეობით დაიწყო საგარეო ეკონომიკური რეფორმა. საგარეო ეკონომიკურმა რეფორმამ თბილქური აუცილებლობით მოითხოვა რადიკალური ცვლილებები ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში. დაიწყო აქტიური სამთავრობო ქმედებები, რომლებიც დასრულდა გაუთვალისწინებელი შედეგებით - სსრკ დაიშალა, მის ადგილზე გაჩნდა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, სოციალურ-ეკონომიკური სისტემა განადგურდა.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის აღმოჩნდა საქართველოც. მისი ეკონომიკური სისტემის განვითარებაში, გარე სამყაროსთან მიმართებაში, გამოიკვეთა სამი პერიოდი:

პირველი - საბჭოთა, მეორე - ამეამინდელი, ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის, მესამე - მომავალი, ეკონომიური აღმავლობის.

4. ამეამინდელი საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ორიენტირებულია მცირე ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე.

გერიგორიულად პაგარა, რესურსებით ღარიბი და ეკონომიურად სუსტი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკები, რომლებზეც მოდის მსოფლიო ბაზრის უმნიშვნელო ნაწილი, ვითარებიან ამ უკანასკნელის პირობების კარნახით და განიცდიან მსოფლიო ეკონომიკური ტენდენციების აქტიურ ზეგავლენას, იწოდებიან მცირე ღია ეკონომიკებად. მცირე ღია ეკონომიკები მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებული ეროვნული მეურნეობებია, რომლებიც უარს აცხადებენ საგარეო ეკონომიკურ კავშირებში სახელმწიფო მონოპოლიაზე, შრომის საერთაშორისო დან-

აწილების პროცესში ხელმძღვანელობენ შეუარღლებითი უპირატესობის პრინციპით, ქმნიან ერთობლივ საწარმოებს და თავისუფალ ეკონომიკურ ბაზრებს, საკლებ ორიენტირებული არიან საკუთარ რესურსებზე და აკითარებენ არაგრადიციულ დარგებს.

ღია ეკონომიკები (მ.შ. მცირე ღია ეკონომიკებიც) აქვთ განვითარებულ ქვეყნებს და განვითარებადი ქვეყნების მნიშვნელოვან ნაწილს. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს რაც შეეხებათ, ისინი აუცილებლად ღია ეკონომიკებად ჩამოყალიბდებიან უახლოეს მომავალში, თბილქტური რეალობიდან გამომდინარე. თბილქტურ რეალობაში იგულისხმება ა) მსოფლიო განვითარების ტენდენციები და ბ) გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საზოგადოებრიუ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენციები გამოიხატება: ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროცესების გლობალიზაციაში; ეროვნული მეურნეობების ურთიერთდამოკიდებულების ზრდაში (თანამედროვე ქვეყნები აქტიურად ზემოქმედებენ ურთიერთ ეკონომიკურ ზრდაზე და დასაქმებაზე, დარგობრივი სტრუქტურის ფორმირებაზე და სპეციალიზაციაზე, ვითარებიან საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ დამუშავებული წესებისა და ნორმების გათვალისწინებით, ერთიანლებიან რეგიონულ ინტეგრაციულ ბლოკებში, ზრუნავენ საკუთარ ეკონომიკურ უშიშროებაზე, ეკოლოგიურ, ენერჯეტიკულ და ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე და თავდაცვიოუნარიანობაზე); ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკური ფუნქციის შეცვლაში.

5. ღია ეკონომიკის შექმნის გზაზე, საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსი სასტარტო პირობები და მიზანი გააჩნია. კერძოდ, მინიმუმამდე აქვს.

შეზღვევნილი მშპ; საკუთრებითი ურთიერთობის ერთი ფორმიდან (სახელმწიფო საკუთრებიდან) გადადის რამოდენიმე ფორმაზე; ქმნის საკანონმდებლო ბაზას და შესაბამის სამთავრობო ინსტიტუტებს; ახორციელებს სამოცავლოებრივ-პოლიტიკური სისტემის რეფორმას; პირველ ნაბიჯებს დგავს დარგობრივი სტრუქტურის ფორმირების გზაზე; გამოირჩევა შრომითი რესურსების აქტიური გადანაწილებით სახელმწიფო სექტორიდან კერძო სექტორში.

მიზანი ცხადია - ეროვნული ეკონომიკის ოპტიმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფა ორ ბონიან ასპექტში (მოცემული ქვეყანა - დანარჩენი სამყარო). ამ მიზნის პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს: საერთაშორისო ნორმების შესაბამის საკანონმდებლო ბაზას და სამთავრობო ინსტიტუტებს; სანიმუშო საგადასახადო სისტემას; საერთაშორისო ნაკადების ლიბერალურ რეჟიმში მოძრაობას; ქვეყნის უნარს გააკონტროლოს საკუთარი საზღვრები, აღრიცხოს და არეგულიროს საკუთარი საზღვრების გაყვლით მოძრავი მაგერიალური, ფინანსური და შრომითი ნაკადები; უზრუნველყოს ეკონომიკური უშიშროება და თავდაცვითუნარიანობა.

6. იმისთვის რომ საქართველომ, როგორც გარდამავალი ეკონომიკის სტატუსის მქონე, მცირე ღია ეკონომიკაზე ორიენტირებულმა ქვეყანამ შეძლოს მსოფლიო მუყურნეობაში ინტეგრირება და მსოფლიო ბაზარში მონაწილეობა, მას სჭირდება სავაჭრო შეღავათები, ფართო გექსნიკური დახმარებები და მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან: მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან - სავარეო ვაჭრობის პოლიტიკის სუეროში, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან - მაკროეკონომიკური პოლიტიკის სუეროში, მსოფლიო ბანკთან - სტრუქტურული პოლიტიკის სუეროში, გაეროს სისტემასთან - სოციალური პოლიტიკის სუეროში.

7. საქართველოში ექსპორტი სანედლეულოა, იმპორტში კარბობს პირველადი მოხმარების საქონელი. ქვეყანა იძულებულია აიღოს სავარჯო ეალი დიდი რაოდენობით, შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დასაქმებულია უცხოეთში, ინფლაციური მთლიანი და სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკური დეფიციტი პერიოდულად უმართავს ხდის სავალუტო კურსს.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გრადიციული ფორმებიდან საქართველო უმეტესად ავითარებს სავარჯო ვაჭრობას; დიდი პერსპექტივა აქვს სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას და უცხოურ ტურიზმს. ახალი ფორმებიდან საქართველოს გარკვეული გამოცდილება გააჩნია ერთობლივი საწარმოების შექმნაში; წლების მანძილზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მიზანშეწონილების დასაბუთების ხაზით. რაც შეეხება სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობის ფორმას, მასში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვალუტების ყიდვა-გაყიდვა, პირდაპირი ინვესტიციები, სავაჭრო კრედიტები, მიგრანტების გრანსფერები, სავარჯო ვალები და გრანტები.

სავარჯო ეკონომიკური კავშირების მართვა-რეგულირების მეთოდები წარმოდგენილია ძირითადად საბაჟო ტარიფებით, უფრო ზუსტად კი უნიფიცირებული საბაჟო ტარიფით იმპორტზე. გარდა ამისა, ახალ აქტუალობას იძენს საქართველოს თანამშრომლობა ღსთ-ს ქვეყნებთან, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან და ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან*.

* საერთაშორისო ორგანიზაციების სია, რომლის წევრიც სხვადასხვა სტატუსით არის საქართველო იხ.[12, გვ. 21-24].

საქართველოში საგარეო ეკონომიკურ მონაწილეებს წარმოადგენენ საქართველოს პარლამენტი (საგარეო ეკონომიკური კანონმდებლობის დამუშავება), მთავრობა (ძირითადად ეკონომიკური პროფილის სამინისტროები - ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის, ფინანსთა, საგარეო საქმეთა სამინისტროები, საბაჟო დეპარტამენტი და სხვ.), სავაჭრო-სამრეწველო პალატა, ეროვნული ბანკი და კომერციული ბანკები, საწარმოები, ორგანიზაციები, უირმები და ა.შ.

საქართველოს პარტნიორი ქვეყნებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, ღიდი ბრიტანეთი, უკრაინა, შვეიცარია, იტალია და ბულგარეთი. რუსეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბულგარეთი საქართველოსთან თანამშრომლობაში ქმნიან მიმართულებას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა - გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა; აშშ, გერმანია, ღიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, იტალია ქმნიან მიმართულებას გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა - განვითარებული ქვეყანა, თურქეთი კი, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა - განვითარებადი ქვეყანა.

II. საგარეო ეკონომიკური კავშირების ტრადიციული შორგები.

III. საგარეო ვაჭრობა

საგარეო ვაჭრობა მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის. ცნობილია კი არ არის როდის განხორციელდა პირველი საგარეო სავაჭრო ოპერაციები. მრავალი მეცნიერი შეეცადა აეხსნა, რატომ ვაჭრობენ ქვეყნები ერთმანეთს შორის? სხვადასხვა დროს დამუშავდა საგარეო ვაჭრო-

ბის უამრავი თეორია. ჯერ კიდევ ამოუწურავია გამო-
საკვლევ საკითხთა წრე ამ სფეროში.

საგარეო ვაჭრობის კლასიკური, ნეოკლასიკური და
ალტერნატიული თეორიების ჩუქსს მიერ შემოთავაზებუ-
ლი ეკონომიკურ-მათემატიკური ფორმალიზაცია აადვილებს
საგარეო ვაჭრობიდან მოხალდინელი ეფექტების, საგარ-
ეო ვაჭრობის პირობების, შემოსავლების მნიშვნელოვანი
გადიდების საგარეო ვაჭრობაზე გავლენის, იმპორტჩანაცე-
ლებადი ეკონომიკური ზრდის და სხვა მსგავსი პრობლე-
მის კვლევას ორბონიან ასპექტში.

II.1.1. საგარეო ვაჭრობის კლასიკური მოდელები

II.1.1.1. აბსოლიტური უპირატესობის სმიტის მოდელი

სმიტის აბსოლიტური უპირატესობის თეორიის
თანახმად თითოეული ქვეყანა უნდა ახორციელებდეს
იმ პროდუქციის ექსპორტს, რომლის წარმოებაც მას
შეუძლია უფრო ნაკლები დანახარჯებით ვიდრე პარტ-
ნიორ ქვეყანას და იმ პროდუქციის იმპორტს, რომლის
წარმოებაც პარტნიორ ქვეყანას, შეუძლია უფრო ნაკ-
ლები დანახარჯებით ვიდრე მოცემულ ქვეყანას.

განსახილველ მოდელში სიმარტივისთვის გამოე-
ყენებულია დაშვებები: ერთმანეთთან თანამშრომლობს
მხოლოდ ორი ქვეყანა (I, II). ვაჭრობამდე თითოეული
ქვეყანა აწარმოებს მხოლოდ ორი სახის პროდუქციას
(1,2), წარმოებაში იყენებენ ერთ წარმოების ფაქტორს,
შრომას, სრული დასაქმების პირობის დაცვით. ვაჭრო-
ბის დაწყების შემდეგ მათანამშრომლე ქვეყნებში ხდება
სრული სპეციალიზაცია და თანამშრომლობა ხორცი-

ელდება თავისუფალი ვაჭრობისა და სრულყოფილი კონკურენციის პირობებში, ხელშეწყობილი სატრანსპორტო ხარჯებით.

აღვნიშნეთ Q-თი წარმოების მოცულობა, L - შრომა, A - ერთი ერთეული პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო საშუალო დრო.

შემოდებულ აღნიშვნებში აბსოლიტური უპირატესობის სმიტის მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Q = Q(L) \quad (1)$$

$$A^I_1 Q^I_1 + A^I_2 Q^I_2 = L^I \quad (2)$$

$$A^{II}_1 Q^{II}_1 + A^{II}_2 Q^{II}_2 = L^{II} \quad (3)$$

$$L^I + L^{II} = L \quad (4)$$

} სრული დასაქმების პირობები-შრომა გამოიყენება სრულად

$$A^I_1 < A^{II}_1 \quad (5)$$

$$A^{II}_2 < A^I_2 \quad (6)$$

} აბსოლიტური უპირატესობის პირობები - I ქვეყანას აბსოლიტური უპირატესობა გააჩნია I სახის პროდუქციის წარმოებაში. II ქვეყანას კი 2 სახის პროდუქციის წარმოებაში

სმიტის აბსოლიტური უპირატესობის (1) - (6) მოდელი ეფუძნება შრომითი ღირებულებების თეორიას და ემსახურება შრომის დანაწილების პროცესის უპირატესობების წარმოჩენას.

II.1.1.2. შეფარდებითი უპირატესობის რიკარდოს მოდელი

უპირველეს ყოვლისა, რიკარდომ პასუხი გასცა კითხვაზე, რომელსაც ვერ უპასუხა სმიტმა: რეალურ სინამდვილეში რატომ ვაჭრობენ ქვეყნები იმ პროდუ-

ქცით, რომელთა მიხედვითაც მათ არ გააჩნიათ აბსოლუტური უპირატესობა?

რიკარდოს შეფარდებითი უპირატესობის თეორიის თანახმად ვაჭრობა ხელსაყრელია თითოეული მათანამშრომელ ქვეყნისთვის, თუ ისინი ახორციელებენ იმ პროდუქციის ექსპორტს, რომლის მიხედვითაც მათ გააჩნიათ შეფარდებითი უპირატესობა და იმ პროდუქციის იმპორტს, რომლის მიხედვითაც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია პარტნიორ ქვეყანას.

შეფარდებითი უპირატესობის პრინციპის ასახვად რიკარდომ შემოიტანა ალტერნატიული (შეფარდებითი) ფასის ცნება. ალტერნატიული (შეფარდებითი) ფასი წარმოადგენს სამუშაო დროს, რომელიც საჭიროა ერთი სახის პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად, მეორე სახის პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად საჭირო სამუშაო დროში გამოხატული

$$\frac{A_1}{A_2} \text{ ან } \frac{A_2}{A_1} \text{ პირობა } \frac{A'_1}{A'_2} < \frac{A''_1}{A''_2} \text{ ნიშნავს, რომ I}$$

ქვეყანას შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია I სახის პროდუქციის წარმოებაში.

$$\frac{A''_2}{A''_1} < \frac{A'_2}{A'_1} \text{ კი ნიშნავს, რომ II ქვეყანას შეფარდებითი}$$

უპირატესობა გააჩნია 2 სახის პროდუქციის წარმოებაში. ამ პირობების გათვალისწინებით შეფარდებითი უპირატესობის რიკარდოს მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Q = Q(L) \quad (1)$$

$$A^I_1 Q^I_1 + A^I_2 Q^I_2 = L^I \quad (2)$$

$$A^{II}_1 Q^{II}_1 + A^{II}_2 Q^{II}_2 = L^{II} \quad (3)$$

$$L^I + L^{II} = L \quad (4)$$



$$\frac{A'_1}{A''_1} < \frac{A''_1}{A'_1} \quad (5)$$

$$\frac{A''_2}{A'_2} < \frac{A'_2}{A''_2} \quad (6)$$



შეყარდებითი უპირატესობის პირობები

რიკარდომ (1) - (6) მოდელით შექმნა საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები. დაასაბუთა, რომ საგარეო ვაჭრობა მოთაწილმშრომელე ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს გაწიონ რესურსების ეკონომია და გაზარდონ წარმოება და მოხმარება.

II.1.1.3. წარმოების ფაქტორთა შესაბამისობის ხეკშერ-ოლინის მოდელი

განსხვავებით სმიტისა და რიკარდოს მოდელეებისაგან, ხეკშერ-ოლინის მოდელში მონაწილეობს ორი წარმოების ფაქტორი, შრომა (L) და კაპიტალი (K),

$$Q=Q(L,K) \quad (1)$$

სრული დასაქმების პირობები შენარსუნებულია და დამატებით შემოდის ფაქტორტევადობისა და ფაქტორგაჯერებულობის პირობები. ფაქტორტევადობის პირობა ეხება პროდუქტებს (1,2), ფაქტორგაჯერებულობის პირობა კი ქვეყნებს (I, II).

პირობა $\frac{K_2}{L_2} > \frac{K_1}{L_1}$ ნიშნავს, რომ 1 სახის პროდუქტი

არის შრომატკვადი, 2 სახის პროდუქტი კი კაპიტალტკ-

ვადი. პირობა $\frac{T'_{1k}}{T'_{1L}} < \frac{T''_{1k}}{T''_{1L}}$, ან $\frac{P'_{1k}}{P'_{1L}} > \frac{P''_{1k}}{P''_{1L}}$ სადაც T არის

ფაქტორის აბსოლუტური მოცულობა, P -- ფაქტორის ფასი, ნიშნავს, რომ I ქვეყანა არის შრომით გაჯერებული ქვეყანა, II ქვეყანა კი კაპიტალით გაჯერებული.

შრომით გაჯერებულ I ქვეყანას შეუფარდებითი უპირატესობა გააჩნია შრომატევადი 1 სახის პროდუქციის წარმოებაში, კაპიტალით გაჯერებულ II ქვეყანას კი კაპიტალტევადი 2 სახის პროდუქციის წარმოებაში.

საწარმოო ფაქტორების შესაბამისობის ხეკშერ-ოლინის მოდელს აქვს სახე:

$$Q = Q(L, K) \quad (1)$$

$$A^I_1 Q^I_1 + A^I_2 Q^I_2 = L^I \quad (2)$$

$$A^{II}_1 Q^{II}_1 + A^{II}_2 Q^{II}_2 = L^{II} \quad (3)$$

$$L^I + L^{II} = L \quad (4)$$

} სრული დასაქმების პირობები

$$\frac{K_1}{L_1} > \frac{K_2}{L_2} \quad (5)$$

$$\frac{T'_1}{T''_1} < \frac{T''_2}{T''_1} \quad (6)$$

$$\frac{P'_1}{P''_1} > \frac{P''_2}{P''_1} \quad (7)$$

} ფაქტორტევადობის პირობა

} ფაქტორგაჯერებულობის პირობები

ხეკშერ-ოლინის (1) - (7) მოდელი შეუფარდებითი უპირატესობის პრინციპის მეცნიერული ახსნის შესაძლებლობას იძლევა იმ პირობითი დაშვების გათვალისწინებით, რომ მათანამშრომლე ქვეყნებში მათხმარებელთა გემოვნება და უპირატესობები ერთნაირია.

II.1.1.4. წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების სამუელსონის მოდელი

წარმოების ფაქტორებზე ფასების გამოთანაბრების სამუელსონის მოდელის თანახმად ეაჭრობის შედეგად მოთანამშრომლე ქვეყნებში აღგილი აქვს აბსოლიტური და შეფარდებითი ფასების გამოთანაბრებას ჰომოგენურ წარმოების ფაქტორებზე - ერთნაირი პროდუქტიულობის და რისკის კაპიტალზე და ერთნაირი დონის, განათლების და ნაყოფიერების შრომაზე.

ძალაში რჩება წარმოების ფაქტორების შესაბამისობის ხეკშერ-ოლინის მოდელის დაშვებები იმის შესახებ, რომ I ქვეყანა არის შრომით გაჯერებული, I სახის პროდუქცია შრომატევადი, II ქვეყანა კი კაპიტალით გაჯერებული და 2 სახის პროდუქცია კაპიტალტევადი.

აღნიშნოთ, W - შრომის ფასი, r - კაპიტალის ფასი, P_1 - I სახის პროდუქციის ფასი, P_2 - 2 სახის პროდუქციის ფასი.

ეაჭრობამდე, შრომის შეფარდებითი ფასი კაპიტალის ფასით გამოხატული I ქვეყანაში იქნება უფრო ნაკლები ვიდრე II ქვეყანაში.

$$\left(\frac{W}{r}\right)_I < \left(\frac{W}{r}\right)_II$$

იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ I ქვეყანაში შრომა არის ჭარბი რაოდენობით და უფრო იაფია, კაპიტალი I ქვეყანაში ცოტაა და უფრო ძვირია.

I სახის პროდუქციის შეფარდებითი ფასიც I ქვეყანაში იქნება უფრო ნაკლები, ვიდრე II ქვეყანაში

$$\left(\frac{P_1}{P_2}\right)^I < \left(\frac{P_1}{P_2}\right)^{II}$$


ვაჭრობის დაწყების შემდეგ $\left(\frac{W}{r}\right)^I \uparrow$, $\left(\frac{W}{r}\right)^{II} \downarrow$,

და $\left(\frac{P_1}{P_2}\right)^I \uparrow$, $\left(\frac{P_1}{P_2}\right)^{II} \downarrow$, რამეთუ შრომაზე

მოთხოვნა იზრდება და W^I იწევს ზრდას, კადიდებული დანახარჯების პირობებში P_1^I დაიწევს ზრდას. II ცვეანაში $r^{II} \uparrow$ და $P_2^{II} \uparrow$. ეს პროცესი გაგრძელდება

მანამ, სანამ $\frac{W}{r}$ და $\frac{P_1}{P_2}$ ორივე ქვეყანაში ერთმანეთს

არ გაუტოლდება.



ვაჭრობამდე I ქვეყანაში წონასწორობა მყარდება A წერტილში, II ქვეყანაში B წერტილში.

ვაჭრობის დაწყების შემდეგ A წერტილი იწეებს მოძრაობას ზემოთ, B წერტილი ქვემოთ მანამ, სანამ ისინი ერთმანეთს არ გადაკვეთენ C წერტილში, ე.ი. C წერტილში

$$\left(\frac{W}{r}\right)_I = \left(\frac{W}{r}\right)_{II}$$

$$\left(\frac{P_1}{P_2}\right)_I = \left(\frac{P_1}{P_2}\right)_{II}$$

II.1.2. საგარეო ვაჭრობის ნეოკლასიკური მოდელები

საგარეო ვაჭრობის ნეოკლასიკური მოდელები ეფუძნება ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების ბალანსს.

I.1.2.1. ზოგადი წონასწორობის მარშალის მოდელი

ზოგადი წონასწორობის მარშალის მოდელი ეფუძნება ურთიერთმოთხოვნის მანევრებულს, რომელშიც სინთეზირდება მოთხოვნა და მიწოდება და რომელიც გვიჩვენებს როგორი უნდა იყოს იმპორტის მოცულობა, რომ მან ქვეყანაში გამოიწვიოს ექსპორტის

აუცილებლობა.

აღენიშნეთ D - მოხმარება.

როცა $D < Q$ ქვეყანას შეუძლია განახორციელოს ექსპორტი $Ex = Q - D$ (1), ხოლო როცა $D > Q$ ქვეყანას ესაჭიროება იმპორტი.

$$Im = D - Q \quad (2)$$

I ქვეყნისთვის, რომელსაც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია 1 სახის პროდუქციის წარმოებაში

$$(Q'_1 - D'_1) P_1 = (D''_2 - Q''_2) P_2$$

$$(D''_2 - Q''_2) = (Q'_1 - D'_1) \frac{P_1}{P_2} \quad (3)$$

II ქვეყნისთვის, რომელსაც შეფარდებითი უპირატესობა გააჩნია 2 სახის პროდუქციის წარმოებაში

$$(Q''_2 - D''_2) P_2 = (D''_1 - Q''_1) P_1$$

$$(D''_1 - Q''_1) = (Q''_2 - D''_2) \frac{P_2}{P_1} \quad (4)$$

(3) და (4) დამოკიდებულებების საფუძველზე შესაძლებელია დაეასკენათ, რომ იმპორტი ტოლია შეფარდებითი ფასებით კორექტირებული ექსპორტის. ორი ქვეყნისა და ორი სახის პროდუქტისთვის

$$(Q_1 - D_1)' = (D_1 - Q_1)'' \quad (5)$$

$$(Q_2 - D_2)'' = (D_2 - Q_2)' \quad (6)$$

ზოგადი წონასწორობის მარშალის მოდელს აქვს სახე:

$$Q - D = Ex \quad (1)$$

$$D - Q = Im \quad (2)$$

$$(D_2 - Q_2) = (Q_1 - D_1) \frac{P_1}{P_2} \quad (3)$$

$$(D_1^{\text{II}} - Q_1^{\text{II}}) = (Q_2^{\text{II}} - D_2^{\text{II}}) \frac{P_2}{P_1} \quad (4)$$

} შხდა წონასწორობის პირობები

$$(Q - D_1)' = (D_1 - Q)'' \quad (5)$$

$$(Q_2 - D_2)'' = (D_2 - Q_2)' \quad (6)$$

} საგარეო წონასწორობის პირობები

ამრიგად, ზოგადი წონასწორობის მარშალის მოდელში ურთიერთდაკავშირებულია მოთხოვნა-მიწოდების მაჩვენებლები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, გაანალიზებულია საგარეო ვაჭრობის პარამეტრები ეროვნული ეკონომიკის პარამეტრებთან კავშირში.

II.1.2.2. საეაჭრო და არასაეაჭრო საქონელის მოდელი

საეაჭრო და არასაეაჭრო საქონელის მოდელი გვიჩვენებს თუ რამდენადაა დამოკიდებული ქვეყნის შიდა მაკროეკონომიკური წონასწორობა საგარეო

წონასწორობაზე.

აღენიშნოთ, t - სავაჭრო საქონელი, n - არასავაჭრო საქონელი, L_t - სავაჭრო საქონელის წარმოებისთვის საჭირო შრომა, L_n - არასავაჭრო საქონელის წარმოებისთვის საჭირო შრომა, \bar{A} - ზღვრული შრომის ნაყოფიერების კოეფიციენტი (გვისიყენებს, რომ შრომის დანახარჯების გაზრდას ერთი ერთეულით თან ახლავს წარმოების მოცულობის ზრდა \bar{A} ერთეულით) e - რეალური სავალუტო კურსი, Q_t - სავაჭრო საქონელის წარმოების მოცულობა, Q_n - არასავაჭრო საქონელის წარმოების მოცულობა, D_t სავაჭრო საქონელის მოხმარება, D_n - არასავაჭრო საქონელის მოხმარება, P_t - სავაჭრო საქონელის ფასი, P_n - არასავაჭრო საქონელის ფასი.

$$Q = Q(L) \quad (1)$$

$$L = L_t + L_n \quad (2)$$

$$Q_t = \bar{A} t L_t \quad (3)$$

$$Q_n = \bar{A} n L_n \quad (4)$$

(3) - (4) -დან განესაზღვროთ L_t და L_n , შევიტანოთ (2)-ში და გამოვიღებინოთ Q_n .


$$Q_n = L \bar{A} n - Q_t \frac{\bar{A} n}{\bar{A} t} \quad (5)$$

$$P_t = \frac{W}{\bar{A} t}, P_n = \frac{W}{\bar{A} n}, e = \frac{P_t}{P_n} = \frac{\bar{A} n}{\bar{A} t} \quad (6)$$

$$Q_n = D_n \quad (7)$$

$$CAB = Ex - Im \quad (8)$$

განვიხილოთ მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი სავაჭრო და არასავაჭრო საქონელისთვის გრაფიკულად.



1) წონასწორობის A წერტილში $Q_n(A) = D_n(A)$ და $Q_t(A) = D_t(A)$. 2) როცა მოხმარება მცირდება $D(B)$ -მდე სავაჭრო საქონელისთვის $Q_t \uparrow \Rightarrow Q_t(C)$; $Q_t(C) > D_t(B)$, ჩნდება ექსპორტის შესაძლებლობა. არასავაჭრო საქონელისთვის $Q_n \downarrow \Rightarrow Q_n(C)$, $Q_n(C) = D_n(B)$. 3) როცა მოხმარება იზრდება $D(F)$ -მდე სავაჭრო საქონელისთვის $Q_t \downarrow \Rightarrow Q_t(E)$, $Q_t(E) < D_t(F)$, ჩნდება იმპორტის აუცილებლობა, არასავაჭრო საქონელისთვის $Q_n \uparrow \Rightarrow Q_n(E)$, $Q_n(E) = D_n(F)$.

ამრიგად, ერთობლივი მოთხოვნის გაზრდა იწვევს არასაეაჭრო საქონელის წარმოების ზრდას და საეაჭრო საქონელის წარმოების შემცირებას. ერთობლივი მოთხოვნის შემცირება კი პირიქით – არასაეაჭრო საქონელის წარმოების შემცირებას და საეაჭრო საქონელის წარმოების გაზრდას. პირველ შემთხვევაში IMI , მეორე შემთხვევაში ExI , საეაჭრო საქონელისთვის.

II.1.3. საგარეო ვაჭრობის ალტერნატიული მოდელი

II.1.3.1. სპეციფიკურ წარმოების ფაქტორთა სამუელსონის მოდელი

სპეციფიკურ წარმოების ფაქტორთა სამუელსონის თეორიის თანახმად საგარეო ვაჭრობას საფუძვლად უდევს განსხვავება შეფარდებით ფასებში, რასაც წარმოშობს ქვეყნების განსხვავებული გაჯერება სპეციფიკური წარმოების ფაქტორებით, ამასთან ფაქტორები, რომლებიც სპეციფიკურია საექსპორტო სექტორში ვითარდება, იმპორტჩანაცვლებად სექტორში მცირდება.

განსახილველი მოდელის მიხედვით წარმოებაში მონაწილეობს სამი წარმოების ფაქტორი L , K და \bar{T} (მიწა).

$$Q = Q(L, K, \bar{T}) \quad (1)$$

წარმოების ფაქტორები იყოფა ორ ჯგუფად: 1) სპეციფიკური – ის წარმოების ფაქტორებია, რომლებიც არ გადაადგილდებიან დარგიდან დარგში (K და \bar{T}); 2) მობილური – ის წარმოების ფაქტორებია, რომლებიც

თაეისუფლად გადაადგილდებიან დარგიდან დარგში (L). 1 სახის პროდუქციის წარმოებაზე იხარჯება L_1 და K, 2 სახის პროდუქციაზე L_2 და \bar{T} .

$$L_1 + L_2 = L \quad (2) \text{ სრული დასაქმების პირობა}$$

$$Q_1 = Q_1(L_1, K) \quad (3)$$

$$Q_2 = Q_2(L_2, \bar{T}) \quad (4)$$

$$MPL_1 \cdot P_1 = W \quad (5)$$

$$MPL_2 \cdot P_2 = W \quad (6)$$

} შიდა წონასწორობა

$$(D_2 - Q_2) = (Q_1 - D_1) \frac{P_1}{P_2} \quad (7)$$

} საგარეო ბალანსი

სპეციფიკურ წარმოების ფაქტორთა სამეუღლსონის (1) - (7) მოდელის მიხედვით, იმ მესაკუთრეთა შემოსავალი, რომლებიც ფლობენ სპეციფიკურ წარმოების ფაქტორებს საექსპორტო წარმოებაში იზრდება, იმპორტჩანაცვლებად წარმოებაში მცირდება.

II.1.3.2. მასშტაბის ეფექტის კრუგმანის მოდელი

კრუგმანის მოდელი დამუშავებულია მონოპოლიური ბაზრისთვის ოლიგოპოლიის პირობებში. მასში ქვეყნებს შორის ვაჭრობა ახსნილია არა შეფარდებითი უპირატესობის პრინციპით, არამედ მასშტაბის ეფექტის პრინციპით, რაც გულისხმობს წარმოების ისეთ განვითარებას, როცა წარმოების ფაქტორების ერთი ერთეულით გაზრდას თან ახლავს წარმოების მოცულობის გაზრდა ერთ ერთეულზე მეტი სიდიდით.

აღვნიშნოთ, X - მოცემული ფორმის გაყიდვები, S - დარგის გაყიდვები, n - დარგში ფორმების რიცხვი, b - მოთხოვნის კვლადი, რომელიც გამოხატავს დამოკიდებულებას ფორმის საბაზრო წილსა და მისი პროდუქციის ფასს შორის, p - მოცემული ფორმის ერთეული პროდუქციის ფასი, \bar{p} - კონკურენტი ფორმების საშუალო ფასი ანალოგიურ პროდუქციაზე, \bar{C} - საშუალო დანახარჯები, F - მუდმივი დანახარჯები, c - ფორმის 'ხდერული' დანახარჯები, MP - 'ხდერული' შემოსავლები.

$$\text{ფორმის საბაზრო წილი } \frac{X}{S} = bp$$

$$X = \left[\frac{S}{n} - Sb(p - \bar{p}) \right] \quad (1)$$

} მიწოდება

$$\bar{C} = \frac{F}{X} + c = \frac{nF}{S} + c \quad (2)$$

$$P = c + \frac{1}{bn} \quad (3)$$

} მოთხოვნა

(1) - (3) კრუგმანის მოდელის მიხედვით, როცა

1. $P = \bar{P}$, $X = \frac{S}{n}$ ფორმის გაყიდვები საშუალო საბაზრო

წილის ტოლია.

2. $P > \bar{P}$, $X < \frac{S}{n}$ ბაზარზე ფორმების რიცხვი იზრდება

3. $P < \bar{P}$, $X > \frac{S}{n}$ ბაზარზე ფორმების რიცხვი მცირდება

4. ფირმების რიცხვი რაც უფრო დიდია მით უფრო დიდია ერთეულ პროდუქციაზე საშუალო დანახარჯები, მით ნაკლებია წარმოების მოცულობა

II.1.4. პარადოქსი და რევერსები საგარეო ვაჭრობაში

II.1.4.1. ლეონტიევის პარადოქსი

ხეკშერ-ოლინის მოდელის თანახმად, კაპიტალით გაჯერებულ ქვეყანაში

$$\left(\frac{K}{L}\right)_{Im} < \left(\frac{K}{L}\right)_{Ex} \quad (1)$$

შრომით გაჯერებულ ქვეყანაში

$$\left(\frac{K}{L}\right)_{Im} > \left(\frac{K}{L}\right)_{Ex} \quad (2)$$

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ში იყო კაპიტალით გაჯერებული ქვეყანა. კაპიტალით გაჯერებული ეს ქვეყანა ახორციელებდა შრომატევადი პროდუქციის ექსპორტს, რაც წარმოების ფაქტორთა შესაბამისობის (1) - (2) პირობებს ეწინააღმდეგებოდა.

ლეონტიევმა ეს მოვლენა ახსნა შემდეგნაირად. აშშ კაპიტალით გაჯერებული ქვეყანაა. მისი კაპიტალი არის მაღალტექნოლოგიური. მაღალტექნოლოგიური კაპიტალი ზრდის შრომის ნაყოფიერებას, რის გამოც,

მაღალტექნოლოგიური პროდუქცია შეიძლება წაითვალოს შრომატევად პროდუქციად.

II.1.4.2. რევერსები საგარეო ვაჭრობაში

ემპირიული გამოკვლევებით დასაბუთებულია, რომ რეალურ სინამდვილეში ადგილი აქვს წარმოების ფაქტორებისა და მოთხოვნის რევერსს.

წარმოების ფაქტორების რევერსი - სიტუაცია, როცა ერთი და იგივე საქონელი კაპიტალტევადია კაპიტალით გაჯერებულ ქვეყანაში და შრომატევადია შრომით გაჯერებულ ქვეყანაში.

მოთხოვნის რევერსი - სიტუაცია, როცა მაღალი მოთხოვნის გამო ქვეყანა ახორციელებს იმ საქონელის იმპორტს, რომლის წარმოებისა და ექსპორტისთვისაც მას გააჩნია უკეთესი წარმოების ფაქტორები, ვიდრე პარტნიორ ქვეყანას.

* * *

და ბოლოს, შეფარდებითი უპირატესობის პრინციპზე ან მასშტაბის ეფექტის პრინციპზე დაფუძნებული საგარეო ვაჭრობის მოდელები, მოთანამშრომლე ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს გაზარდონ წარმოებისა და მოხმარების მოცულობა, გაწიონ რესურსების ეკონომია, უზრუნველყონ შემოსავლის ეფექტი, ერთობლივი მოთხოვნა-მიწოდების შიდა და საგარეო ბაზანსი.

II.2. მომსახურებით საგარეო ვაჭრობა. სატრანსპორტო მომსახურება. საერთაშორისო ტურიზმი

საქონელით საგარეო ვაჭრობასთან შედარებით ახალი დარგია მომსახურებით საგარეო ვაჭრობა [51, 64]. წლების მანძილზე ამ დარგს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სპეციალისტები. იგი შემოიფარგლებოდა სატრანსპორტო, საბანკო და სადამღვევო მომსახურებით, ფოსტა-ტელეგრაფით და ტურიზმით.

ეკონომიკურ ლიტერატურაში მომსახურების დარგის მუსტი განმარტებაც კი არ იყო ცნობილი. შინაარსობრივად მომსახურებით საგარეო ვაჭრობაში იგულისხმებოდა არასასაქონლო კომერციული გარიგებები, რომლებიც ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფოდა:

პირველი - გარიგებები, რომელთა მიხედვითაც მწარმოებელი მიისწრაფოდა მომხმარებლისკენ. მაგალითად, დაბალკვალიფიური სამუშაო ძალის მიგრაცია, კაპიტალის მოძრაობა ქვეყნებს შორის, საბანკო-სადამღვევო ოპერაციები და სხვ.

მეორე - გარიგებები, რომელთა მიხედვითაც, პირიქით, მომხმარებელი მიემართებოდა მწარმოებლისკენ. მაგალითად, ტურიზმი, გემებისა და ავიალაინერების მომსახურება, ავადმყოფთა მკურნალობა მაღალკვალიფიკაციურ (სპეციალიზებულ) სამედიცინო ცენტრებში, განათლების მიღება წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში და სხვ.

მესამე - გარიგებები, რომლებიც გულისხმობდა მწარმოებელთა და მომხმარებელთა ორმხრივ მოძრაობას. მაგალითად, შემოქმედებითი კოლექტივების, გამოჩენილი მეცნიერების, მხატვრების და ა.შ. მიწვევა უცხოეთში.

მეოთხე - გარიგებები, როცა მწარმოებლები და მომხმარებლები ადგილსამყოფელს არ იცვლიდნენ, მაგალითად,

საგრანსპორტო ფირმების მომსახურება, საპროექტო დოკუმენტების მომზადება და სხვ.

საგარეო ვაჭრობის მოდელების განხილვისას (II.1) ჩვენ განვიხილეთ სავაჭრო და არასავაჭრო საქონელის მოდელი. ამ მოდელში არასავაჭრო საქონელით ვაჭრობა განეკუთვნება მომსახურებით ვაჭრობის სფეროს, რამეთუ რეალურ სინამდვილეში მომსახურების სფეროს დარგების ბევრი პროდუქტი იწარმოება და მოიხმარება ერთსადაიმთხვე ქვეყანაში.

უკანასკნელ წლებში, დროის მცირე მონაკვეთში არსებითად შეიცვალა მომსახურებით ვაჭრობის ადგილი და როლი საგარეო ვაჭრობაში. რაოდენობრივად გაიზარდა და მასშტაბურად გაფართოვდა იგი. ამჟამად მომსახურებით საგარეო ვაჭრობა მოიცავს [32, გვ.95, 265]: საგრანსპორტო მომსახურებას, გურიმზს, კავშირგაბმულობას, მშენებლობას, დაზღვევას, ფინანსურ მომსახურებას, კომპიუტერულ და ინფორმაციულ მომსახურებას, როიალტს და ლიცენზიებს, ბიზნეს მომსახურებას (ლიზინგი, საშუამავლო მომსახურება), კულტურულ ღონისძიებებს, სამთავრობო მომსახურებას და სხვ.

მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (WTO) კლასიფიკაცია 600-ზე მეტი დასახელების მომსახურების სახეს აერთიანებს, რომლითაც ორგანიზაციის წევრი ქვეყნები სარგებლობენ საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ცენტრის CEPAR-ის ინფორმაციაში მოცემულია მომსახურების სექტორული კლასიფიკაცია: [34].

I. მომსახურება ბიზნეს სფეროში:

1. პროფესიული მომსახურება (მოიცავს 10 სახის მომსახურებას),

2. კომპიუტერული მომსახურება (4)

3. კვლევისა და განვითარების სახის მომსახურება (2)
4. მომსახურება უპრავეი ქონების სფეროში (2)
5. გაქირავეების სფეროს მომსახურება შემსრულებლის გარეშე (5)

6. სხვა სახის მომსახურება ბიზნესის სფეროში (19)

II. მომსახურება კომუნიკაციების სფეროში

1. საფოსტო მომსახურება

2. საკურიერო მომსახურება

3. ტელეკომუნიკაციების სფეროს მომსახურება (13)

4. აუდიოვიზუალური მომსახურება (4)

III. მშენებლობა და მასთან დაკავშირებული საინჟინრო მომსახურება (5)

IV. მომსახურება გავრცელების სფეროში (4)

V. მომსახურება განათლების სფეროში (4)

VI. მომსახურება ბუნების დაცვის სფეროში (3)

VII. საფინანსო სფეროს მომსახურება

1. დამლევია (4)

2. საბანკო და სხვა საფინანსო მომსახურება (12)

VIII. ჯანდაცვისა და სოციალური სფეროს მომსახურება (3)

IX. გურიზმი და მოგზაურობა

1. სასტუმროები და რესტორნები (საზღვრების ორგანიზაციების ჩათვლით)

2. სამოგზაურო და გურისტული სააგენტოები,

3. გიდების მომსახურება,

X. გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული მომსახურება (4)

მომსახურების სფეროში გრადიციული და დიდი დარგია საგრანსპორტო მომსახურება.

საგრანსპორტო მომსახურება მოიცავს:

1. საზღვაო-საგრანსპორტო მომსახურებას (მგზავროთა გადაყვანა, ფრაბტი, ტემების ეკიპაჟიანად დაქირაება, ტემების მოვლა და რემონტი, საბუქსირო მომსახურება,

საზღვაო გრანსპორტის დამხმარე მომსახურება).

2. შიდა საწყლოსნო გრანსპორტით მომსახურებას (მგზავრთა გადაყვანა, ფრახტი, გემების ეკიპაჟიანად დაქირაება, გემების მოვლა და რემონტი, საბუქსირო მომსახურება, საწყლოსნო გრანსპორტის დამხმარე მომსახურება).

3. საჰაერო საგრანსპორტო მომსახურებას (მგზავრთა გადაყვანა, ფრახტი, საჰაერო გრანსპორტის ეკიპაჟიანად დაქირაება, საჰაერო გრანსპორტის მოვლა და რემონტი, საჰაერო გრანსპორტის დამხმარე მომსახურება).

4. კოსმოსურ გრანსპორტს,

5. სარკინიგზო საგრანსპორტო მომსახურებას (მგზავრთა გადაყვანა, ფრახტი, სარკინიგზო გრანსპორტის მოვლა და რემონტი, საბუქსირო მომსახურება, სარკინიგზო გრანსპორტის დამხმარე მომსახურება).

6. საავტომობილო საგრანსპორტო მომსახურებას (მგზავრთა გადაყვანა, ფრახტი, მძღოლიანად გრანსპორტის დაქირაება, საავტომობილო გრანსპორტის მოვლა და რემონტი, საავტომობილო გრანსპორტის დამხმარე მომსახურება),

7. მილსადენ გრანსპორტს (საწეავეი მასალის გრანსპორტირება, სხვა საქონლის გრანსპორტირება).

8. ყველა სახის გრანსპორტის დამხმარე მომსახურებას (გვირთების მომსახურება, სასაწყობო და შექმნახველი მომსახურება, საურახტო სააგენტოების მომსახურება და სხვა) და ა.შ. სხვა საგრანსპორტო მომსახურებას.

გრანსპორტი ის დარგია, რომლის ნორმალური ფუნქციონირებაც სცილდება ერთი ქვეყნის საზღვრებს. იგი სახელმწიფოთაშორისი შეთანხმების ერთ-ერთი პირველი პრობლემაა. მასზე დამოკიდებული საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის თითქმის ყველა სახე.

საგრანსპორტო მომსახურება განსაკუთრებულ ყურა-

დღეობას იქცევს ისეთ ქვეყნებში, როგორც საქართველოა, მათი გეოეკონომიკური ფუნქციის გამო.

საგრანსპორტო ღერეფანი საქართველოში რეალობაა. ისიც ფაქტია, რომ იგი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამიგომ აუცილებელია ჯეროვანი ყურადღება დაეთმოს პირველ რიგში ივით გრანსპორტის, შემდეგ დამხმარე მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის მომსახურე კადრებს – მათ მომზადებას, გადამზადებას და მოწვევას, ეკოლოგიური უსაფრთხოების პროგრამებს, დადებითი და უარყოფითი ეკონომიკური ეფექტების პროგნოზირებას და სხვ.

უცხოური ტურიზმი ემსახურება საზღვარგარეთიდან ჩამოსულ ტურისტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას საქონელზე და მომსახურებაზე. მომსახურებაში შედის: სასტუმროში მოთავსება, ქვეყნის შიგნით გადაადგილება, კვება, კულტურულ მოთხოვნათა დაკმაყოფილება, საქმიანი დახმარება, ღოკუმენტების (ვიზების, პასპორტების და ა.შ.) გაფორმება.

უცხოელ ტურისტებს ემსახურება სპეციალური დაწესებულებები - ტურისტული სააგენტოები და ფირმები.

უცხოური ტურიზმი საინტერესოა იმით, რომ იგი ღიდ დანახარჯებს არ საჭიროებს და საკმაოდ მომგებიანი დარგია.

II.3. საერთაშორისო სამეცნიერო-გექნიკური თანამშრომლობა

საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სამეცნიერო-გექნიკური თანამშრომლობა, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სამეცნიერო-გექნიკური მიღწევები (ლიცენზიებით და - „ნოუ ჰაუ“-თი) ვაჭრობა.

სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებს ყოფენ ორ ჯგუფად: დაპატენტებულად და მის გარეშე. პატენტი წარმოადგენს სამრეწველო საკუთრების დაცვის ფორმას. მის მფლობელს გააჩნია მონოპოლიური უფლება დაპატენტებულ გამოგონებაზე. პატენტს გასცემს შესაბამისი სახელმწიფო ორგანო.

პატენტის არსებობის შემთხვევაში სამეცნიერო-ტექნიკურ ეაჭრობაში სარგებლობენ ლიცენზიებით. ლიცენზია არის პატენტმფლობელის მიერ სხვა პირზე გადაცემული უფლება გამოგონების გამოყენების შესახებ. განასხვავებენ უბრალო, გამონაკლის, სრულ და სუბლიცენზიებს. უბრალო ლიცენზირების შემთხვევაში გამყიდველი მყიდველს აძლევს უფლებას გამოგონება გამოიყენოს განსაზღვრულ გერიგორიაზე და იგივე უფლებას იგოვებს თვითონაც. გამონაკლისი ლიცენზირების შემთხვევაში გამყიდველი თვითონ არ იგოვებს უფლებას გამოიყენოს გამოგონება შეთანხმებულ გერიგორიაზე და მით უმეტეს არ შეუძლია მისი გადაცემა მესამე პირისთვის. სრული ლიცენზირება ეს უაქტიურად პატენტის გაყიდვას ნიშნავს. სუბლიცენზირების შემთხვევაში მყიდველს შეუძლია გამოგონების გამოყენების ნება ღართოს მესამე პირსაც. საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ ეაჭრობაში ღიდაღ ფასობს დაპატენტებული გამოგონებები საერთოდ, მით უმეტეს, თუ ისინი უკვე ათვისებულია წარმოებაში. კამათს არ იწვევს, რომ ლიცენზიებით ეაჭრობა ურთულესი სუფროა. განსაკუთრებით პრობლემურია სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევათა შეფასება - ფასის განსაზღვრა ლიცენზიაზე.

რიგ შემთხვევებში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების აეგორები შეგნებულად თავს არიღებენ საკუთარი გამოგონების დაპატენტებას. ასეთი გამოგონებები - წარმოების სიახლეები, საწარმოო გამოცდილება და საიდუმლოებები, წარმოების მართვის ახალი მეთოდები და ა.შ. ცნობილია

„ნოუ-ჯაუ“-ს სახელწოდებით.

დაპატენტებული თუ დაუპატენტებელი სიახლეების შეფასება ხდება მყიდველის მიერ მიღებული ეკონომიკური ეფექტის საფუძველზე, სალიცენზიო ხელშეკრულების მთელი პერიოდისთვის.

III. საბარაო ეკონომიკური კავშირების ახალი ფორმები

III.1. დარგობრივი თანამშრომლობა
პირდაპირი კავშირებით. საზღვარგარეთის
ქვეყნებთან სანაპირო-სასაზღვრო ვაჭრობა.

საერთაშორისო ეკონომიკურ და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში საქმიანი კონტაქტების პროგრესულ ფორმას წარმოადგენს დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით. მისი თავისებურებაა არა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, არამედ კონტაქტების უშუალოება, როდესაც გადაწყვეტილებათა მიღების მრავალსაფეხურიანობა დაყვანილია მინიმუმამდე.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირდაპირი კავშირების როლი იზრდება. ეს აიხსნება იმიტომ, რომ ჯერ ერთი, პირდაპირი კავშირი შესაძლებლობას იძლევა მივიღოთ დიდი ეკონომიკური ეფექტი, მეორე, უშუალო კავშირი სტაბილურ და ხანგრძლივ ხასიათს აგარებს. კავშირის ხანგრძლივობა უზუნველყოფს საწარმოო სიმპლავრეების სრულ გამოყენებას, რესურსების ეკონომიას, ისეთი პროდუქციის წარმოების ზრდას, რომელიც თავისი ტექნიკური დონითა და ხარისხით არ ჩამორჩება მსოფლიოს მიღწევებს; მესამე, კავშირის ხანგრძლივობა შესაძლებელს ხდის ვმართოთ პროდუქციის ხარისხი, ავამაღლოთ

მშრომელთა კვალიუიკაცია და წარმოების კულტურა; მეოთხე, პირდაპირი კავშირი იძლევა სამეურნეო კონტაქტების ოპერატიულობის გარანტიას.

დარგობრივი თანამშრომლობის პირდაპირი კავშირი აერთიანებს სასაქონლო გაცელას (მათ შორის საეაქრო ვარიგებებს ბარტერულ საფუძველზე), საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას, ერთობლივი საწარმოების ექსპლოატაციას, სასაზღვრო ვაჭრობას პირდაპირი კავშირებით და ა.შ. [61].

განიხილება პირდაპირი კავშირების განვითარების სამი ხარისხი და შესაბამისად საწარმოების სამი ჯგუფი:

- საწარმოები, რომლებსაც სურთ თანამშრომლობა პირდაპირი კავშირების საფუძველზე საზღვაგარეთელ პარტნიორებთან, მაგრამ არ გააჩნიათ მათზე სწორი ორიენტაცია;

- საწარმოები, რომლებიც სწავლობენ ერთმანეთს (სწავლობენ ურთიერთ ტექნიკას, ტექნოლოგიას და საწარმოო პროცესებს);

- საწარმოები, რომლებმაც განახორციელეს უკვე პირდაპირი კავშირები.

დღესდღეობით ყველაზე დიდია პირველი ჯგუფი. ანალოგიური მდგომარეობა კიდევ კარგა ხანს გავრძელდება, რაც აიხსნება იმით, რომ მიუხედავად ეკონომიკური დაინტერესებისა პარტნიორის ძიება არის რთული და ხანგრძლივი პროცესი. თანაკოოპერანტების შერჩევის დრო არსებითად შემცირდება, თუ შეიქმნება სპეციალური საინფორმაციო ბანკები, გამოიყენა კატალოგები პოტენციალურ პარტნიორებზე, წარმოებული პროდუქციის სახეებზე და ტიპებზე, ფასებზე, ბაზრის კონიუნქტურაზე და ა.შ.

დარგობრივი თანამშრომლობის პირდაპირი კავშირების დასაბუთებისა და განხორციელების ოპერატიულობის ამაღლების მიზნით საჭიროა:

- პარტნიორებმა მოიძიონ „ახალი“ საექსპორტო საქონელი და აამაღლონ საკუთარი პროდუქციის კონკურენტუნარიანობა საგარეო ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;

- გამოყენებულ იქნეს პირდაპირი კავშირების უმნიშვნელოვანესი რეზერვი-მარკეტინგი, რომლის პრაქტიკული რეალიზაციის მასშტაბებიც დღესდღეობით ითულება არაღამაკმაყოფილებლად, თუნდაც ეკონომიკური ინფორმაციის დეფიციტის გამო;

- შეიქმნას საინფორმაციო ბანკი საზღვარგარეთის ფირმების საქმიანობაზე, მათ პროფილზე და ავტორიტეტზე საქმიან წრეებში; შესაძლებელი უნდა იყოს კონსულტაციების მიღება მათზე;

- რეკლამის როლის გააქტიურება;

- წარმოებულ პროდუქციაზე ფასების გადასინჯვა; კოოპერირებულ პროდუქციაზე ფასწარმოქმნის მექანიზმის სრულყოფა აუცილებელია რამეთუ ფასები ასტიმულირებენ საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკურ კავშირებს, ქმნიან ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების შესაძლებლობებს, როცა პარტნიორებს აქვთ წარმოების მაღალი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ორგანიზაციული დონე. იმ შემთხვევაში, როცა პარტნიორების დონეები არსებითად განსხვავდება, გამოყენებულ უნდა იქნას „სახელშეკრულებო“ ფასები.

- სავალუტო-საფინანსო ინსტრუმენტარის სრულყოფა და ა.შ.

ამრიგად, პირდაპირი კავშირები არის საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავების პერსპექტიული გზა. სიძნელეების დაძლევა, რომლებიც დაკავშირებულია მათ დამყარებასთან, არის არა ერთჯერადი აქტი, არამედ ეტაპობრივად გადასაწყვეტი რთული პროცესი.

თანამედროვე ეტაპზე აქტიურად მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართულებების ძიება. საერთაშორისო თანამშრომლობის ხელსაყრე-

ლი პირობები გააჩნიათ ტერიტორიულად მოსაზღვრე ქვეყნებს. სასაზღვრო-სანაპირო ვაჭრობაში დიდ როლს თამაშობს ინფრასტრუქტურის საერთო ელემენტები. ისტორიული გრადაციების, ეთნიკური და კულტურული სიახლოვე, მსგავსი ბუნებრივ - კლიმატური პირობები, ინფორმაციის სწრაფი გადაცემის შესაძლებლობა, სატრანსპორტო დანახარჯების სიმცირე.

სასაზღვრო-სანაპირო ვაჭრობის შექმნომ განვითარებაში არსებით ადგილს დაიკავეს დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით და მომსახურების გაცემა.

საჭიროა გამარტივებული საბაჟო ფორმალბები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მართვის ადგილობრივი ორგანოების კომპეტენციის გაფართოება საგარეო ეკონომიკურ სფეროში. სასაზღვრო ვაჭრობის მასშტაბების გაფართოება შესაძლებელია გადაიზარდოს ურთიერთ-თანამშრომლობის სპეციალურ ზონებში.

III.2. ერთობლივი საწარმოები

III.2.1. ერთობლივი საწარმოების არსი და მიზანი

ერთობლივი საწარმო საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი, პროგრესული ფორმაა. სპეციალისტების აზრით იგი არსებით როლს ასრულებს მოთანამშრომლე ქვეყნების სამეურნეო მექანიზმების ოპტიმალური ფუნქციონირების საქმეში, ხელს უწყობს რა საწარმოთა უშუალო მონაწილეობას შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესში.

ერთობლივი საწარმოების შექმნა ობიექტური აუცილებლობით მოითხოვა სამეურნეო კავშირების განვითარების ისტორიულმა პროცესმა. ერთობლივი საწარმოები მსოფლიო პრაქტიკამ აღიარა. განსლა საერთაშორისო ერთობათა ახალი ფორმა, საერთაშორისო საწარმოო ურთიერთობების სახით.

ერთობლივი საწარმოს ცნების ქვეშ იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნის იურიდიულ პირებს (სამეურნეო ერთეულებს) შორის ისეთი საწარმოო-სამეურნეო საქმიანობა - რომლის მაგერიალურ საფუძველსაც წარმოადგენს დამფუძნებელთა (პარტნიორთა) კაპიტალი, საწესდებო ფონდში შენაგანების სახით;

- როცა პარტნიორები ერთობლივად ასორციელებენ საწარმოს მართვას; თანაბარი უფლებითა და პასუხისმგებლობით ინაწილებენ მოგებასა და სამეურნეო თუ კომერციულ რისკთან დაკავშირებულ შედეგებს; თანამშრომლობენ საწარმოს უსუქციონირების პერიოდში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. შეთანხმებისამებრ; დამოუკიდებლად განსაზღვრავენ წარმოების მოცულობასა და რეალიზაციის პირობებს; უზრუნველყოფენ წარმოებას შესაბამისი რესურსებით და სხე.

ერთობლივი საწარმო გერიგორიულად აუცილებლად განლაგებული უნდა იყოს ერთ-ერთი დამფუძნებლის ქვეყანაში.

ერთობლივი საწარმოების შექმნის მიზანია:

- მოთანამშრომლე ქვეყნების საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება;

- განსაზღვრული სახის სამრეწველო პროდუქციაზე, ნედლეულზე და სასურსათო საქონელზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება;

- მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის, საწარმოო

გამოცდილების, დამატებითი მაკერიალური და ფინანსური რესურსების მოზიდვა;

- საექსპორტო ბაზის განვითარება;
- არარაციონალური იმპორტის შექმნილობა;
- საერთაშორისო დაეალიანების დამატებითი გაზრდის გარეშე კაპიტალის აქტიური იმპორტი მწარმოებლური ფორმით.

ერთობლივი საწარმო მიმზიდველი და ამავე დროს პარტნიორული თანამშრომლობის საკმაოდ რთული ფორმაა. საჭიროებს დიდი მოცულობის სამუშაოების ჩატარებას - სპარტლებრივი, ეკონომიკური და მრეეალი სხვა საკითხის ანალიზთან დაკავშირებით. მოითხოვს თანამშრომლობის კონკრეტული პირობების გათვალისწინებას და ა.შ.

ერთობლივი საწარმო მოწოდებულია გახდეს დამუყქნეული ქეყნის ეკონომიკური კომპლექსის ორგანული შემადგენელი ნაწილი. იქმნება სამრეწველო საწარმოს, სავაჭრო ფირმის, დანერგვის, სურვისული ან სხვა ორგანიზაციის ფორმით.

დასაწყისშივე ხაზი უნდა გაესკას ერთ უმნიშვნელოვანეს მომენგს. იმისათვის, რომ ერთობლივმა საწარმომ ხელი შეუწყოს დამუყქნეული ქეყნების წინაშე მდგარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. პროცესი უნდა ატარებდეს მასშტაბურ ხასიათს, აუცილებელია პარტნიორული დამოკიდებულების ფართო წრეშე გასკლა.

ერთობლივი საწარმოების შექმნა პროცესულად რთულია. მას წინ უძღვის რიგი მოსამზადებელი სამუშაოები - ერთობლივი საწარმოს შექმნის აუცილებლობის დასაბუთება; პარტნიორის ძიება; მასთან მოლაპარაკება; წინადადებების მომზადება მომავალი ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად. ადგილობრივ დამუყქნეულს მოეითხიება, როგორც საკუთარი საფინანსო, ეკონომიკური და

იურიდიული სტაგუსის ცოდნა, ისე პარტნიორის შესაძლებლობებში და უფლებებში გარკვევა და სხვა.

ერთობლივ საწარმოს ახასიათებს:

- ორგანიზაციული ერთიანობა, ის ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელობას. მართვის უმაღლესი ორგანოა საბჭო (გამგეობა). საბჭოს წევრებს ირჩევენ პარტნიორები თვითონ. მიმდინარე სამუშაოების ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექცია, საბჭოს მიერ დანიშნული. მართვის ორგანოების ფორმირება ხდება როგორც ადგილობრივი, ისე სამღვარგარეთელი მოქალაქეების შემადგენლობით.

- ეკონომიკის ერთიანობა. მაგერიალურ-გექნიკური, ფინანსური და შრომითი რესურსების ერთიანობა.

ერთობლივი საწარმო იქმნება საწესდებო ფონდის ხარჯზე. შემდგომში, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხდება მისი შევსება მოგების სათანადო ნაწილით და დამატებითი შენატანებით. გარდა საწესდებო ფონდისა, საწარმოს გააჩნია წარმოების ნორმალური მსვლელობისთვის აუცილებელი და კოლექტივის სოციალური განვითარების მიზნებისთვის განკუთვნილი სარეზერვო და სხვა ფონდები.

ერთობლივ საწარმოებს აქვთ დამოუკიდებელი ბალანსი. საწარმო იხდის გადასახადებს სახელმწიფო ბიუჯეტში. პარტნიორებს შორის წმინდა მოგება ნაწილდება საწესდებო ფონდში მათი წილის პროპორციულად.

- საწარმო-გექნიკური ერთიანობა. ფლობს დასრულებულ სამეურნეო ციკლს.

- სათანადო რეგისტრაციის შემდეგ ერთობლივი საწარმო აღჭურვილია იურიდიული პირის უფლებებით. იქმნება მონაწილეთა (კონტრაგენტთა) შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. აქვს წესდება. შეუძლია: ხელშეკრულების დადება სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან

და ფიზიკურ პირებთან; წარმოქმადგენლობებისა და ფილიალების გახსნა; ქონების შექმნა და გასხვიება; საგარეო ეკონომიკური კავშირების დამყარება და ა.შ.; პასუხისმგებელია ნაკისრ ვალდებულებებზე სასამართლოსა და არბიტრაჟის წინაშე.

ერთობლივი საწარმოს სამართლებრივი ფორმებიდან ძირითადად შეიძლება გამოიყოს სააქციო საზოგადოება (სს) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს).

III.2.2. პარტნიორის შერჩევა, მოლაპარაკება, წინასწარი შეთანხმება და წინადადებების დამუშავება ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ.

ერთობლივი საწარმოს შექმნის აუცილებლობის დასაბუთება.

ერთობლივი საწარმოს შექმნა იწყება პარტნიორთა შესაძლებლობების შესწავლით. პარტნიორთა შესაძლებლობები შეისწავლება ან ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ან გექნიკური, ან ორგანიზაციული თვალსაზრისით. ამისთვის იქმნება სპეციალური დოკუმენტი. მომავალში ეს დოკუმენტი საფუძვლად ედება ახალი საწარმოს გექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას და წარედგინება სათანადო ორგანოს სარეგისტრაციოდ სხვა დოკუმენტებთან ერთად.

ადგილობრივი მხარისთვის, სამუშაო იწყება კონკრეტული სახის პროდუქციის ან მომსახურების შერჩევით, რომელიც უნდა აწარმოოს მომავალმა ერთობლივმა საწარმომ. ამ მიზნით საჭიროა შექმნა ძირითადი მოქმედებების განხილვა:

- აქვს თუ არა შერჩეულ საქონელს გასაღების ზრდის

პერსპექტივა;

- გამოკვლეული უნდა იქნას ფასების დინამიკა მოცემულ პროდუქციაზე პერსპექტივაში;

- აუცილებელია იმის ცოდნა, გამოიწვევს თუ არა აღნიშნული საქონელი ბაზრის შემდგომი გაჯერების გაზრდასა და აქედან გამომდინარე ფასის დაცემას მასზე;

- იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივმა საწარმომ პროდუქცია უნდა აწარმოოს შიგა ბაზრისთვის. აუცილებელია დაზუსტდეს ხომ არა აქვს მთავრობას რომელიმე სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულება აღნიშნული საქონელის იმპორტზე;

- დაზუსტებული უნდა იქნას ტექნოლოგიურად რამდენად გამართლებულია არჩეული საქონელის წარმოება, როგორ გავლენას მოახდენს იგი გარემოზე, რამდენად იქნება უმრუნელყოფილი წარმოება ადგილობრივი ნედლეულით;

- შეფასებული უნდა იქნას, იქნება თუ არა წარმოება რენტაბელური მსოფლიო ბაზრის ფასების გათვალისწინებით.

ჩამოთვლილი პირობების გათვალისწინებით, საწყის (ნულოვან) ეტაპზევე ყოველად სასურველია მომავალი წარმოებისა და მოსალოდნელ რისკთა მრავალფარიანტული გაანგარიშებების ჩატარება. შეიძლება მსგავსი გაანგარიშებების ჩატარება ვერ მოხერხდეს ადგილობრივი ძალებით. მაშინ რეკომენდირებულია მოწვეული (მათ შორის უცხოეთიდანაც) ექსპერტებისა და კონსულტანტების სამსახურით სარგებლობა. ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ერთობლივი საწარმოს შექმნა, მისი აუცილებლობის დასაბუთებით დაწყებული, დაკავშირებულია გარკვეულ სარჯებთან. ვფიქრობთ ეს ერთობ ანგარიშგასაწვევი მომენტია. შეიძლება საწარმო არც კი შეიქმნას, მაგრამ პარგნიორებს (პოტენციალური პარტნიორები გვყავს მხედველო-

ბაში) დასჭირდეთ გარკვეული დანახარჯების კომპენსაცია.

და ბოლოს, მას შემდეგ, რაც გაირკვევა რომ შეეშავებული პროექტი მისაღებია და ოპტიმალური იწყება უცხოელი პარტნიორის ძიება და შერჩევა.

პოტენციალურ პარტნიორთა შერჩევა.

მრავალი ქვეყნის გამოცდილება ამტკიცებს, რომ პარტნიორის ძიება და შერჩევა ყველაზე პასუხსაგები მომენტია ერთობლივი საწარმოების შექმნის გზაზე. ჯერ იწყება უცხოელი პარტნიორის ძიება. გროვდება ინფორმაცია საზღვარგარეთის იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც შეიძლება გახდნენ პოტენციალური პარტნიორები, გამომდინარე იქიდან, რომ ადგილობრივმა დამფუძნებელმა იცის რა გიპის წარმოება უნდა რომ გახსნას, იცის საკუთარი შესაძლებლობებიც, უცხოეთიდან რა ესაპიროება და როგორი პირობებით ისიც იცის.

პოტენციალურ პარტნიორებზე ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნას:

- საწარმოების, გაერთიანებების, ფირმების, სამინისტროების, დეპარტამენტების საკუთარი წყაროებიდან;
- საგარეო ეკონომიკურ სამსახურებში;
- საეაპრო-სამრეწველო პალატებში და სხვა ორგანიზაციებში.

პარტნიორის ძიება და შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს მსოფლიო პრაქტიკაში საერთოდ აღიარებულ სისტემას. ამ სისტემის თანახმად ხდება გარკვეული კრიტერიუმების დახმარებით რამოდენიმე, ვთქვათ 8 ან 10 ფირმის შერჩევა შემდგომი დეტალური შესწავლის მიზნით.

უცხოური ფირმების შესასწავლად გროვდება ინფორმაცია, როგორც ძირითადი ისე დამხმარე. ფირმის საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებს მიაკუთვნებენ თანაფარდობას საკუთარ და ნასესხებ კაპიტალს შორის; აქტივების რაოდე-

ნობას და დინამიკას ბოლო 2-3 წლის განმავლობაში; ძირითად და საბრუნავ კაპიტალს შორის თანაფარლობას; წარმოებაში დასაქმებულთა რაოდენობას; მოგების დინამიკას ბოლო 2-3 წლის განმავლობაში და საბღვარგარეთ გაყიდული საქონლის რაოდენობას. რაც შეეხება დამხმარე ინფორმაციას იგი ეხება, მაგალითად თანაფარლობას მოგებასა და დანახარჯებს შორის, შრომის ნაყოფიერებას, ერთეულ ინვესტიციაზე პროდუქციის ნამრდსა და ა.შ.

ძირითადი და დამხმარე ინფორმაციის ანალიზის შემდეგ ხდება 3-4 პარგნიორის ამორჩევა, რომლებსაც ეგზავნებათ წინადადება ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე სათანადო პირობებით.

ამრიგად, ყველა შემთხვევაში პარგნიორის შერჩევამდე საწარმოს შექმნის მსურველს

1. წინასწარ განსაზღვრული უნდა ჰქონდეს მომავალი საწარმოს გარკვეული მოდელი, რათა არ დაკარგოს დრო ნაკლებად პერსპექტიული წინადადებების გარჩევაზე. მომავალში შესაძლებელია ეს მოდელი გარკვეულწილად შეიცვალოს. მოდელში განხილული უნდა იქნას მომავალი საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური მოღვაწეობა, საერთო კაპიტალის მოცულობა, უცხოელი პარგნიორის წილი; წარმოების მოცულობა და მოგება წლის განმავლობაში, მუშაკების საერთო რაოდენობა და მასში უცხოელი სპეციალისტების წილი; აუცილებელი მოწყობილობის ძირითადი პარამეტრები და საერთო საწარმოო ფართობი;

2. მოეთხოვება ზუსტად იცოდეს რა მიზნები და შესაძლებლობები აქვს თვითონ და რას სთავაზობს უცხოელს.

პარგნიორის შერჩევის პროცედურის განხილვისას უნდა აღინიშნოს ისიც, რომ არსებობს საერთაშორისო გენდერების პრაქტიკაც. საერთაშორისო გენდერებს აქვს კონკურსის ფორმა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს ღია ან დახურული წესით.

მოლაპარაკება რეალურ პარტნიორობას და განზრახვის ოქმის გაფორმება.

მოლაპარაკების დაწყებამდე მაქსიმალურად უნდა შევჯეროდე ის ფორმაცია პოტენციურ პარტნიორზე სხვადასხვა არხების საშუალებით. სასურველია ამ ეტაპზე პარტნიორმა წარმოადგინოს საბუთები თაყვისი ეკონომიკური, ფინანსური და იურიდიული სტატუსის შესახებ. მოსალაპარაკებლად შეთანხმებული პარტნიორები ანუ რეალური პარტნიორები შეიძლება არსებითად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: სტატუსით, მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობებით, ავტორიტეტით, იმ ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობით, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან. ამას შეიძლება თან დაერთოს არსებითი განსხვავება მომავალ დამუშავებულთა მიზნებში და საქმიანობის მეთოდებშიც. აუცილებელია წინასწარი ვარაუდები პარტნიორთა მიზნებისა და საქმიანობის მეთოდების ურთიერთთავსებადობაზე.

ამის შემდეგ იწყება მოლაპარაკება.

მოლაპარაკების დროს თანხმდება საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურის საკითხები, შენატანების ოდენობა და მონაწილეობა, მოღვაწეობის ხასიათი. შემდეგ ფორმდება განზრახვის ოქმი. იწყება წინადადებების მომზადება ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პარტნიორებს შორის მოლაპარაკება მთავრდება ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის ვადის განსაზღვრით.

ხელშეკრულების მომზადება.

როგორც გემოთ აღვნიშნეთ, მოლაპარაკება რეალურ პარტნიორებს შორის მთავრდება განზრახვის ოქმის ხელმოწერით, რომელიც სასურველია დასრულებული იყოს ფრაზით, რომ „იგი არ აკისრებს მხარეებს არაერთმხრივ პასუხისმგებლობას“, რამდენადაც განსაკუთრებით დასავლეთში თუნდაც სიგყვიერი შეთანხმება შეიძლე-

ბა გახდეს იურიდიული პასუხისმგებლობის საფუძველი.

მოლაპარაკებათა შემდგომ ეტაპზე განსჯის საგანი ხდება ხელშეკრულების ცალკეული მუხლები.

არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების სახეს, ხელმოწერის მომენტს, ხელმოწერის ადგილს, ხელისმომწერი პირების გამოყოფას და თვით ხელმოწერის აქტს.

ხელშეკრულების ხელმოწერა უნდა მოხდეს სარეგისტრაციო ორგანოში რეგისტრაციაზე წარდგენამდე. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულება ხელმოწერილი იქნება და დაიწყებს რეგისტრაციამდე მოქმედებას ყოველგვარ ცვლილებას მასში დასჭირდება დამატებითი მოლაპარაკებები და გარდა ამისა ეს შეიძლება გახდეს ერთ-ერთი პარტნიორის მიერ კომპენსაციის მოთხოვნის მიზეზი. თავი რომ აეარიდოთ მსგავს უსიამოვნო სიტუაციას უმჯობესია ვისარგებლოთ ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადების, ხელმოწერისა და დამტკიცების შემდეგი სქემით:

- განზრახვის ოქმის მომზადება და ხელმოწერა;
- დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადება;
- დამფუძნებელი დოკუმენტების ხელმოწერა;
- ხელმოწერილი და ნოტარიალურად დამოწმებული დოკუმენტების წარდგენა სარეგისტრაციოდ.

შემდეგი საკითხი ეხება ხელშეკრულების ხელმოწერის ადგილს, როგორც წესი ყოველგვარი ხელშეკრულების შესრულება ხდება იმ ქვეყნის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სადაც მოხდება მისი ხელმოწერა, იმ გამონაკლისის გარდა თუკი თვით ხელშეკრულებით არ იქნება გათვალისწინებული რაიმე სხვა პირობა. მოლაპარაკებისა და ხელშეკრულების გაფორმების საწყის სტადიაზევე უნდა იყოს განსაზღვრული ცალსახად ერთობლივი საწარმოს ადგილმდებარეობის საკითხი, ამ უკანასკნელიდან გამომდინარე კი მარტივად გადაწყდება საკითხი ხელშეკ-

რელების ხელმოწერის ადგილის შესახებ.

ყოველივეს შემდეგ ღკება საკითხი ერთობლივი საწარმოს სარევისგრაციოდ დამფუძნებელი დოკუმენტების მომზადების შესახებ.

III.2.3. ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტები

ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი დოკუმენტების შედგენა იწყება განზრახვის ოქმის გაფორმებით. როგორც გემოთი აღენიშნეთ პარგნიორებს შეუძლიათ ამ დოკუმენტში განიხილონ მომავალი საწარმოს ძირითადი საუინანსო-ეკონომიკური პარამეტრები, ხელშეკრულებისა და წესდების უმნიშვნელოვანესი დებულებები, საკუთარი შეხედულებისამებრ.

მოლაპარაკების შემდგომ ეტაპზე განსჯის საგანი ხდება ხელშეკრულება და წესდება. ხელშეკრულებაში თიავმოყრილია პარგნიორთა ურთიერთივალდებულებები. მისი მიღებისთინავე სასურველია ძალადაკარგულად ჩიითივალს ყველა სხვა მინამდევ მიღებული დოკუმენტი. ეს მოთხოვნა მომავალმა დამფუძნებლებმა უნდა დააფიქსირონ ხელშეკრულებაში. კიდევ ერთი მომენტი. წინასწარ უნდა იყოს შეთანხმებული ხელშეკრულების ძალაში შესელის თარიღი. მას მოქმედების დიწყება შეუძლია ან ხელმოწერისთინავე ანდა რევისგრაციის შემდეგ, იმისდა მისედვით თუ როგორაა ეს განსაზღვრული, შეთანხმებული და დიფიქსირებული წერილობით დამფუძნებლების მიერ. განზრახვის ოქმის, ხელშეკრულებისა და წესდების გარდა ერთობლივი საწარმოს შესაქმნელად საჭიროა გექსიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. ამ დოკუმენტის შეთანხმება ხდება ყველა მონაწილესთან, რაც დასტურდება სათინალო ხელმოწერებითა და ბეჭდით.

განზრახვის ოქმი, ხელშეკრულება, წესდება და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება მიეკუთვნება კანონმდებლობით მოთხოვნილ დოკუმენტთა ჯგუფს. სასურველია დამატებით კიდეც:

1. შედგეს ცნობა მონაწილეების შესახებ. ეს ცნობა წარმოადგენს ან საეაჭრო რეესტრიდან ამონაწერს, ან დამფინანსებელი ბანკის ცნობას, ან სპეციალური დაწესებულების ცნობას კრედიტუნარიანობის შემოწმების შესახებ.

2. თუ კი გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოს პროდუქციის რეალიზაცია საბლვარგარეთ განსაზღვრული საეაჭრო ან საშუაშაელო ფირმების მეშვეობით, მაშინ დამფუძნებლებს უნდა ჰქონდეთ ამ ფირმების თანხმობის წერილიც.

3. საბანკო კრედიტის აუცილებლობის შემთხვევაში დამფუძნებელ დოკუმენტებს უნდა ახლდეს ბანკთან შეთანხმების პროექტი.

4. დებულება ფონდების (სარეზერვო და სხვა) შესახებ.

შემდეგ ხდება ხელშეკრულებისა და წესდების ხელმოწერა მხარეების მიერ. ხელმოწერის შემდეგ ძალაში შედის სახელშეკრულებო ურთიერთობები პარტნიორებს შორის. იმ შემთხვევებშიც კი როცა მთლიანობაში ხელშეკრულება ვერ შედის ძალაში, მოქმედებაში რჩება მისი ცალკეული დებულებები. მაგალითად, ხარჯების კომპენსაცია ერთობლივი საწარმოს მოსამზადებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

ახლა უფრო დეტალურად განვიხილოთ ერთობლივი საწარმოს დაფუძნებასთან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები.

ხელშეკრულება და წესდება.

ხელშეკრულება ერთობლივი საწარმოს შესახებ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელშიც ამომწურავადაა პასუხი გაცემული პარტნიორებს შორის დამოკიდებულებაზე ერ-

თობლივი საწარმოს შექმნის, უუნქციონირებისა და ლიკვიდაციის დროს.

ხელშეკრულება მოიცავს ისეთ მუხლებს, როგორცაა [26]:
- მონაწილე მხარეთა დასახელება, იურიდიული სტატუსი, მისამართი;

- ერთობლივი საწარმოს დასახელება;
- ერთობლივი საწარმოს საქმიანობის სფეროს განსაზღვრა;
- საწესდებო ფონდის მოცულობა და პარტნიორთა წილი მასში;

- ერთობლივი საწარმოს მართვა;
- ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- ერთობლივი საწარმოს ლიკვიდაციის პირობები.

იმისთვის, რომ დამფუძნებლებს შესაძლებლობა ჰქონდეთ თავისუფლად შეცვალონ (შეამცირონ, გაზარდონ, ან ერთი პარტნიორი შეცვალონ მეორეთი) პარტნიორთა წრე სასურველია ხელშეკრულებაზე ზოგადი სათაურის გაკეთება. მაგალითად, დასათაურება „ხელშეკრულება ერთობლივი საწარმოს... შესახებ“ უფრო უკეთესია, ვიდრე „ხელშეკრულება საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი საწარმოს... შესახებ“.

ერთობლივი საწარმოს მონაწილე მხარეების დასახელებისა და მისამართის ჩვენებასთან ერთად მიეთითება მათი იურიდიული სტატუსიც. ხელშეკრულებაში ცალსახად უნდა ჰქონდეს პასუხი გაცემული ისეთ კითხვას, როგორცაა აგებს თუ არა პასუხს ერთობლივი საწარმო დამფუძნებელი საწარმოების ვალდებულებებზე და პირიქით. არა, ერთობლივი საწარმო პასუხს არ აგებს დამფუძნებელთა ვალდებულებებზე და პირიქით, დამფუძნებლები პასუხს არ აგებენ ერთობლივი საწარმოს ვალდებულებებზე.

განსაკუთრებული მთხიონეები წაეყენება ერთობლივი საწარმოს დასახელებას. ის არ უნდა იმეორებდეს სხვა

საწარმოთა დასახელებას დამფუძნებელი ქვეყნის საეკონომიკური რეესტრიდან. მსგავსი დასახელება არ უნდა არსებობდეს იმ ქვეყნებშიც, რომლებთანაც გათვალისწინებულია ერთობლივი საწარმოს თანამშრომლობა. ვარდა ამისა, ერთობლივი საწარმოს დასახელება არ უნდა იყოს დიდი (რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობის სიტყვებს უნდა მოიცავდეს. მაგალითად არა უმეტეს სამი სიტყვისა). სასურველია ერთობლივი საწარმოს დასახელება არ საჭიროებდეს გადათარგმნას. რეკომენდირებულია დასახელება ლათინურ ან ბერძნულ ენაზე.

ხელშეკრულებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მონაწილე მხარეების უფლებებს. პარტნიორებს უფლება აქვთ: აირჩიონ საწარმოს დირექცია და სხვა უმაღლესი ორგანოები; მიიღონ მათთვის კუთვნილი ქონების ნაწილი.

ერთობლივ საწარმოებში მოგების განაწილება პარტნიორებს შორის ხდება წილის პროპორციული სიდიდით საწესდებო ფონდში. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა აქვს წილობრივი მონაწილეობის ობიექტურ შეფასებას.

ხელშეკრულებით წინასწარ უნდა განისაზღვროს მისი მოქმედების ვადა და საზღვარგარეთელი პარტნიორის ერთობლივ წარმოებაში აუცილებელი მონაწილეობის პერიოდი.

ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ხელშეკრულების დანართს წარმოადგენს წესდება.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.

ერთობლივი საწარმოს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ფაქტიურად წარმოადგენს საწარმოს საფინანსო გეგმას [26] და მოიცავს:

1. გამოსაშვები პროდუქციის ბაზრის გამოკვლევას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

2. გამოსაშვებ პროდუქციაზე ფასების შესწავლას;

3. წარმოების დანახარჯების ანალიზს.

გამოსაშვები პროდუქციის ბაზრის, ფასებისა და წარმოების

დანახარჯების ანალიზი შესაძლებელს ხდის დადგინდეს რამდენად რენტგაბელური იქნება მოძიებული საწარმო და რამდენად შეძლებს იგი დაუაროს საკუთარი საქალუგო ხარჯები.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება მუშავდება შემოსავლებისა და გასავლების ბალანსის სახით. სასურველია, რომ საწარმო პირველი დღიდანვე იყოს რენტგაბელური. დასაშვებია ისეთი სიგუაიაც, როცა რენტგაბელობის სასურველ დონეს საწარმო აღწევს მეორე-მესამე წელს. ასეთ შემთხვევაში მეორე-მესამე წლიდან დაწყებული საწარმოს მოგება უნდა იყოს ისეთი, რომ მან დაუაროს წინა წლების ზარალი. ამისთვის საჭიროა ერთი მეგად მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინება... საწარმომ თავის ბალანსში არაფრით არ უნდა უჩვენოს წაგება.

ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კონკრეტული სახე დამოკიდებულია წარმოების ხასიათზე. ყველა შემთხვევაში იგი უნდა მოიცავდეს:

- ამონაგებისა და მოგების საერთო ჯამის შეფასებას, როგორც ადგილობრივი დამფუძნებლისთვის, ისე საზღვარგარეთელი პარტნიორისთვის;

- შემოსავლების განაწილების სავარაუდო ვარიანტის შეფასებას ადგილობრივი დამფუძნებლის ინტერესებიდან გამომდინარე.

III.2.4. ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის განსაზღვრა, შექმნა და მიზნობრივი გამოყენება

საწესდებო ფონდის განსაზღვრა. მისი შემადგენელი ელემენტები.

ერთობლივი საწარმოს დამფუძნებელი ლოკუმენტების უმნიშვნელოვანესი ელემენტია საწესდებო ფონდი. ერთობლივი საწარმოების შექმნის პროცესში არსებითია

საწესდებო ფონდის მოცულობის განსაზღვრა, შექმნა და მიზნობრივი გამოყენება.

საწესდებო ფონდი არის დამფუძნებლების მიერ გაღებული იმ საშუალებებისა და უფლებების ერთობლივი შეფასება, რომელიც აუცილებელია საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად. იგი აერთიანებს:

- მაგერიალურ ფასეულობათა ღირებულებას - საწარმოს დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ბუნებრივი რესურსებით, შენობებით, ნაგებობებით სარგებლობის უფლებას, ტექნიკას, ტექნოლოგიას და ა.შ.;

- ფულად საშუალებებს - ნაღდ ანგარიშზე ან კრედიტის;

- ძირითადი და საბრუნავი საშუალებების შესყიდვისა და გრანსპორტირების ხარჯებს;

- ქონებრივ ან სხვა უფლებებს (მაგალითად, „ნოუ-ჰაუ“-თი სარგებლობის უფლება).

საწესდებო ფონდის ელემენტები შეიძლება იყოს როგორც საკუთარი (რომელიმე დამფუძნებლის საკუთრება), ისე ნასესხები. შესაძლებელია საწესდებო ფონდის საწყისი მოცულობის ცვლილება, უმეტესად შევსების თვალსაზრისით. ფონდის შევსება უნდა მოხდეს ან დამფუძნებელთა დამატებითი შენატანების ან მოგების ხარჯზე.

დასაშვებია საწესდებო ფონდის ნაწილის გადაცემა მესამე პირისთვის, პარტნიორთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

ერთობლივი საწარმოს ლიკვიდაციის შემთხვევაში საწესდებო ფონდის შეფასება ხდება ყველა მესამე პირთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი ღირებულების მიხედვით და ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად. უცხოელი პარტნიორის ქონების შექმნის უპირატესობით (თუკი გასხვისების სურვილი უხოველ პარტნიორს გააჩნია) სარგებლობს ადგილობრივი დამფუძნებელი - ვგულისხმობთ იმ დამ-

ფუძნებელს, რომლის ქვეყნის ტერიტორიაზეცაა განლაგებული ერთობლივი საწარმო.

საწესდებო ფონდის საერთო მოცულობის განსაზღვრის წესი.

საწესდებო ფონდის საერთო მოცულობა და მასში თითოეული პარტნიორის წილი განისაზღვრება ერთობლივი საწარმოს შექმნის ადრეულ ეტაპზევე. დამუშავებული დოკუმენტები მოიცავენ ინფორმაციას საწესდებო ფონდის საერთო მოცულობაზე, მათი შეესების წყაროებზე, დაკრედიტებაზე და ა.შ.

როგორც ზემოთაღნიშნულთ, საწესდებო ფონდის მოცულობა არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული მაჩვენებელი. ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე პარტნიორები თვითონ ათანხმებენ მის სიდიდესა და თითოეული კონტრაგენტის წილს მასში, ითვალისწინებენ რა

- მომავალი საწარმოს საქმიანობის ხასიათს;
- თანამონაწილეთაგან და
- გარე წყაროებიდან დაფინანსების შესაძლებლობებს.

მომავალი ერთობლივი საწარმოს საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, შედარებით დიდი საწესდებო ფონდით გამოირჩევიან სამშენებლო პროფილის საწარმოები; შედარებით ნაკლებით - სამრეწველო პროფილის საწარმოები, ხოლო რაც შეეხებათ ერთობლივ საწარმოებს კულტურისა და მეცნიერების დარგში, მათ სავრცობლად პატარა საწესდებო ფონდი ესაჭიროებათ.

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დადგინდება ერთობლივი საწარმოს საქმიანობის ხასიათი, პარტნიორების შესაძლებლობებიდან გამომდინარე ხდება წარმოების მასშტაბების (საწარმოო საქმიანობის საერთო მოცულობის) განსაზღვრა, სხვა დანარჩენ პარამეტრებთან ერთად.

წარმოების მოცულობის, დასაქმებულთა რაოდენობისა და სხვ. პარამეტრების ანალიზის საფუძველზე შეიძლება

საწესდებო ფონდის მაგერიალურ-ნიეთობრივი სტრუქტურის საორიენტაციო სქემის დამუშავება, რომელშიც წარმოდგენილი იქნებიან, როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი პარტნიორები.

მას შემდეგ რაც საბოლოოდ დამუსგდება, დაკონკრეტდება და დაიხვეწება საწესდებო ფონდის მაგერიალურ-ნიეთობრივი სტრუქტურა იწყება მისი თითოეული ელემენტის შეფასება ღირებულებით გამოხატულებაში. საწესდებო ფონდის ღირებულებითი სტრუქტურა წარმოადგენს მისი საერთო მოცულობისა და თითოეული პარტნიორის წილის განსაზღვრის საფუძველს. საწესდებო ფონდის საერთო მოცულობა მის ელემენტთა ღირებულების ჯამის ტოლია. თითოეული პარტნიორის წილი კი - უდრის მათ მიერ გაღებულ საშუალებათა და უფლებათა ღირებულების პროცენტულ სიდიდეს საწესდებო ფონდის საერთო მოცულობასთან.

ერთობლივი საწარმოს რეგისტრაციის შემდეგ საწესდებო ფონდის საერთო მოცულობისა და მასში თითოეული პარტნიორის წილობრივი მონაწილეობის მაჩვენებლები ქვეყნდება პრესაში, სხვა ზოგიერთ მახასიათებელთან ერთად, მათში ცვლილებების შეტანა საჭიროებს ხელახალ რეგისტრაციას. ამდენად, თუნდაც ამიგომ არსებითია საწესდებო ფონდის საერთო მოცულობის ზუსტად განსაზღვრის საკითხი.

მას შემდეგ რაც საბოლოოდ განისაზღვრება საწესდებო ფონდის მაგერიალურ-ნიეთობრივი და ღირებულებითი სტრუქტურა, საწესდებო ფონდის საერთო მოცულობა, შემდეგ ეტაპს წარმოადგენს დაფინანსების წყაროების ძიება.

საწესდებო ფონდის დაფინანსების წყაროები.

ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის შევსება ხდება ორი გზით:

1. მილიანად საკუთარი საშუალებების ხარჯზე;

2. ნაწილობრივ საკუთარი, ნაწილობრივ კი ნასესხები სამუალებებით.

საწესდებო ფონდის ხარჯების დაფარვა ნაწილობრივ შესაძლებელია ბანკის კრედიტის ხარჯზე. დასაშვებია ბანკის კრედიტის აუცილებლობის ვარიანტიცა და სასურველობის ვარიანტიც. აუცილებლობის დროს დამფუძნებლები საკუთარი სახსრებით ვერ ფარავენ საწესდებო ფონდის საერთო მოცულობას და იძულებულნი არიან აიღონ კრედიტი. სასურველობის ვარიანტში კი მათ გააჩნიათ ამის შესაძლებლობა მაგრამ შეგნებულად არ მიდიან ამაზე, რამეთუ კრედიტი მათ სამუალებას აძლევთ შემოიფარგლონ საკუთარი სახსრების მინიმუმით საწესდებო ფონდში.

ისევე როგორც ყველა გიჰის საწარმოსთვის, ერთობლივისთვისაც ხელსაყრელია და ყოველად სასურველი კრედიტით სარგებლობა. კრედიტით სარგებლობა კი მთელი რიგი მოთხოვნების შესრულების აუცილებლობის წინაშე აყენებს დამფუძნებლებს. მაგალითად, საჭიროა საწესდებო ფონდის მოცულობის ზუსტი განსაზღვრა თავიდანვე, რათა კრედიტორმა იცოდეს თუ რა თანხაზე აიღოს ორიენტაცია, საწარმოს კრედიტუნარიანობის შეფასების დროს. გაურკვეველობის სიგუაციას ქმნის ხელშეკრულების პუნქტი საწესდებო ფონდის შესაძლებელი ცვლილების შესახებ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ პარტნიორებს თავიანთი გამოუცდლობის გამო არ შეუძლიათ ზუსტად იცოდნენ რეალურად რა სახსრები ესაჭიროებათ თანამედროვე მოთხოვნების დონეზე წარმოების ორგანიზაციისთვის.

სპეციალისტების მიერ გამოკვლეულია, რომ ერთობლივი საწარმოები, თავს არიდებენ კრედიტით სარგებლობას. საესებით ბუნებრივად გაისმის კითხვები. რა არის ეს? გამოუცდლობა, არაკომპეტენტურობა, დაბალი ავტორიტეტი, თუ...

საწესდებო ფონდის ელემენტების შეფასების წესი. თუნდაც მხოლოდ პარტნიორთა წილის განსასაზღვრავად არსებითი მნიშვნელობა აქვს საწესდებო ფონდის ელემენტების სწორ შეფასებას [26].

ადგილობრივ დამფუძნებელთა წილის უმნიშვნელოვანეს ელემენტად შეიძლება ჩაითვალოს მიწის ნაკვეთით სარგებლობის შეფასება. შეფასების სიდიდის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა. მასზე (უფრო ზუსტად გერიტორიის კეთილმოწყობაზე, გზებზე, კომუნიკაციებზე და ა.შ.) უკვე გაწეული ხარჯების ოდენობა და სხვა მახასიათებლები. მსგავს შეფასებებს ამუშავებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები და სპეციალური ეკონომიკური უწყებები.

იმ შემთხვევაში, თუ მომავალი ერთობლივი საწარმო იქნება ეკოლოგიურად უსუფთაო, მაშინ ბუნების დაცვასთან დაკავშირებული ხარჯებიც უნდა მიეწეროს ადგილობრივ დამფუძნებელს თავის წილში.

ადგილობრივი ბუნებრივი რესურსებითა და წიაღისეულით სარგებლობისას, შესაბამის შეფასებებში ასახვა უნდა ჰქონდეს აუცილებლად, მათმა უნიკალურობამ, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ უცხოელი პარტნიორები დიდ ინტერესს იჩენენ უნიკალური რესურსებისა და წიაღისეულისადმი. საერთაშორისო ნორმებით კი მათი შეფასება სხვა თანაბარ პირობებში ძალზედ მაღალია.

ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს, წარმოადგენს შენობები და ნაგებობები, კომუნიკაციები და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტები (უფრო ზუსტად ამ ობიექტებით სარგებლობის უფლება). მათი ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს საზღვარგარეთის ხოჭინავე ქეიყსების ანალოგიურ მაჩვენებლებს, რათა დამფუძნებლებმა, ამ ელემენტის შეფასებისას არ დაკარგონ ფაქტიურად მათთვის კუთვნილი

მოგების ნაწილი, ან არ მოითხოვონ მოგების ზედმეტი ნაწილი პარტნიორის არაკომპეტენციის გამო მხოლოდ. მსგავს სიტუაციაში რეკომენდირებულია:

- მოწინავე ქვეყნების სამშენებლო-სამონტაჟო უირმების საინფორმაციო ცნობარებით სარგებლობა და
- უცხოელი პარტნიორების ქვეყანაში მოქმედი შესაბამისი შეფასებების მოთხოვნა და ანალიზი.

რაც შეეხება საბრუნავ საშუალებებს, მათი შეფასება მიზანშეწონილია მსოფლიო ბაზრის უსახეიდან გამომდინარე.

გარდა ზემოთ ნათქვამისა, ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის შექმნისა და მიზნობრივი გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი:

საწესდებო ფონდში საკუთარი წილი პარტნიორებს შეუძლიათ შეიგანონ არა ერთბაშად, არამედ ნაწილ-ნაწილ გარკვეული პერიოდის განმავლობაში. კონკრეტულად რა პროპორციებითა და რა დროში, აღნიშნული უნდა იყოს ამის შესახებ დამფუძნებელ დოკუმენტებში.

ერთობლივი საწარმოს საწესდებო ფონდის შესაცვებად საზღვარგარეთიდან შემოგანილი ქონება თავისუფლდება საბაჟო გადასახადისგან. ეს ქონება არ ექვემდებარება კონფისკაციას ადმინისტრაციული წესით, გარდა ამისა, ერთობლივი საწარმოს ქონება უნდა იყოს დაზღვეული სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ.

III.2.5. ერთობლივი საწარმოს მართვა.

საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა.

მოგების გამოანგარიშებისა და განაწილების წესი და დაბეგვრა

ერთობლივი საწარმოს მართვა.

ვახასიათებდით რა ერთობლივი საწარმოს ნიშნებს აღვნიშნეთ, რომ მას ახასიათებს ორგანიზაციული ერ-

თიანობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელობას. ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოებია საბჭო (გამგეობა) და ღირექცია.

როგორც წესი, მართვის ძირითად საკითხებს პარტნიორები ათანხმებენ ურთიერთშორის.

როცა ერთობლივი საწარმოს მართვაზე ვსაუბრობთ, ბუნებრივია მხედველობაში გვაქვს მმართველი ქვესისტემა (მართვის სუბიექტი), სამართავი ქვესისტემა (მართვის ობიექტი) და მართვის პრინციპები. მმართველობითი სტრუქტურების უმაღლეს ორგანოებს წარმოადგენენ საბჭო და ღირექცია. პარტნიორები წინასწარ ათანხმებენ საკითხს რამდენი წევრით განისაზღვროს საბჭოს შემადგენლობა. მათ შორის მასში რამდენი იყოს ადგილობრივი მოქალაქე და რამდენი უცხოელი, ვინ იყოს საბჭოს თავმჯდომარე.

ასეთი შეთანხმების შემდეგ უკვე დამუშობნებლები დამოუკიდებლად წყვეტენ საკითხს თუ კონკრეტულად ვინ შეიყვანონ საბჭოში. რაც შეეხება ღირექციას, მას ნიშნავს საბჭო, მის შემადგენლობას განსაზღვრავენ საბჭოს წევრები, ხმის უმრავლესობით.

საბჭოს და ღირექციის წევრების მიერ თანამდებობათა დაკავების ვადები, გადადგომის პირობები, ნაჩვენები უნდა იყოს ხელშეკრულებაში.

საბჭოს ფუნქციებში შედის: სტრატეგიული ამოცანების განხილვა და გადაწყვეტა - საფინანსო-საბანკო ოპერაციები, ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეები, მომარაგება-გასაღების სტრატეგია, საგარეო ეკონომიკური კავშირები და ა.შ.

რაც შეეხება მიმდინარე საწარმოო საქმიანობას, მას ღირექცია განაგებს, ღირექციის უფლებამოსილება განსაზღვრულია წესდებით ერთობლივი საწარმოს შესახებ და საბჭოს გადაწყვეტილებებით.

ერთობლივ საწარმოში მიმდინარე საქეურნეო და სა-

ფინანსო საქმიანობის კონტროლს ახორციელებს სარევიზიო კომისია. სარევიზიო კომისიასაც ნიშნავს საბჭო.

გემთავანხილული სამი ორგანო - საბჭო, ღირექცია და სარევიზიო კომისია ერთობლივ საწარმოში აუცილებლად უნდა იყოს. მათ გარდა, ერთობლივ საწარმოს შეუძლია კოლექტიური ხელშეკრულება გააფორმოს პროფკავშირულ ორგანიზაციასთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის მომენტი, რომ მსგავს ხელშეკრულებაში საზგასპით უნდა იყოს მითითებული კოლექტივის სოციალური განვითარებისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხების შესახებ. ერთობლივ საწარმოში პროფკავშირული ორგანიზაცია უნდა მოქმედებდეს დამფუძნებელ ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ერთობლივი საწარმოს საფინანსო-საკრედიტო საქმიანობა.

ერთობლივი საწარმოს საფინანსო საქმიანობა არის მისი სამეურნეო საქმიანობის განზოგადოება ფულად გამოსატყულებაში. მოიცავს საწარმოს ფულად ურთიერთობებს თავის მუშაკებთან, სხვა საწარმოებთან და სამეურნეო ერთეულებთან, მმართველობის ორგანოებთან, ბანკთან, სახელმწიფო ბიუჯეტთან.

ერთობლივი საწარმოს საფინანსო საქმიანობის ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ხელფასის ფონდისა და ფულადი წახალისების ფონდის შექმნა და მისი განაწილებისადმი კონტროლის განხორციელება. მოქმედი კანონმდებლობით ამ ამოცანის გადასაწყვეტად ერთობლივი საწარმოს ადმინისტრაცია კოლექტიურ ხელშეკრულებას დებს საწარმოში შექმნილ პროფკავშირულ ორგანიზაციასთან, რომელიც თავის მხრივ ვალდებულია არეგულიროს ხელფასის გადახდის პირობები, შრომისა და დასვენების რეჟიმი, სოციალური დაზღვევისა და სოციალური უზრუნველყოფის პირობები, რიგორც ადგილობრივი, ისე უცხო-

ეთიდან მოზიდული კადრებისთვის. პროფკავშირული ორგანიზაციის ვალდებულებები ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების წინაშე ერთნაირია, გარდა

- შრომის ანაზღაურებისა (ხელფასის გადახდისა);
- შევსების მიცემისა და
- საპენსიო უზრუნველყოფისა.

ადგილობრივი კადრებისთვის ძალაში რჩება ქვეყანაში მოქმედი შრომითი კანონმდებლობის შესაბამისი მუხლები. უცხოელებზე ეს ნორმები არ ვრცელდება. მათთან ურთიერთობაში გამოიყენება თითოეულ მუშაკთან პერსონალური ხელშეკრულების გაფორმების მექანიზმი. ამ მექანიზმით უცხოელები ღებულობენ უფრო მეტს, ვიდრე ადგილობრივი მუშაკები. ყოველივეს ხსნიან შემდეგით. პირველი, დამფუძნებელ ქვეყანაში და საზღვარგარეთის ქვეყნებში, საიდანაც წარმოდგენილნი არიან პარტნიორები, არსებითად განსხვავებული ხელფასებია (ეს ერთი და იგივე კვალიფიკაციის, ერთი და იგივე შრომისთვის). მეორე, დამფუძნებელ ქვეყანაში ცხოვრება (საბინაო უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება, განათლება და ა.შ.) უფრო იაფია, ვიდრე საზღვარგარეთ; მესამე, ადგილობრივი სპეციალისტები ცხოვრობენ და შრომობენ საკუთარ ქვეყანაში, ჩამოსულები კი უცხო ქვეყანაში, რაც მათ ხარჯებს კიდევ უფრო ზრდის.

გემოთნათქვამიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ასეთ მომენტსაც. გადახდის ნორმებში განსხვავება არ შეიძლება გახდეს მიზეზი ხელფასის ფონდის არაობიექტური განაწილებისა უცხოელი პარტნიორის სასარგებლოდ. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ხელფასის ფონდში ადგილობრივი და უცხოელი პარტნიორის წილი და ის თუ ამ წილიდან რას ღებულობს ადგილობრივი ან უცხოელი სპეციალისტი.

შეფასებებში არსებული განსხვავებები გართულებებს

ქმნის ერთობლივი საწარმოს საფინანსო საქმიანობის სხვა სუეროებშიც. კერძოდ, ურთიერთობებში სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ნელელულისა და მასალეების შექმნისას, მიწით, შენობებითა და ნაგებობებით სარგებლობის უფლების შეუასებისას, ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისას და ა.შ.

ერთობლივი საწარმოს საფინანსო საქმიანობა აღწერილია ისეთ დოკუმენტში, როგორიცაა საწარმოს შემოსავლებისა და გასაელების ბალანსი. მასში დაუიქსირებულია ყოველგვარი შემოსავალი და შემოსულობა, ხარჯები და სახსრების გადარიცხვები, საწარმოს ურთიერთობები ბანკთან და ბიუჯეტთან. ერთობლივი საწარმოს შემოსავალ-გასაელის ბალანსი საწარმოს საფინანსო გეგმის მნიშვნელოვანი შემადგენელია.

ერთობლივი საწარმომი ფულადი სახსრების მიღების სხვადასხვა წყარო არსებობს. მათ შორის ერთ-ერთია საბანკო კრედიტი. საბანკო კრედიტი მას შეუძლია აიღოს ეროვნულ ან უცხოურ ეალუტაში იგივე პირობების დაცვით, რაც მიღებულია ჩვეულებრივი საწარმოსთვის, კრედიტით სარგებლობისას არაეიტარი უპირატესობა არა აქვს მინიჭებული ერთობლივი საწარმობს.

- დაკრედიტების პირობებს ბუნებრივია განსაზღვრავს
- ეალუტის სახე, რა ეალუტაშია მოთხოვნილი კრედიტი,
 - დაკრედიტების ვალეები,
 - მოთხოვნილი კრედიტის ოდენობა.

ერთობლივი საწარმო კრედიტორის წინაშე ვალდებულია ან თავისი ქონებით, ან საწესდებო ფონდის გოლი თანხით, იმისდამიხელეით თუ როგორა აქვს გაფორმებული მას თავისი დამუქსნებელი დოკუმენტები. თუ დამუქსნებელ დოკუმენტებში მიითიებულია საწესდებო ფონდის მოსალოდნელი ცვლილების შესახებ გაზრდის თვალსაზრისით, მაშინ ერთობლივი საწარმო ანგარიშეალდე-

ბულია ჰთელი თავისი ქონებით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი (როცა საწესდებო ფონდის მოცულობა თავედანვე მუსგადაა დაფიქსირებული) საწესდებო ფონდის გოლი სიდიდით მხოლოდ.

საბანკო დაწესებულების უფლებებში შედის კრედიტის გაცემის შემთხვევაში ერთობლივ საწარმოს მოსთხოვოს საგარანგიო წერილი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა მოთხოვნილი კრედიტის მოცულობა ბევრად აღემატება საწესდებო ფონდის მოცულობას.

ერთობლივი საწარმოს მოგების გამოანგარიშების და განაწილების წესი.

მოგება ერთობლივი საწარმოს საფინანსო გეგმის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია.

თავედანვე საზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას. ყოველგვარი ანგარიშგება ერთობლივ საწარმოში ხორციელდება დამფუძნებელი ქვეყნების ეროვნულ ვალუტაში. მათ შორის დაბეგვრაც.

მოგების მაჩვენებელი იანგარიშება ორი ძირითადი შემადგენელის გამოყენებით. ესენია

- საწარმოს მიერ მიღებული ამონაგები და

-საწარმოს მიერ გაღებული ხარჯები (თვითღირებულება).

ერთობლივი საწარმო შემოსავლის ძირითად ნაწილს ღებულობს საქონელის ან მომსახურების რეალიზაციით, რომელიც მას შეუძლია განახორციელოს როგორც შიგა ბაზარზე, ისე საგარეო ბაზარზე. პირველ შემთხვევაში იგი მიიღებს ეროვნულ ვალუტას მეორე შემთხვევაში აუცილებლად უცხოურ ვალუტას. ნებისმიერ ვარიანტში უცხოურ ვალუტაში მიღებული შემოსავალი გადაიანგარიშება ეროვნულ ვალუტაში შემოსავლის მიღების მომენტში მოქმედი სავალუტო კურსის შესაბამისად. საქონლის ან მომსახურების რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს ეროვნულ ვალუტაში ემატება სხვა წყაროებიდან მიღებული შემო-

საელები. ისიც იგივე გზით ეროვნულ ვალუტაში გადაანგარიშებული (მაგალითად, კრედიტად აღებული თანხა, ქირა არენდით მესამე პირთათვის მიცემული სამუალებებიდან და ა.შ.), ამ გზით ელებულობით ერთობლივი საწარმოს ამონაგებს ღრვის მოცემულ პერიოდში.

რაც შეეხება ღრვის განსაზღვრულ პერიოდში ერთობლივი საწარმოს მიერ გაწეულ ხარჯებს, ისიც ეროვნულ ვალუტაში გამოიანგარიშება, მიუხედავად იმისა სამუალებების შექმნა ხდება შიგა ბაზარზე (ეროვნულ ვალუტაში) თუ საგარეო ბაზარზე. სახსრების შექმნის ანალოგიურად იანგარიშება სხვა სახის დანახარჯებიც.

ერთობლივი საწარმოს მიერ მიღებულ ამონაგებსა და ხარჯებს შორის სხვაობა იძლევა ერთობლივი საწარმოს საბალანსო მოგების სიდიდეს.

საბალანსო მოგებიდან შემდეგ ანგარიშობენ მოგების იმ სიდიდეს, რომელიც უნდა დაიბეგროს და წმინდა მოგებას.

ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ მოგების დარჩენილი ნაწილიდან იქმნება (ივსება) არასაწარმოო, სოციალური განვითარების ფონდი. მაგერიალური წახალისების ფონდი და სხვ. ფონდები, რომელთა შექმნაც (შეესებაც) გათვალისწინებულია დამფუძნებელი დოკუმენტებით. ნორმატივიც დამფუძნებელ დოკუმენტებში მოიცემა როგორც წესი. ამ გადარიცხვების შემდეგ დარჩენილი მოგება წარმოადგენს წმინდა მოგებას. წმინდა მოგება ნაწილდება პარტნიორებს შორის მათი წილის შესაბამისად საწესდებო ფონდში.

მოგების გამოანგარიშებას, ანგარიშსწორებას ბიუჯეტთან და ა.შ. საფინანსო ოპერაციებს ერთობლივ საწარმოში ახორციელებს სპეციალური სამსახური სარევიზიო კომისიის სახით. იგი პასუხისმგებელია საფინანსო ორგანოების წინაშე ანგარიშების სისწორეზე და თავისდროულ წარდგინებაზე.

III.3. თავისუფალი ეკონომიკური ზონები

III.3.1. თავისუფალი ეკონომიკური ზონების არსი, შექმნისა და ფუნქციონირების რეჟიმი

თავისუფალი (სპეციალური) ეკონომიკური ზონა (თეზ) - არის საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმა განსაზღვრულ გერიტორიაზე (პორტი, ქალაქი, რაიონი და ა.შ.), განსაკუთრებულ რეჟიმში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონები ხასიათდება ფორმათა მრავალფეროვნებით. კაპიტალისტურ ქვეყნებში უმეტესად იქმნება თავისუფალი საბაჟო და გრანზიტული ზონები და პორტები, განვითარებად ქვეყნებში - საექსპორტო ზონები. რაც შეეხება პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, მათთვის სპეციალისტებმა თავის დროზე სამსჯავროზე გამოიგანეს სამი ტიპის ზონა [26, 39].

1. საგარეო ვაჭრობის (თავისუფალი საბაჟო ზონები და პორტები, საექსპორტო წარმოების ზონები და გრანზიტული ზონები);

2. ფუნქციონალური ანუ დარგობრივი (ტურისტული, საღებავი, საბანკო ზონები, ტექნოპარკები და ტექნოპოლისები);

3. კომპლექსური, საწარმოო ხასიათის.

თავისუფალი ეკონომიკური ზონის თითოეულ ფორმას შეუძლია შეასრულოს განსხვავებული სახალხო მეურნეობრივი და საგარეო ეკონომიკური ფუნქცია. კერძოდ, მათი საშუალებით შეიძლება ისეთი ამოცანების გადაწყვეტა, როგორცაა:

* თავისუფალი ეკონომიკური ზონა იგივეა რაც სპეციალური ეკონომიკური ზონა. ამ ცნებების ქვეშ ეტულისსპობთ ერთსა და იმავე შინაარსს.

- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება, დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა;

- სამამულო და საზღვარგარეთის სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვის აქტივიზაცია;

- საექსპორტო ბაზის განვითარება და სავალუტო შემოსავლების ზრდა;

- შიგა ბარის უზრუნველყოფა საქონელითა და მომსახურებით.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მათი შრომითი რესურსებით უზრუნველყოფის პრობლემას. თემები უნდა დაკომპლექტდეს ძირითადად მის გერიგორიაზე მცხოვრები და მიმდებარე გერიგორიაზე მცხოვრები შრომითი რესურსებით. შესაძლებელია უკანასკნელთა მოზიდვა დამფუძნებელი ქვეყნის სხვა რეგიონებიდანაც, საზღვარგარეთიდან - მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. როგორც ადგილობრივ, ისე მოწვეულ მოქალაქეებთან ფორმდება შრომითი ხელშეკრულება. შრომის ანაზღაურება უნდა მოხდეს როგორც ადგილობრივ ისე უცხოურ ვალუტაში. ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეებს უნდა შეეძლოთ უცხოური ვალუტის საკუთარი შეხედულებისამებრ შენახვა და გამოყენება, უცხოელ მოქალაქეებს კი უნდა ჰქონდეთ გარანტია საკუთარი შემოსავლების გაგანისას საზღვარგარეთ.

რაც შეეხება მაგერიალური რესურსებით მომარაგებას და წარმოების შედეგების რეალიზაციას, მათი რეგულირება ზონაში უნდა ხდებოდეს სახელმეკრულებო სისტემის საფუძველზე ლიცენზიების საშუალებით. ხელშეკრულებები ფორმდება სახელმწიფოსთან, მართვის რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებთან, საწარმოებთან და ორგანიზაციებთან მონის გარეთ. დიდი მნიშვნელობა აქვს მომარაგებისა და გასაღების სტაბილურობის საკითხს, თანაც პრეუყრენ-

ციალურ რეჟიმში.

თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის საკვანძო საკითხს წარმოადგენს ფასწარმოქმნა და მასთან დაკავშირებული საეკონომიკური მექანიზმის შექმნა. საეკონომიკური მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს საზღვარგარეთიდან კაპიტალის მოზიდვის სტიმულირება, თანამშრომლობის ნორმალური პირობები შიგა და საგარეო ბაზარზე. საეკონომიკური რეჟიმში ყველა ზონისთვის რიგგორც წესი ინდივიდუალურია, ზონის თავისებურებებიდან და კონკრეტული ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე. ზონას ესაჭიროება საკუთარი ფულადი ერთეული. დასამუშავებია რამდენიმე ზონისთვის ერთი და იგივე ფულადი ერთეულით სარგებლობა (ბუნებრივია იგულისხმება ერთი ქვეყნის ზონები). მართალია თემში უნდა ფუნქციონირებდეს საეკონომიკური თვითგამოსყიდვის პრინციპის დაკვირვებით, მაგრამ არ არის გამორიცხული დასაწყისში მას დასჭირდეს ასიგნებები ქვეყნის საეკონომიკური სახსრებიდან სოციალური ინფრასტრუქტურის მოსაწყობად.

თავისუფალ ეკონომიკურ ზონას მართავენ ზონის ადმინისტრაცია, საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭოსთან და საეკონომიკური კორპორაციასთან ერთად.

საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭო და კორპორაცია წყვეტენ ზონის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭო ამზადებს წინადადებებს ერთობლივი საწარმოების შექმნის თაობაზე და წარუდგენს განსახილველად ზონის ადმინისტრაციას. შეიმუშავენს წინადადებებს ზონის ინფრასტრუქტურაზე, მისი დაფინანსების წყაროებზე და ა.შ.

კონკრეტული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტა უნდა ევალებოდეს საეკონომიკური კორპორაციას.

ზონის ტერიტორიაზე შეიძლება შეიქმნას ბანკები, დაზღვევის დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები,

რომელთა ხელმძღვანელები იქნებიან საკონსულტაციო-სამკურნეო საბჭოსა და სპეციალური კორპორაციის წევრები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის განსაკუთრებულ ყურადღებას მიათხოვს:

- გერიგორიის შერჩევის საკითხი. პოლიციელი სპეციალისტების ამრით მათ გერიგორიაზე საექსპორტო-სამრეწველო ზონას უნდა ექავოს 40 ჰა ფართობი. ბულგარეთში თეზ-ების ფართობი 100 ჰა-დან - 800 ჰა-მდე მერყეობს. ჩინეთში თეზ-ებზე მოდის 15 კვ.კმ.-დან 327 კვ.კმ. [39].

- მკურნეობის ასალი ფორმების დანერგვა ლოკალურ გერიგორიაზე;

- სპეციალისტების მომზადება.

საქონლის წარმოებაში და მომსახურებაში თეზ-ები მოითხოვს ეკონომიურად შეღავათიან პირობებს - საბაჟო გადასახადებიდან განთავისუფლებას, გადასახადების დიფერენცირებას, ძირითადი ფონდების ამორტიზაციის შემცირებული ვადების დაწესებას, დაკრედიტებისა და დაზღვევის შეღავათიან პირობებს, პროდუქციის ექსპორტისა და იმპორტის პროცედურის გამარტივებას, უცხოელების შემოსვლის შეუზღუდაობას (უკიდურეს შემთხვევაში გაადვილებას), ზონის ადმინისტრაციისთვის მეტი თავისუფლების მინიჭებას და ა.შ.

გადაწყვეტილება თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ სხვა თანაბარ პირობებში მისაღებია მხოლოდ საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ. ამ დროს არსებითი როლი უნდა შეასრულოს მოსახლეობამ და მართვის რეგიონულმა ორგანოებმა, ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან ერთად.

ნებისმიერი სახის თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში, მიუხედავად მისი მიზნებისა და ფუნქციებისა, განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურას. მართვის სტრუქტურის სპეციფიკას განსაზღვრავს

ზონის ნაირსახეობა, გერიგორიის სიდიდე. გერიგორიულად ზონა შეიძლება ემთხვეოდეს რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულს. ამ შემთხვევაში ზონის მართვის ფუნქციები უნდა შეასრულოს ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა. ზონის ადმინისტრაცია დაკომპლექტდება მართვის ადგილობრივი ორგანოებით. ზონის ადმინისტრატორის ფუნქციებს შეასრულებს მართვის ადგილობრივი ორგანოების პირველი ხელმძღვანელი. რაც შეეხება ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს, მათ დაეკისვება ზონის გერიგორიაზე განახორციელებს სახელმწიფო შესაბამისი კანონებითა და კანონქვემდებარე აქტებით.

გარდა მმართველობითი სტრუქტურების მოწყობისა, შრომითი რესურსებით უზრუნველყოფისა და სავალუტო მექანიზმის შექმნისა, თავისუფალი ეკონომიკური ზონებისთვის სპეციფიკურია საკუთრებითი ურთიერთობები, საგარეო ეკონომიკური ასპექტები, საბაჟო რეგულირება, დაბეგვრა და სხვა მრავალი ეკონომიკური საკითხი.

III.2. თავისუფალი ეკონომიკური ზონების მსოფლიო მოდელები*

მსოფლიოში დღეისთვის 1000-ზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონაა. პირველი ასეთი ზონა შეიქმნა ირლანდიაში 1959 წელს, შემდეგ ამერიკის, ევროპისა და აზიის ათობით რეგიონში, როგორც განვითარებად, ისე განვითარებულ ქვეყნებში.

* ჩვენს ხელთ არსებული მასალა საშუალებას გვაძლევს განვაზოგადოთ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება აშშ-ს მაგალითზე, სოციალისტური ქვეყნების - ჩინეთის, გერიგორიულად პატარა ქვეყნების კი - მავრიკიის მაგალითზე.

რაოდენობრივად ყველაზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური (თავისუფალი ვაჭრობის) ზონა ფუნქციონირებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ქვეყანაში მასიური რიყხეი შეადგენს საძირკვე მეტს. 1975 წლამდე აშშ-ში 19 თავისუფალი ვაჭრობის ზონა იყო მხოლოდ. 20 წლის მანძილზე შეიქმნა დანარჩენი 281. პრაქტიკულად თავისუფალი ვაჭრობის ზონებში წარმოებული პროდუქციის 90% მოიხმარება ქვეყნის შიგნით, 10% ექსპორტირდება. ზონის პროდუქტების საქმიანობისადმი დიდ ინტერესს იჩენენ მეტალურგიული წარმოების კომპანიები, აცხადებენ რა, რომ ზონებს ისინი იყენებენ ფოლადისა და ფოლადის ნაკეთობათა იმპორტისთვის შემცირებული საბაჟო გადასახადით. პროდუქტებს წარმოადგენენ ძირითადად ავტომობილებისა და მისი სათადარიგო ნაწილების მწარმოებლები. უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონების უმეტესობა სპეციალიზებულია ავტომობილების, სათადარიგო ნაწილებისა და კვანძების წარმოებაზე. თავისუფალი და სამართლიანი ვაჭრობის წახალისების გზით ზონები ემსახურება ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას და დასაქმების ზრდას.

გამორჩეული დადებითი როლი, თავისუფალმა ეკონომიკურმა ზონებმა ითამაშა ჩინეთში. მათი რიყხეი ამ ქვეყანაში თავიდანვე იყო ხუთი - შენჩეი, ჩეუჰაი, შანგოუ, სიამენი და ხაინანი. პირველი სპეციალური ეკონომიკური ზონა შეიქმნა 1979 წელს. 1985 წლიდან მოყოლებული კი ჩინეთი ახორციელებს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას. სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში გამოყენებულ იქნა ჩინური ეროვნების უცხოური პოტენციალი. ზონები განლაგდნენ ისეთ რაიონებში, რომლებიც გერიტორიულად ესაზღვრებოდნენ სინგაპურს, ჰონკონგს, მაკაოს, ტაივანს, კორეას, ინდონეზიას და მოსახლეობას ნათესაური კავშირი ჰქონდა ჩინურ ემიგრაციასთან. ეკონომიკური რეფორმის პირველი დღეებიდანვე, ჩინეთში, ზონები ითვლებოდა საგარეო.

ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირების ძირითად საშუალებად. მათკენ მიემართებოდა სახელმწიფო ინვესტიციები და კრედიტები. ზონებში ხდებოდა სამეურნეო მეთოდების აპრობაცია, მსოფლიო ბაზართან პოასლოკების პიზნით. სპეციალური ეკონომიკური ზონების ეფექტიან ფუნქციონირებას ხელს უწყობდა სახელმწიფო ინტერესების შეთანაწყობა უცხოური კაპიტალის ინტერესებთან, ასტიმულირებდა რა სახელმწიფო ზონების საექსპორტო საქმიანობას. სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნას ჩინეთში მოჰყვა, როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ცვლილებები.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების დადებითი ეფექტები თვალშისაცემია, როგორც გერიტორიულად დიდ, ისე პატარა ქვეყნებშიც. მაგალითად მაერიკია* - ფართობით 2045 კვ.კმ., მოსახლეობით მილიონზე ნაკლები. შალის ნაკეთობათა წარმოებით (20 მლნ. წელიწადში) შედის მსოფლიო სამეულში. მაერიკიაში თავისუფალი ეკონომიკური (საექსპორტო წარმოების) ზონები ფუნქციონირებს ქვეყნის მიერ განსაზღვრული კანონმდებლობით, ნედლეულის, მოწყობილობების, სათადარიგო ნაწილების იმპორტი დაუბეგრავია. მოგება არ იბეგრება პირველი 15 წლის განმავლობაში. უცხოეთში თავისუფალია გატანა. საშემოსავლო გადასახადი 15%-ია, ჩვეულებრივი 35%-ის ნაცვლად, ზონების ქონება არ ექვემდებარება ნაციონალიზაციას.

* მაერიკია - მდებარეობს ინდოეთის ოკეანეში, მაერიკის კუნძულებზე. ოფიციალური ენა - ინგლისური, დედაქალაქი და ძირითადი პორტი - პორტ-ლუი. ფულადი ერთეული - მაერიკიული რუპია. 1598 წელს დაიპყრეს პოლანდიელებმა, 1715 წ. - ფრანგებმა. 1810-1968 წწ. დიდი ბრიტანეთის კოლონიაა. 1968 წლიდან დამოუკიდებელი ქვეყანაა. 1966 წლიდან დიპლომატიური ურთიერთობა პქონდა სსრკ-სთან.

აკრძალულია გაფიცვები და იაფი სამუშაო ძალის გამოყენება. უცხოური ინვესტორების გეოგრაფია ძალზედ დივერსიფიცირებულია. შაერიკია იყო შაქრის მწარმოებელი ქვეყანა, დაპოკიდებული ბუნებრივ პირობებზე. მოსაყლის 15%-იანი შემცირება ითვლებოდა სტიქიურ უბედურებად. ამჟამად კი ძირითად შემოსავალს მათ აძლევთ თავისუფალი საექსპორტო წარმოების მონები და არა შაქრის გაყიდვა. მონებში ძირითადია შალის ქსოვილისგან განსაყმლისა და სხვა ნაკეთობათა წარმოება. მათი ხვედრითი წილი საერთო წარმოებაში 60%-ის გოლია. მონებიდან სახელმწიფო იღებს შემოსავლის ნახევარს - საწარმოებიდან ბეგარის სახით, შენობების არენდით, ელექტროენერჯის, წყლისა და ა.შ. გამოყენებისთვის დაწესებული გადასახადებით და სხვა. მოიხსნა უმუშევრობა, მაშინ, როცა რამოლენიმე წლის წინ ყველა მეხუთე უმუშევარი იყო.

თავისუფალი ეკონომიკური მონებისადმი მეგ დაინტერესებას იჩენენ ევროპის ყოფილი სოციალისტური ქვეყნები - უნგრეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია და სხვა. 1982 წელს სპეციალური ეკონომიკური მონა შეიქმნა უნგრეთში. 1987 წ. კი ბულგარეთის პორტში. ამ მონებში უცხოელთა ქონების დაცვა გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ. საბაყო გადასახადიდან განთავისუფლება გამაგრებულია კანონმდებლობით.

მზარდი ინტერესი თავისუფალი (სპეციალური) ეკონომიკური მონებისადმი ბუნებრივია.

IV. საერთაშორისო სავალუტო და საშინანსო-საკრედიტო ურთიერთობები. საბაღამხდელო ბალანსი

როგორც ზემოთ უკვე აღენიშნეთ საგარეო ეკონომიკური კავშირების ამ ფორმაში ძირითადი ადგილი განეკუთვნება ოპერაციებს ვალუტებით (ეროყენული, უცხოური და

კოლექტიური ვალუტების) და საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს ან როგორც დამოუკიდებელი ოპერაციები, ან როგორც - სავარეო ვაჭრობის, წარმოების ფაქტორების ქვეყნებსშორისი მოძრაობის, სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლის, სესხების, კაპიტალური და მიმდინარე გრანსფერების და სხვათა მომსახურე ოპერაციები.

ეროვნული სახელმწიფოების საგადამხდლო ბალანსები, რომლებშიც აღრიცხულია მათი ეკონომიკური გარიგებები გარე სამყაროსთან, საეალუტო და საფინანსო-საკრედიტო ოპერაციების მრავალმხრივი ანალიზის და ყველა მაკროეკონომიკური პრობლემის შეფასების საშუალებას იძლევიან, ეროვნული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ეკონომიკის პოზიციებიდან.

საგადამხდლო ბალანსი სტრუქტურულად სამი ნაწილისგან შედგება [51]:

1. მიმდინარე ოპერაციების ანგარიში.

იგი მოიცავს ა). სავარეო ვაჭრობას საქონელით. იგულისხმება საქონელი საბოლოო მოხმარებისთვის, საქონელი გადამუშავებისთვის, საქონელი რემონტისთვის, არამონეგარული ოქრო (სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი ოქრო და საიველირო ნაწარმი) და საგრანს-პორტო ორგანიზაციების მიერ პორტებში შექენილი საქონელი (საწვავი და სურსათი).

საბოლოო მოხმარებისთვის განკუთვნილია საქონელი, რომელზეც მესაკუთრის უფლება რეზიდენტიდან გადაეცემა არარეზიდენტს. -რეზიდენტიდან არარეზიდენტისთვის მესაკუთრის უფლების გადაცემად ითვლება მომენტი, როცა საქონელი გადაეცემა ქვეყნის საზღვარს, ფაქტი ფიქსირდება საბაჟო ორგანოების მიერ და რეზიდენტი წყვეტს მის აღრიცხვას საკუთარ საფინანსო ბალანსში. არსებობს გამონაკლისი შემთხვევები:

- საქონელი კვეთს ქვეყნის საზღვარს, მაგრამ შესაკუთრე არ იცვლება (უინანსური ლიზენზია და საქონელის გადაცემა ძირითადი კომპანიიდან ქალიშვილ კომპანიაში);

- საქონელი არ კვეთს ქვეყნის საზღვარს, მაგრამ შესაკუთრე იცვლება (ზღვის პროდუქტებით ვაჭრობა პირდაპირ გემიდან რეზიდენტებს და არარეზიდენტებს შორის);

- ქვეყნის საზღვრებს კვეთს ისეთი საქონელი, რომელიც ექვემდებარება აუცილებელ უკან დაბრუნებას (გამოყენებიდან, კონკურსებიდან და ა.შ.).

გადამუშავებისთვის განკუთვნილი საქონელი ექსპორტირდება ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასამუშავებლად (მაგალითად, ქსოვილი, რომლისგან შეკერილი მზა ტანსაცმელიც ბრუნდება უკან; ნელი ნაეთობი, რომლის გადამუშავების პროდუქტიც ბენზინის სახით ბრუნდება უკან) და მზა პროდუქციის უკან დასაბრუნებლად.

პოზიცია საქონელის რემონტი გულისხმობს რეზიდენტების მიერ არარეზიდენტებისთვის სარემონტო სამუშაოების ჩატარებას (მაგ., საზღვაო და საჰაერო სომალდების რემონტი და სხვ.).

ბ). საგარეო ვაჭრობა მომსახურებით. საგადასდელი ბალანსის ამ პოზიციაში წამყვანი ალგილი განეკუთვნება სატრანსპორტო მომსახურებას - გვირთის გადატანას და მგზავრთა გადაყვანას, სატრანსპორტო საშუალებათა არენდას ეკიპაჟთან ერთად, სატრანსპორტო საშუალებათა აწყობას და სხვა თანამდევ მომსახურებას.

გვირთის გადატანისას ქვეყნიდან ქვეყანაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რა სახის გვირთი გადააქვს, რა რაოდენობით, რა მანპილზე და რა სახის ტრანსპორტით (საავტომობილო, სარკინიგზო, საჰლვაო თუ საჰაერო). ყოველივეს გათვალისწინებით განისაზღვრება სატრანსპორტო მომსახურების ტარიფი.

საგადასდელი ბალანსის პოზიცია მგზავრობა, მოიცავს

სამსახურებრივი და პირადი მიზნებისთვის მგზავრთა გადაყვანას და მომსახურებას. სამსახურებრივი მიზნით უცხო ქვეყანაში მყოფი არარეზიდენტები ეწევიან გარკვეულ სამეურნეო საქმიანობას (საქონლის ყიდვა-გაყიდვას, საეაჭრო მოლაპარაკებებს და სხვ.), პირადი მიზნით იმყოფებიან დასასვენებლად, ექსკურსიებზე და ა.შ. მათთვის პოზიცია მგზავრობაში ფიქსირდება სასტუმროს ხარჯები, რესტორნის ხარჯები, კულტურულ ღონისძიებათა ხარჯები, შეძენილი საჩუქრებისა და სუვენირების ღირებულება.

ცალკე კატეგორიად განიხილება ის პირები, რომლებიც წელზე მეტ ხანს იმყოფებიან უცხო ქვეყანაში სასწავლებლად ან სამკურნალოდ. მათზე გაწეული ბინის ხარჯი, კვება, სწავლების ან მკურნალობის საფასური და ა.შ. აღირიცხება საგადამხდლო ბალანსის პოზიციაში - მგზავრობა.

გ). შემოსავლები. შემოსავალში აღირიცხება რეზიდენტების მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული და არარეზიდენტების მიერ მოცემულ ქვეყანაში მიღებული ხელფასი და შემოსავალი ინვესტიციებიდან.

ხელფასში აღირიცხება რეზიდენტების მიერ უცხო ქვეყანაში სემონური სამუშაოდან მიღებული შემოსავალი ან მოსამზღვრე ქვეყანაში მიღებული შემოსავალი, საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გარეშე. თუ რეზიდენტი უცხო ქვეყანაში დარჩება ერთ წელზე მეტ ხანს, მისი შემოსავალი აღირიცხება როგორც მიგრანტის გზავნილი.

შემოსავლები ინვესტიციებიდან იყოფა შემოსავლებად პირდაპირი ინვესტიციებიდან და შემოსავალად პორტფელის ინვესტიციებიდან.

დ). მიმდინარე ტრანსფერები, იყოფა ორ დიდ ჯგუფად: სახელმწიფო სექტორის მიმდინარე ტრანსფერებად (ერთი სახელმწიფოსთვის მეორე სახელმწიფოს ფულადი დახ-

მარება, მედიკამენტების, საკვების, განსაცმელის ჩექება, საწუერო შესაგანი საერთაშორისო ფონდებში, სამხედრო გექნიკის ჩუქება და სხუ.) და სხუა სექტორების მიმდინარე გრანსუერებად (მზითუბი, საჩუქრები, მექკვიდრუობა და სხუ.).

2. კაპიგალის მოძრაობის და საუინანსო ოპერაციების ანგარიში

საგადამსდელო ბალანსის მეორე ნაწილში აღრიცხულია კაპიგალური გრანსუერები, პირდაპირი ინვესტიციები, პორტუელის ინვესტიციები და სხუა დანარჩენი ინვესტიციები (კომერციული კრედიტები, სესხები, ნაღდი ფული და დე-პოზიტიები და სხუ.).

ა). კაპიგალური გრანსუერები - გულისხმობს საკუთრების უფლების გადაცემას ძირითად კაპიგალზე და კრედიტორის ვალის ანულირებას. კაპიგალური გრანსუერები იყოფა სახელმწიფო სექტორის კაპიგალურ გრანსუერებად და კერძო სექტორის კაპიგალურ გრანსუერებად.

საგადამსდელო ბალანსის ამ ნაწილში ყველაზე დიდი ჯგუფია სახელმწიფო ვალის ანულირება ან ჩამოწერა.

რაც შეეხება ძირითად კაპიგალზე საკუთრების უფლების გადაცემას, ეს მოხდა მაგ. სსრკ-ს ჯარების მიერ ევროპის ქვეყნების დატოვებისას. ევროპის ქვეყნებს გადაეცათ საკუთრების უფლება შენობებზე და ნაგებობებზე მათი ქვეყანაში. რაც შეეხება სამხედრო გექნიკას და შეიარაღებას, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ისინი აღირიცხება მიმდინარე გრანსუერებში.

კაპიგალურ გრანსუერში სხუა სექტორების მიხედვით, შედის მიგრანტების მიერ ვაგანილი და შემოგანილი ქონების ფულადი შეფასება და სამეურნეო და სხუა ორგანიზაციებისთვის საბანკო კრედიტის ჩამოწერა.

აქვე აღირიცხება არასაწარმოო არასაუინანსო აქტივების ყიდვა-გაყიდვა (საეაქრო ნიშნები, „ნოუ-ჰაუ“, პატენ-

გები, მიწა და მისი წიაღისეული). შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ არასაწარმოო, არასაფინანსო აქტივების გამოყენება აღირიყება მიმდინარე ოპერაციების ანგარიშში (1), ყიდვა-გაყიდვა კი კაპიტალის მოძრაობისა და საფინანსო ოპერაციების ანგარიშში (2).

ბ). პირდაპირი ინვესტიციები. საგადაამხდელი ბალანსის ამ ნაწილში ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ საკითხზე, თუ ვინ ითვლება პირდაპირ ინვესტორად? პირდაპირი ინვესტორია ის პირი, ვინც საწესდებო კაპიტალში მონაწილეობს არა ნაკლებ 10%-ის გოლი წილით და აქტიურ მონაწილეობას ღებულობს მართვაში. ამ ორი კრიტერიუმიდან გადამწყვეტია მეორე. შეიძლება პირს პქონდეს 10%-ზე ვაცილებით მეტი წილი, მაგრამ არავეითარ მონაწილეობას არ იღებდეს მართვაში. ამ შემთხვევაში იგი არ ჩაითვლება პირდაპირ ინვესტორად. შეიძლება ისეც, რომ პირს არავეითარი წილი არ პქონდეს კაპიტალში, მაგრამ იყოს ფაქტიური მმართველი. ამ შემთხვევაში, ასეთი პირი აუცილებლად ჩაითვლება პირდაპირ ინვესტორად.

გ). პორტფელის ინვესტიციები, მოიცავს საფინანსო ინსტრუმენტებით (ფასიანი ქაღალდები, სასესხო ვალდებულებები, ოპციონი, ვარანტი, სვოპი, ფორვარდი, ფიუჩერსი) ვაპრობას რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის.

3. სარეზერვო აქტივები (მონეტარული ოქრო, სესხების სპეციალური უფლება, საერთაშორისო საეალუგო ფონდის სარეზერვო გრანშები, აქტივები ვალუტაში, სხვა მოთხოვნები).

სარეზერვო აქტივების დანიშნულებაა საგადაამხდელი ბალანსის სალდოსა და ეროვნული ვალუტის კურსის რეგულირება.

თავის მხრივ საეალუგო კურსი საგადაამხდელი ბალანსის რეგულირების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რამეთუ მასზეა დამოკიდებული ექსპორტისა და იმპორტის სტიმულირება.

დისპროპორციები საგადაამხდლო ბალანსში და მათი აღმოფხვრის გზები:

1. სავალუტო კურსის ცვლილება:

- ეროვნული ვალუტის კურსის გაზრდა (ეროვნული ვალუტის გაძვირება) იწვევს ექსპორტის გაძვირებას და იმპორტის გაიაფებას. როცა იმპორტი სტრუქტურულად ისეთია, რომ ხელს უწყობს წარმოების განვითარებას, მიზანშეწონილია მისი სტიმულირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს სავალუტო რეზერვები და მათი ბრუნვაში გაშვებით სასურველ საზღვრამდე დაწიოს ეროვნული ვალუტის კურსი.

- ეროვნული ვალუტის კურსის შემცირების შემთხვევაში მიზანშეწონილების ფარგლებში ხელისუფლებას შეუძლია განახორციელოს საპირისპირო ღონისძიებები.

სავალუტო აქტივების გამოყენების გარდა სავალუტო კურსის რეგულირების სხვა გზაც არსებობს, მყარ ვალუტაში, მაგალითად აშშ დოლარებში მოკლევადიანი სესხის აღება.

2. მოკლევადიანი სესხები მყარ ვალუტაში, აღიარებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც საგარეო ვაჭრობის ბალანსის დეფიციტის რეგულირების სამუალება იმ შემთხვევაში, როცა ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი ვერ ფარავს იმპორტზე გაწეულ ხარჯებს, ქვეყანა იღებს სესხს და არ ეხება სავალუტო რეზერვებს. ეს გზა განსაკუთრებით გამართლებულია იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სავალუტო რეზერვები ოპტიმალურ საზღვრებშია.

3. საპროცენტო განაკვეთი. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთისთვის ფირმების მოხმარება მცირდება, მცირდება წარმოება და მოხმარება, შესაბამისად მცირდება იმპორტი, რის შედეგადაც საგადაამხდლო ბალანსის დეფიციტი მცირდება.

საპროცენტო განაკვეთის შემცირების შემთხვევაში პირიქით.

ვარდა ამისა, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება პირდაპირ კავშირშია სავალუტო კურსთანაც. საპროცენტო განაკვეთის გაზრდა იწვევს ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდას, რის შედეგადაც იზრდება ეროვნული ვალუტის კურსი და სტიმულირდება იმპორტი.

4. ფასების ცვლილება. ფასების გაზრდა წარმოების ფაქტორებზე იწვევს მზა პროდუქციაზე ფასების გაზრდას. როცა პროდუქცია საექსპორტოა, ფასების გაზრდა პირდაპირ აისახება სავალუტო ბალანსში - დეფიციტი იზრდება.

ფასების შემცირება პირიქით, საპირისპირო შედეგებს იწვევს.

ამ შემთხვევაში ქმედითი ინსტრუმენტარია ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, ფულის ემისია.

5. შემოსავლებში მკვეთრი ცვლილებები და სტრუქტურული ცვლილებები ეკონომიკაში. ცნობილია, რომ იმპორტი წარმოადგენს შემოსავლების პირდაპირპროპორციულ ფუნქციას. შემოსავლების გაზრდა იწვევს იმპორტის გაზრდას და ამ ვითი სავარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტის გაზრდასაც.

6. პროტექციონისტული სავარეო ეკონომიკური პოლიტიკა. ერთის მხრივ სავარეო და არასავარეო, საფინანსო და არაეკონომიკური მეთოდებით სარგებლობა და მეორეს მხრივ ეროვნული ვალუტის კონვერტაციის შეზღუდვა მიმდინარე ოპერაციების ანგარიშისა და კაპიტალის მოძრაობისა და საფინანსო ოპერაციების ანგარიშის მიხედვით.

და ბოლოს, სავალუტო ბალანსი წარმოადგენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის სარკეს [47]. ქვეყნები, რომლებშიც პრიორიტეტუ-

ლია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გამოირჩევიან ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაღალი ღონით, საგადამხედლო ბალანსის დეფიციტი ძირითადად დაკავშირებულია ინვესტიციების ზრდასთან, აქვთ მცოცავი სავალუტო კურსი და საგადამხედლო ბალანსის რეგულირება ხდება ავტომატურ რეჟიმში. ხოლო ქვეყნები, რომლებშიც პოლიტიკის პრიორიტეტია დაბალია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, მაღალია უმუშევრობა, დაძაბულია სოციალური ფონი, მაკროეკონომიკური წონასწორობა მიიღწევა უიქსირებული სავალუტო კურსით, საგადამხედლო ბალანსში მიმდინარე ოპერაციების ანგარიში, მათ შორის საგარეო სავაჭრო ბალანსი ქრონიკული დეფიციტის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება.

V. საგარეო ეკონომიკური კავშირების ფორმები საქართველოში

V.1. საგარეო ვაჭრობა

საქართველოში საგარეო ვაჭრობა, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში წარმოადგენს გრადიციულ ფორმას. უორმათა მთელ სპექტრში მას დღესაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

დავიწყოთ იმპორტის ოპერაციით. საქართველოში იმპორტის მოცულობასა და სტრუქტურას განსაზღვრავს არსებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ვითარება, მოხმარებულ მშპ-ში იმპორტი დიდი ხეუდრისი წილის მაჩვენებლით არის წარმოდგენილი და სტრუქტურულად ძირითადად ფართო მოხმარების საქონელისაგან შედგება. არც ერთი და არც მეორე მაჩვენებელი ახალი არ არის - ასე იყო საბჭოთა პერიოდშიც და ასეა ახლაც.

განსხვავება იმაშია, რომ საბჭოთა პერიოდში იმპორტს საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ექონდა, ამჟამად კი მასზეა დამოკიდებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ბედი. იმპორტმა საქართველოში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა და ასე გავრძელდება მანამ, სანამ ქვეყანაში პოლიტიკის პრიორიტეტს არ შეცვლის ეკონომიკის პრიორიტეტი.

რაც შეეხება ექსპორტს, გასული საუკუნის 80-იან. წლებში საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყებისთანავე, დაიწყო აქტიური მუშაობა ექსპორტის სტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მაგრამ ყველაფერი დასრულდა ცნობილი მოვლენებით. დამოუკიდებელ ქვეყნებში დაიშალა ეკონომიკური სისტემები, იმპორტმა შეიძინა სასიცოცხლო მნიშვნელობა, ამან კი მოითხოვა ექსპორტის სანედლეულო სტრუქტურის შენარჩუნება.

დეფიციტურმა სამომხმარებლო ბაზარმა და მომხმარებელთა დაბალმა შემოსავლებმა არსებულ სტრუქტურაში ასტიმულირა იმპორტირებული პროდუქციის დაბალი ხარისხი. კიდევ უფრო გაუარესდა იმპორტის სტრუქტურული და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საქართველოს წლების მანძილზე სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტური აქვს. სჭირდება ამ დეფიციტის შევსების წყაროები. იმპორტი ერთ-ერთი მათგანია, რამეთუ იმპორტზე საბაჟო გადასახადი ბიუჯეტის შემოსავლების შევსების ერთ-ერთი წყაროა. შემოსავლის ეფექტზე ყურადღების ესოდენ გამახვილება ხელს უწყობს იმპორტჩანაცვლებადი, დაბალკონკურენტუნარიანი წარმოების განვითარებას ქვეყანაში. ესეი არასასურველია.

ცნობილი უაქტია, რომ ექსპორტის აუცილებლობა ნაკარნახევია, ერთის მხრივ მოხმარების მეტობით წარმოებაზე და მეორეს მხრივ, იმპორტის აუცილებლობით,

რამეთუ იმპორტზე გაწეული ხარჯები უნდა დაუაროს ექსპორტიდან მიღებულმა შემოსავალმა. საქართველოში ორივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე. წარმოება თითქმის არ ვითარდება. ეს კი განაპირობებს სამომხმარებლო იმპორტის სანედლეულო ექსპორტით ჩანაცვლებას. სანედლეულო ექსპორტი და სამომხმარებლო იმპორტი ყველაზე არასასურველი წყვილია საქართველოსთანა ქვეყანაში.

როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ასე? მანამ, ხანამ საერთო ეკონომიკური ვითარება არ შეიცვლება ქვეყანაში. პრობლემა მხოლოდ ქვეყნის შიდა პრობლემაა. საქართველო პაგარა ქვეყანაა, მას არ შეუძლია ვაჭრობის პირობის შეცვლა და ამდენად სასაქონლო ნაკადების მოძრაობა მასში მობილურია.

ვარდა ამისა, საქართველოში საგარეო ვაჭრობის თავისებურებაა საგარეო ვაჭრობის ბალანსის ქრონიკური დეფიციტი. ამ შემთხვევაში დეფიციტისთვის ცუდის ან კარგის დარქმევა პირობითია.

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ოპერაციებიდან უმნიშვნელოვანესია რეექსპორტის ოპერაცია. მას მეტ აქტუალობას სძენს საგრანსპორტო დერეფანი, თავისი პერსპექტივებითა და მნიშვნელობით. აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში ბალებს საგარეო ვაჭრობის თვისობრივი განვითარების პერსპექტივას, კერძოდ განვითარდება მომსახურებით ვაჭრობა, რაც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურველია; გაიზრდება ქვეყნის შემოსავლები, შეიქმნება იმპორტის სასურველი სტრუქტურით გაუმჯობესების პერსპექტივა, საქონელით ექსპორტსა და იმპორტს ჩაენაცვლება მომსახურების ექსპორტი და იმპორტი, თუ არ შემცირდება საგარეო სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, მას ექნება გამართლება იმ მხრივ, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდება საინვესტიციო ვარემო.

საგარეო ვაჭრობა საქართველოში წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსა და სტაბილურობის დამოუკიდებელ ფაქტორსაც. მაგალითად, საყოველთაოდ ცნობილია, რომ რეალურ სექტორში წონასწორობის პირობაა - ეროვნული დანაზოგებისა და ინვესტიციების სხვაობის ტოლობა ექსპორტ-იმპორტის სხვაობასთან $(S - I) = (Ex - Im)$. ამ ფორმულის მიხედვით, საგარეო სავაჭრო ბალანსითაა გაწონასწორებული, საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის და საინვესტიციო პოლიტიკის ხაზით განსაზღვრული ნებისმიერი ცვლილება - გადასახადების, სახელმწიფო ხარჯების, ინვესტიციების, ხელფასების გაზრდა ან შემცირება და სხვ. 2003 წლის მაუხულში ხელისუფლების ერთი ჯგუფის მიერ მინიმალური ხელფასების გაზრდის ინიციატივას სწორედ სამომხმარებლო იმპორტის გაფართოება ელო საფუძველად.

V.2. ერთობლივი საწარმოები

გასული საუკუნის 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე საქართველო საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობას ახორციელებდა მხოლოდ საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ტრადიციული ფორმებით. მის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში წამყვანი ადგილი ეკავა საგარეო ვაჭრობას, კერძოდ, პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს. დაწყებული 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან სპეციალისტ-თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა სამსჯავრობეა გამოგანილი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმებიც:

- დარგობრივი თანამშრომლობა პირდაპირი კავშირებით;
- სანაპირო-სასაზღვრო ვაჭრობა;

- ერთობლივი საწარმოები და
- თავისუფალი ეკონომიკური ზონები.

როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა საქართველოს საწარმოებსა და ორგანიზაციებს კქონდათ ორმხრივი პირდაპირი კავშირები. მრავალმხრივი კავშირების დამყარება მომავლის საქმეა. თუ კი პირდაპირი კავშირები საწყის ეტაპზე ემსახურებოდა კოოპერაციის გაღრმავებასა და ურთიერთიუწყებების მრდას მომავალში ისინი ისე უნდა განვითარდეს, რომ კოოპერანტებს შესაძლებლობა კქონდეთ შექმნან ერთობლივი ფონდები, შეიმუშაონ ერთიანი საწარმოო და სამეცნიერო გეგმები, განახორციელონ კოლექტიური ხელმძღვანელობა და ა.შ. სამომავლოდ უნდა დამუშავდეს საქართველოს სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხი თურქეთთან, დარგობრივი თანამშრომლობის პირდაპირი კავშირების საფუძველზე საორიენტაციოდ გრანსპორტის, ენერჯო მომარაგებისა და კულტურული გაყელის სუფროებში. სასაზღვრო თანამშრომლობის საკითხის დაყენებას წინ უნდა უძლოდეს რივი თეორიულ-მეთოდოლოგიური და ორგანიზაციულ-სამართლებრივი საკითხის გამოკვლევა.

წლების მანძილზე მიმდინარეობს საქართველოში მუშაობა საინვესტიციო ვარემოს გაუმჯობესების საკითხთან დაკავშირებით. უპირატესად ეს ეხება პირდაპირ ინვესტიციებს. პირდაპირი ინვესტიციების განხორციელების, ბევრ ქვეყანაში პრაქტიკულად აპრობირებული გზაა ერთობლივი საწარმოები.

საქართველოში ერთობლივი საწარმოების შექმნაზე მუშაობა აქტიურად დაიწყო ჯერ კიდეე 1984-1986 წლებში, საგარეო ეკონომიკური რეფორმის დაწყებისთანავე.

ამჟამად, ერთობლივი საწარმოების შექმნას საქართველოში არეგულირებს კანონი მეწარმეთა შესახებ. ამ კანონის თანახმად ერთობლივი საწარმოები შეი-

ძლება შეიქმნას ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით - შებლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) და სააქციო საზოგადოება (სს). 1995 წლის 1 მარტამდე შექმნილი ყველა ერთობლივი საწარმო დაექვემდებარა ხელშეორე რეგისტრაციას 1996 წლის 1 იანვრამდე.

ერსობლივი საწარმოების რეგისტრაცია სავალდებულოა, რაიონულ სასამართლოში, მათი ადგილმდებარეობის მიხედვით (მუხლი 2.5). მეწარმეთა შესახებ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობათა სუბიექტი წარმოიშობა სამეურნეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

რეესტრში რეგისტრაციას სჭირდება განცხადება და თანდართული დოკუმენტები ან მათი ასლები, დამოწმებული სანოტარო წესით.

განცხადება უნდა შეიცავდეს (მუხლი 5.4.1, 5.4.3.): საფირმო სახელწოდებას (ფირმას), ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას; ადგილსამყოფელს (იურიდიულ მისამართს); საქმიანობის საგანს, მონაცემებს სამეურნეო წლის დაწყებისა და დამთავრების შესახებ, დამუშობნებელთა გვარს, სახელს, პროფესიას და საცხოვრებელ მისამართს, წარმომადგენლობის უფლებამოსილებას; გარდა ამისა, საწესდებო კაპიტალის ოდენობას და საბუთის შესრულებული შესაგანის შესახებ, ყოველი პარტნიორის წილს, ყოველი დირექტორის გვარს, სახელს, პროფესიას და საცხოვრებელ მისამართს, დოკუმენტებს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების დანიშვნის შესახებ.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები (5.4): საზოგადოების წესდება, არაფულადი შესაგანისას - შესაგანის შეუასების დამადასტურებელი საბუთი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ყველა პირისათვის - შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრის ცნობა, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათი მიმართ არ ყოფი-

ლა გამოყენებული სასჯელი ქონებრივი დანაშაულისთვის, დოკუმენტები ღირექტორების დანიშვნის შესახებ და სარევიზიო კომისიის დანიშვნის შესახებ.

სასამართლო ვალდებულია რეგისტრაცია განახორციელოს აუცილებელი საბუთების წარდგენიდან ერთი თვის განმავლობაში. რეგისტრაციაში არ გატარების შემთხვევაში, თუ ამის შესახებ არ ეცნობა განმცხადებელს, საწარმო ჩაითვლება რეგისტრირებულად (მუხლი 5.9).

რეგისტრაციის შემდეგ საწარმოს უულება აქვს გაიხსნას ანგარიშსწორების ანგარიში, აილოს ბეჭედი და აგრიბუტიკის სხვა ელემენტები და დაიწყოს ხელშეკრულებითა და წესდებით გათვალისწინებული საქმიანობა.

როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ ერთობლივი საწარმოს შექმნაში და ფუნქციონირებაში უმნიშვნელოვანესი ელემენტია საწესდებო ფონდი. კანონით მეწარმეთა შესახებ შპს-ს საწესდებო კაპიტალი უნდა შეადგენდეს სულ ცოტა ათასი აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (მუხლი 4. 5.1) სს-ისთვის კი ათი ათას აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში (მუხლი 51.1). კანონი განსაზღვრავს საწესდებო ფონდის შევსებისა და ცვლილების (გაზრდის ან შემცირების) პროცედურებსაც.

შპს-ს და სს-ის ხელძღვანელობა და წარმომადგენლობა ეკისრებათ ღირექტორებს (მუხლი 49-56). შპს-ში დასაშვებია სამეთვალყურეო საბჭოს შექმნაც (მუხლი 48). სს-ში სამეთვალყურეო საბჭო აუცილებელია (მუხლი 55). სამეთვალყურეო საბჭო შედგება მინიმუმ სამი და არაუმეტეს 21 წევრისგან. (წევრთა რიცხვი უნდა იყოფოდეს 3-ზე). საბჭოს წევრები აირჩევა საერთო კრების მიერ 4 წლის ვადით. ვადაძღვე გადარჩევა დასაშვებია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობისას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს იმავედროულად ღირექტორი. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს

და მოადგილეს. თუ ვერ მოხერხდა გადაწყვეტილების მიღება, მაშინ ერთ-ერთი წევრის ან ღირექტორის განცხადების საფუძველზე გადაწყვეტილებებს იღებს სასამართლო, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს საზოგადოება. თავმჯდომარე იწვევს სხლომებს და განსამზერაუს ღლის წესრიგს. სხლომები გარღება კეარგალში ერსახელ და უნდა ესწრებოდეს წევრთა ნახეეარზე მეგი. გადაწყვეტილება მიიღება ხმების უბრალო უმრავლესობისა.

ერთობლივი საწარმოები აღრიცხეა-ანგარიშგებას ახორციელებენ საქართველოში მოქმედი საბულალგრო აღრიცხეისა და ანგარიშგების კანონმდებლობის შესაბამისად. ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საქმიანობის დაწყებისა და სამეურნეო წლის დამთავრებისას შეადგინონ საინვენგარიშაციო ნუსხა, რომელიც შეიცავს მონაცემებს მიწის ნაკვეთების, მოთხოვნებისა და ვალების, ნაღდი ფულის ოდენობის და ყველა სხეა მაგერიალურ ფასეულობათა შესახებ. ამასთან უნდა მიეთითოს ცალკეული მაგერიალური ფასეულობის ღირებულება მინომალური შეფასების პრინციპის შესაბამისად და გაკეთდეს ქონებისა და ვალების თანაფარღობის გამომხატველი ბალანსი.

ერთობლივი საწარმო იხღის გადასახადებს საქართველოს საგადასახადო კოდექსისა და საბაეო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად: საშემოსავლო გადასახადს, მოგებისა და მიწის გადასახადს, ღღ, აქციმს, საბაეო გადასახადს და ა.შ.

V.3. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის პერსპექტივები საქართველოში

თავისუფალი ეკონომიკური ზონების ირგვლივ აქტიური მუშაობა საქართველოში დაიწყო 1990 წელს, როცა დამუშავდა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარედგინა

განსახილველად „საქართველოს სსრ გერიტორიაზე თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნისა და ფუნქციონირების კონცეფცია“ და „ფოთში თავისუფალი მეწარმეობის ზონის შექმნის შესახებ ინფორმაცია“. შემდგომ 1994 წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება 882 „საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთ რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ღონისძიებათა შესახებ“, 1995 წელს შეიქმნა საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების პრობლემათა შემსწავლელი კომისია. კომისიამ 1995 წ. განიხილა „ფოთის თავისუფალი ეპრობის ზონის დებულება“ (პროექტი), შეისწავლა თბილისში, ბათუმსა და ფოთში თებების ფორმირების პრობლემები. 1996-1977 წლებში დამუშავდა კანონპროექტი „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ საქართველოში“.

თებების შექმნისა და ფუნქციონირების წინაპირობაა საკანონმდებლო ბაზის არსებობა. საკანონმდებლო ბაზაში არსებითია ორი ძირითადი შემადგენელი, პირველი - „კანონი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“ და მეორე, კანონქვემდებარე დოკუმენტებისა და აქტების პაკეტი.

კანონით „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“ ხორციელდება თებების შექმნის, ფუნქციონირების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სქემატური პროცესის რეგლამენტაცია. კერძოდ, - აუცილებელია მიზნის ზუსტად განსაზღვრა. საერთო სახელმწიფოებრივი, რეგიონული და უწყებრივი ინტერესების ზუსტად დადგენა, თებები უნდა ემსახურობდნენ ან საერთო სახელმწიფო, ან რეგიონულ, ან დარგობრივ ინტერესებს და საბოლოო ჯამში ხელს უნდა უწყობდნენ სამოვადოებრივ პროგრესს. გამოორიხებულია რეგიონული და უწყებრივი ინტერესების წინააღმდეგობა საერთო სახელმწიფო ინტერესებთან.

თემ-ები იქმნება განსაზღვრულ გერიგორიაზე. საესე-ბით შესაძლებელია მათი დამთხვევა აღმინისგრაციული დაყოფისადმი (ქალაქი, რაიონი, რეგიონი), მაგალითად: ფოთის ან ბათუმის ზონა, ან აჭარის რეგიონული ზონა. თემ-ების გერიგორიულ საზღვრებში პრივილეტირებულია რეგიონული ინეგერესები.

დარგობრივი სპექტრიდან ზონაში შეირჩევა რამოდენ-იმე დარგი, რომელთა განვითარებასაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მაგალითად: თბილისის აეროპორგი, ფოთის პორგი თემ-ებად გამოცხადების შემთხვევაში ხელს შეუწყობენ მომსახურების სფეროს დარგებისა და გრანს-პორგის დარგის განვითარებას, საერთაშორისო სტან-დარგების დონეზე.

- ცალსახად უნდა განისაზღვროს თემ-ების არსებობაზე პასუხისმგებელი ორგანო, რომელიც მიიღებს გადაწყვეტილებას საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ზონების შექმნის შესახებ და განსაზღვრავს რეგიონული და უწყებრივი მნიშვნელობის ზონების შექმნისა და ფუნ-ქციონირების იურიდიულ მხარეს, უურო ზუსტად გარკვეულ წესებს დაუქვემდებარებს რეგიონული და უწყებრივი ზონებ-ის შექმნისა და ფუნქციონირების პროცედურას.

როგორც არაერთგზის აღენიშნეთ თემ-ები იქმნება გან-საზღვრულ გერიგორიაზე, სადაც ცხოვრობს სხვადასხვა ასაკისა და სოციალური მდგომარეობის მოსახლეობა, სადაც თაემოყრილია ბუნებრივი რესურსები და ბუნებას - წყალს, ჰაერს, ფლორას, ფაუნას და ა.შ. ესაჭიროება დაე-ვა. თემ-ები საშუალებას იძლევა დასაქმდეს შრომითი რესურსები, ათვისებული და უკეთესად გამოყენებულ იქნას ბუნებრივი რესურსები, დაფინანსდეს სოციალურ-ეკონომიკურ-ეკოლოგიური პროგრამები. დადებით ეფექტებთან ერთად თემ-ების შექმნას თან ახლავს უარყოფითი ეფექტებიც - სოციალ-ური, ეკოლოგიური და სხვა ხასიათის.

ზონის მოთხოვნა ადგილობრივ შრომით რესურსებზე, მიწაზე, წყალზე, ბუნებრივ რესურსებზე და ა.შ. საჭიროებს მმართველობითი იერარქიის სხვადასხვა დონის (მმართველობის უმაღლესი ორგანო, რეგიონული მმართველობის ორგანოები, უწყებრივი ორგანოები) სტატუსის დადგენას. განასხვავებენ უფლებამოსილებათა სამ ფორმას: „შეთანხმება“, „ნებართვა“ და „საკითხის წინასწარი განხილვა“.

პირველ შემთხვევაში, იერარქიის მაღალ და დაბალ დონეებს შორის ხდება შეთანხმება, მეორე შემთხვევაში, მაღალი დონე დაბალისაგან თხოულობს ნებართვას, მესამე შემთხვევაში, მაღალი დონე დაბალ დონეს უბრალოდ საქმის ყურში აყენებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

- იღება თვზ-ის შექმნის ორი გზა არსებობს: ახალი ზონის შექმნა და არსებულთა რეორგანიზაცია (გაერთიანება ან მიერთება და გაყოფა ან გამოყოფა). გაერთიანებაში იგულისხმება მინიმუმ ორი ზონის გაერთიანება, როცა ახალი ზონა იძენს სტატუსს, გაერთიანებული ზონები კი მას კარგავენ. მიერთებაში იგულისხმება ერთი ზონისთვის მეორის მიერთება ისე, რომ პირველის სტატუსი ძალაში რჩება, ხოლო მეორე მას კარგავს. გაყოფაში იგულისხმება ერთი ზონის ადგილზე მინიმუმ ორი ზონის შექმნა. ძველი კარგავს სტატუსს, ახლები კი მას შეიძენენ. გამოყოფის დროს ერთ ზონას გამოეყოფა მეორე. პირველი თავის სტატუსს ინარჩუნებს, მეორე კი სტატუსს შეიძენს.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ პროცედურებში სამართლებრივი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანია გაყოფა და გამოყოფა. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ქონების, უფლებებისა და მოვალეობების გაყოფა-გადაინაწილებასთან. კანონით უნდა იყოს განსაზღვრული გაყოფა-გამოყოფის შესახებ აქტის დამტკიცების წესი, რათა თავიდან იქნეს აცილებული უწყრივობები, მათ შორის სამეურნეო.

უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემის ვადათ უნდა ჩაითვალოს აქტის სისწორის დამტკიცების თარიღი.

- თებ-ების ლიკვიდაციის წესი მკაცრად განსაზღვრული უნდა იყოს კანონმდებლობით. მას უნდა ახორციელებდეს სპეციალური კომპეტენტური ორგანო, სალიკვიდაციო კომისიასთან ერთად. სალიკვიდაციო კომისიის ამოცანები და ლიკვიდაციის ვადები დადგენილი უნდა იყოს კანონით.

- თებ-ების ფუნქციონირების საკანონმდებლო ნაწილში ორი მომენტია აუცილებლად გასათვალისწინებელი. პირველი, თებ-ების მმართველობითი სტრუქტურების მოწყობა და მეორე, საკადრო პოლიტიკა. ვინ უნდა მართავდეს თებ-ს? როგორ უნდა განაწილდეს ფუნქციები თებ-ის ხელძღვანელობას, ადგილობრივ მმართველობას და ქვეყნის ხელმძღვანელობას შორის? როგორც ზემოთ აღვნიშნეთ თებ-ს მართავს ადმინისტრაცია, საკონსულტაციო-სამეურნეო საბჭო და სპეციალური კორპორაცია. ჩვენი აზრით, ამ სტრუქტურებში კანონით უნდა იყოს გამაგრებული ადგილობრივი კადრების წარმომადგენლობითი მხარე და უფლებამოსილება. ადგილობრივი ადმინისტრაცია (მხარის, ქალაქის, რაიონის) ვალდებული და უფლებამოსილი უნდა იყოს: დაიცვას და გააკონტროლოს ზონაში სამეურნეო და სხვა ქმედებათა კანონიერება, შეასრულოს შუამავლის როლი ქვეყნის ხელისუფლებასა და ზონის ადმინისტრაციას შორის, მონაწილეობა მიიღოს და ქვეყნის კანონმდებლობის დარღვევის გარეშე გამოიყენოს შემოსავლების საკუთარი წილი.

ცალსახად, შრომითი რესურსები უპირატესად აგილობრივი უნდა იყოს.

რაც შეეხება - საკუთრებით ურთიერთობებს;

- საგარეო ეკონომიკურ ასპექტებს;

- დაბეგვრას

მათი რეგულირება მიზანშეწონილია „კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტების საშუალებით.

კანონი „თავისუფალი ეკონომიკური ზონების შესახებ“ სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში მოქმედ კანონთა პაკეტთან - მისგან უნდა გამოდიოდეს და მას უნდა ავსებდეს. პროცედურულად მისი მიღება საჯალღებულოა განხორციელდეს ქვეყნისთვის სასიცოცხლო კანონთა ამოქმედება - აპრობაციის შემდეგ.

განსაკუთრებული მნიშვნელობის ნორმატიულ დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს დებულება თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ.

სპეციალისტ პრაქტიკოსთა და თეორეტიკოსთა განსჯის საგანი გახდა ფოთის, ბათუმის და თბილისის ტერიტორიებზე თეზ-ების შექმნის საკითხი.

ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონისთვის დამუშავებულია მთელი რიგი საკვანძო საკითხები. კერძოდ:

1. ზონის გაადგილების ტერიტორია და ფართობი;
 2. საგრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფის შესაძლებლობები;
 3. შრომითი რესურსებით (მათ შორის კვალიფიციური კადრებით) დაკომპლექტების შესაძლებლობები;
 4. ენერგეტიკული და წყლის რესურსებით უზრუნველყოფის პირობები;
 5. წინადადებები სამეურნეო საქმიანობის შესახებ;
 6. საფინანსო რეჟიმთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები;
 7. ზონის ფუნქციონირების აღმინისგრაფიული საკითხები;
 8. ზონის ლიკვიდაციის პირობები.
- როგორც ფოთში, ისე ბათუმში და თბილისშიც თეზ-ების პროექტები შემუშავდა ტერიტორიებისთვის, სადაც გაადგილებულია პორტები, საგრანსპორტო კვანძები და საბაჟო პუნქტები.

წინასწარი პროგნოზებით საქართველოში თებების შექმნა სავარაუდევია (რეკომენდირებულია) ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე შეიქმნება ლოკალური ანუ მცირემასშტაბიანი ზონები, მეორეზე კი მსხვილი საძრეველო-საეაპრო დანიშნულების ზონები. მეორე ეტაპზე შესაძლებელია მიჩნეული რეორგანიზაციის ჩვენს მიერ გემოთ განხილული ფორმების (გაერთიანება, მიერთება), გამოყენება, პრეფერენციებით სარგებლობა და პირველ ეტაპზე მომზადებული კვალიფიციური კადრებით ძირითად სამუშაოთა დაკომპლექტება.

არავისში კამათს არ იწვევს ერთი გარემოება. ნებისმიერ შემთხვევაში თებების დაარსებას საქართველოში ესაჭიროება პოლიტიკურად სტაბილური სიტუაცია. მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი „ფორს-მაჟორი“. აუცილებელია დასრულდეს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პროცესი. ქვეყანაში უნდა მოქმედებდეს სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. გათვლილი და ურთიერთგაწონასწორებული უნდა იყოს თებების შექმნისა და ფუნქციონირების სოციალურ-ეკონომიკურ შედეგთა დადებითი და უარყოფითი ეფექტები.

მიგვაჩნია ყოველივეს გათვალისწინებით თებები საქართველოში ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აღმავლობას, მოწინავე ტექნიკის, ტექნოლოგიების, კვალიფიციური კადრების მოზიდვას, მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად გამართლებული ოპტიმალური დარგობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას.

VI. საბარაო ეკონომიკური კავშირების რეგულირების მეთოდები და მათი გამოყენება საქართველოში

საერთაშორისო პრაქტიკაში ცნობილია სავარაუდო ეკონომიკური კავშირების რეგულირების უამრავი მეთოდი. პირობითად მათი დაჯგუფება შესაძლებელია საგარიფო, არასაგარიფო, ფინანსურ და არაეკონომიკურ მეთოდებად [51].


VI.1. საგარიფო მეთოდები

საგარიფო მეთოდები გულისხმობს, ქვეყნის საზღვრების გაელით მოძრავ ნაკადებზე საბაჟო გადასახადების დაწესებას და ამ გზით ფისკალური ან დამაბალანსებელი ფუნქციის შესრულებას. ფისკალური ფუნქციისადმი დიდ ღანგერესებას იჩენენ განვითარებადი ქვეყნები და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, დამაბალანსებელი ფუნქციისადმი კი განვითარებული ქვეყნები. ისიც უნდა ითქვას, რომ გასული საუკუნის პირველ მეოთხედში, განვითარებულ ქვეყნებშიც საბაჟო გადასახადის ფისკალური ფუნქცია იყო ძირითადი.

საბაჟო გადასახადს ახლავს შემოსავლის ეფექტი. იგი ბიუჯეტის შემოსავლების შეესების წყაროა. როგორც შემოთ უკვე აღენიშნეთ განვითარებულ ქვეყნებში იგი უმნიშვნელოა, განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში კი გადამწყვეტი მნიშვნელობის. შემოსავლის ეფექტის გაანალიზებისას თეორეტიკოსები ერთმანეთს უღარებენ ორ ეკონომიკურ სიგუაყიას - საბაჟო გადასახადის გარეშე და საბაჟო გადასახადით. საბაჟო გადასახადის შემცირებით, მისი მისწრაფებით ნულისკენ სტიმულირება იმპორტი, იზრდება მოხმარება, მცირდება არაეფექტური ადვილობრივი წარმოება. გადასახადის გაზრდით მცირდება მოხმარება, იზრდება არაეფექტური ადვილობრივი წარმოება, მცირდება იმპორტი. უასების სგრუქტურაში გათვალისწინებული საბაჟო გადასახადით მთაერობას ეზრდება ბიუჯეტის შემოსავალი.

უასების გადიდებით წარმოიქმნება გადანაწილების ეფექტი მოხმარებლის საზიანოდ და მწარმოებლის სასარგებლოდ. ადვილობრივი წარმოება (Q)
 $Q_1 = > Q_2$,
უასი (p)
 $p_1 = > p_2$, $p_2 - p_1 = T$ (საბაჟო გადასახადს). მწარმოებლის სასარგებლოდ გადანაწილების ეფექტი გოლია

$$(Q_1 P_2 - Q_1 P_1) + (Q_2 - Q_1) T/2 = Q_1 T + (Q_2 - Q_1) T/2 = Q_2 T - (Q_2 - Q_1) T/2$$



უგარიფოდ ადგილობრივ მწარმოებელთა შემოსავალი უდრის $Q_1 P_1$, ანუ $OP_1 A Q_1$ -ის ფართობს (S) = $Q_1 P_1 = S(OP_1 A Q_1)$. წმინდა შემოსავალი $S(OP_2 B Q_2) - S(OP_1 A Q_1) = S(P_1 P_2 B A)$.

T გარიფის შემთხვევაში, ადგილობრივ მწარმოებელთა შემოსავალი უდრის $Q_2 P_2 = S(OP_2 C Q_2)$.

წმიდა შემოსავალი = $S(P_1 P_2 B A) + S(ABC) = S(OP_2 C Q_2) - S(OP_1 D Q_2) - S(ACD)$.

საბაჟო გარიფის დაწესებას გარდა შემოსავლისა და გადანაწილების ეფექტებისა თან ახლავს მოხმარების ეფექტი, რამეთუ საბაჟო გარიფი იწვევს მოხმარების შეცუბვლას. ფასების ზრდით მოხმარება მცირდება $Q \downarrow$, $Q_4 = > Q_2$, მოიხმარებოდა $Q_4 P_1$, გარიფის დაწესების შემდეგ მოიხმარება $Q_2 P_2$.

ბუნებრივია ისმის კითხვა: რას ნიშნავს საზოგადოებრივი კეთილდღეობის თვალსაზრისით საბაჟო გადასახადი? ა) მაღალეფექტური უცხოური პროდუქციის ჩანაცვლებას დაბალეფექტური ადგილობრივი პროდუქციით; 2) დამატები-

თი რესურსების დაბანდებას არაეფექტურ წარმოებაში; 3) მოხმარების შემცირებას.

დაცვის ეფექტის გაკლებით იზრდება ხარჯები დამატებით წარმოებული პროდუქციის ყველა ერთეულზე ფასთან სხვაობის გოლი სიდიდით, ანუ ($P_2 - P_1$) სიდიდით.

საბაჟო გადასახადით ეკონომიკაში წარმოქმნილი ეფექტების ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმას ქვეყანა დიდია თუ მცირე. მცირე ქვეყანას არ შეუძლია, ექსპორტზე უცვლელი ფასების პირობებში, იმპორტზე მოახლოვნის გამრდით ან შემცირებით გაკლება მოახდინოს მსოფლიო ბაზრის ფასებზე. ამიგომ ასეთ ქვეყნებში არ იცვლება ვაჭრობის პირობა, მოთხოვნის გამრდით, და არ წარმოიქმნება ვაჭრობის პირობის ეფექტი.

დიდ ქვეყნებს შესაძლებლობა აქვთ შეცვალონ ვაჭრობის პირობა, ამიგომ ასეთ ქვეყნებში საბაჟო ტარიფი გამოიყენება არა ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად, არამედ ქვეყნის ვაჭრობის პირობის გასაუმჯობესებლად, ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ყოველ ერთეულზე მოდის მეტი და მეტი იმპორტი.

ამრიგად მცირე ქვეყნებში საბაჟო გადასახადი

- 1) ზრდის ბიუჯეტის შემოსავალს მოხმარებლების ხარჯზე;
- 2) ზრდის ადგილობრივ მწარმოებელთა შემოსავალს გამოწვეულს ფასთან სხვაობით ($P_2 - P_1$) და წარმოების ზრდით (Q_2);
- 3) ამცირებს მოხმარებას ფასთან გაზრდის გამო და
- 4) ხელს უწყობს რესურსების გამოყენებას ნაკლებეფექტურ წარმოებაში.

დიდ ქვეყნებში, განსხვავებით მცირეთაგან, საბაჟო ტარიფებით იზრდება რა ფასები იზრდება ბიუჯეტის შემოსავალი, ნაწილი მოხმარებელთა ხარჯზე ფასების სტრუქტურაში განხორციელებული ცვლილებებით და ნაწილი იმპორტიორთა ხარჯზე, რომლებიც იძულებულნი არიან კიდევ უფრო დაუ-

წიონ ფასს უგარიფო ეაქრობის ფასთან შედარებით, რასა ბაზარი შეინარჩუნსონ. ამ ქმედებას თან ახლავს ადგილობრივი წარმოების შემცირება და მას ეწოდება საგარეო ეაქრობის პირობის ეუექტი.

საგარიფო მეთოდებში, გარდა იმპორტზე საბაეო გადასახადისა განიხილება აგრეიეე ოპტიმალური საბაეო ტარიფი, საგარიფო კეოტა და ექსპორტზე საბაეო გადასახადი.


ექსპორტზე გადასახადიე განსხეაეებულია თაეისი ეუექტებით მერიე და ღილ ქეეყნებში. მერიე ქეეყნებში ამ გადასახადს თან ახლავს მოთხოენის გაზრდა უგარიფო ექსპორტთან შედარებით და ექსპორტის შემცირება, ეეონომიკური ეუექტები ზემოთ ჩვენს მიერ განსხილული ეუექტების ანალოგიური.

VI.2. არასაგარიფო მეთოდები

რეგულირების არასაგარიფო მეთოდებიდან ყეელაზე უფრო გავრცელებულია რაოლენობრივი შემლუდეები - კეოტები და ლიენზიები.

იმპორტზე საბაეო გადასახადს იმპორტზე კეოტას აღარებენ. მათ შორის განსხეაეება იმაში მდგომარეობს, რომ საბაეო გადასახადი შემოსაეელის გადანაწილებას ახლენს მომხმარებლიდან სახელმწიფო ბიუჯეის სასარგებლოდ (შემოსაეელის ეუექტი), კეოტა კი მომხმარებლიდან იმპორტიორი ორგანიზაციის სასარგებლოდ. როგორც ზემოთ უკეე აღენიშნეთ საბაეო გადასახადი ზრდის იმპორტირებული პროდუქციის ფასს. ფასებშია გათეალისწინებული საბაეო გადასახადის სიდიდე და მას ისდის მომხმარებელი ბიუჯეის სასარგებლოდ. კეოტის შემთხეეევაშიე ფასი იზრდება. ფასთა შორის სხეაობას ისდის მომხმარებელი, იმპორტიორის სასარგებლოდ. კეოტით სარგებლობისას სახელმწიფო როგორც წესი აწესებს ქეოტის გოლი ღირებულების ლიენზიას და ამ გზით ედილობს

შემოსავალი გადაანაწილოს თავის სასარგებლოდ.




საბაჟო გადასახადისა და კეოტის შედარებისას პრობლემა მდგომარეობს შემდეგში: საბაჟო გადასახადით იზრდება ფასი, მცირდება მოთხოვნა, მცირდება იმპორტი. სუ ქვეყანა დააწესებს საბაჟოთი დაბეგრული იმპორტის გოლ კეოტას, მაშინ საბაჟო გადასახადსა და კეოტას ექნება ერთმანეთის ანალოგიური ეფექტები, მაგრამ სუკი შეიცვლება მოთხოვნა, საბაჟო გადასახადის შემთხვევაში ფასი დარჩება უცვლელი და გაიზრდება იმპორტი, კეოტას შემთხვევაში კი იმპორტი დარჩება უცვლელი და ფასი გაიზრდება, გამრდილი მოთხოვნის გამო.


VI.3. საფინანსო მეთოდები

საგარეო ვაჭრობის რეგულირების საფინანსო მეთოდებიდან ყველაზე უფრო პოპულარულია სუბსიდიები და ღემპინგი.

სუბსიდირება, შიდაც და საექსპორტოც ხორციელდება ადგილობრივი მწარმოებლების დასაცავად და იმპორტის შესაზღუდად დისკრიმინაციული გზით.



საექსპორტო სუბსიდია



შიდა სუბსიდია

შიდა სუბსიდირების დროს, იმპორტით თაღისუფალი ეაქრობისას, შიდა წარმოება გოლია Q_1 -ის, მოხმარება

Q_2 -ის და $Lm = Q_2 - Q_1$, P_2 ფასის პირობებში. P_2 ბუნებრივია ნაკლებია შიდა ფასზე (P_1). სახელმწიფო მწარმოებელს აძლევს სუბსიდიას ($P_3 - P_2$) ოდენობით ყველა ერთეულ პროდუქციაზე რის გამოც წარმოება იზრდება Q_3 -მდე. იმპორტი მცირდება ($Q_2 - Q_3$)-მდე. მწარმოებელი $Q_3 P_2$ ფასს იღებს მომხმარებლისგან და $Q_3(P_3 - P_2)$ ფასს კი იღებს სუბსიდიის სახით. ამ გზით ხდება იმპორტის დისკრიმინაცია.

საექსპორტო სუბსიდირების დროს საგარეო ვაჭრობის ფასია P_1 . ექსპორტიორი ქვეყანა ფასს ავდებს და იხდის სუბსიდიას ($P_2 - P_3$) ოდენობით. სუბსიდირებაშდე ექსპორტიორის შემოსავალი უდრის $Q_1 P_1$ -ს. სუბსიდირების შემდეგ $Q_1 \Rightarrow Q_2$, შემოსავალი უტოლდება $Q_2 P_2$ -ს. შემოსავალი იზრდება Q -ს მრდის ხარჯზე. ბიუჯეტს და გადასახადის გადახდელს ეს ოპერაცია უჯდება $Q_2 (P_2 - P_3)$.

გარდა ჩვენს მიერ განხილული მეთოდებისა იმპორტის შეზღუდვის მიზნით გამოიყენება:

- ტექნიკური ბარიერები (ხარისხის სერტიფიკატი, მოთხოვნები შეფუთვაზე, სანიტარული ნორმები და სხე.);
- შიდა გადასახადები და მოსაკრებლები (დღგ, აქციზი და სხე.);
- სახელმწიფო შესყიდვების პოლიტიკა (სახელმწიფო ორგანოებსა და საწარმოებს მოეთხოვებათ იყილონ მხოლოდ ადგილობრივი წარმოების პროდუქცია და სხე.);
- ადგილობრივ კომპონენტთა შემცველობის მოთხოვნა და ა.შ.

გარდა ამისა, არსებობს არაეკონომიკური მეთოდებიც:

- სავაჭრო ხელშეკრულებები და
- სამართლებრივი რეკიმები (მაგ., მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის მიერ აღიარებული „უპირატესი ხელშეწყობის რეკიმი“).

VI.4. წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის მოძრაობის რეგულირება

სპეციფიკური მექანიზმებია დამუშავებული წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის მოძრაობის რეგულირებაში [24, გვ. 346-347].

საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში წინა პლანზე წაბოიწია წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის მოძრაობის რეგულირების საკითხებმა. პრობლემა ეხება კაპიტალის მოძრაობას, შრომითი რესურსების მოძრაობას და გექსოლოგიების გადაცემას. სამივე ეს ფორმა აქტიურად ზემოქმედებენ ეკონომიკურ ზრდაზე და დასაქმებაზე.

წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის მოძრაობა, განსაკუთრებით კაპიტალის მოძრაობა ავსებს საქონელითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობას. კაპიტალით გაჯერებულ ქვეყნებს შეუძლიათ ექსპორტზე გაიტანონ არა მხოლოდ კაპიტალგვეადი საქონელი, არამედ კაპიტალიც. შრომითი რესურსებით გაჯერებულ ქვეყნებს კი შეუძლიათ, როგორც შრომაგვეადი საქონელის ექსპორტი, ასევე მის მოქალაქეებს შეუძლიათ გაემგზავრონ უცხოეთში სამუშაოდ. წარმოების ფაქტორების ქვეყნებს შორის, მოძრაობა ექვემდებარება დაახლოებით იგივე კანონზომიერებებს, რასაც საქონელითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობა. უფრო ზუსტად კი წარმოების ფაქტორები მიემართებიან იქ, სადაც მათ მეტი ფასი აქვთ (სადაც უფრო მაღალია საპროცენტო განაკვეთი, ხელფასი და ა.შ.).

წარმოების ფაქტორების მოძრაობა უზრუნველყოფს ერთობლივი წარმოების უფრო მაღალ დონეს, სანამ საქონელით ვაჭრობა (შეფარდებითი უპირატესობის პრინციპით).

ძირითადი განსხვავება საქონელის ექსპორტსა და კაპ-

იგალის ვაგანას შორის მდგომარეობს იმაში, რომ პირველ შემთხვევაში ექსპორტირდება წარმოების ფაქტორის (კაპიტალის) გამოყენების შედეგი, მეორე შემთხვევაში კი თვითონ წარმოების ფაქტორი (კაპიტალი). წარმოების ფაქტორების ვაგანა სახელმწიფოს მხრივ რეგულირდება უფრო მკაცრად. მთელი რიგი ქვეყნები, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნები, ყოველმხრივ ცდილობენ შეზღუდონ წარმოების ფაქტორების ვაგანა.

კაპიტალი ქვეყნებს შორის მოძრაობს პირდაპირი ინვესტიციების სახით, სამეწარმეო და სასესხო კაპიტალის სახით, ოფიციალური და კერძო კაპიტალის სახით.

შრომითი რესურსების მიგრაცია (ემიგრაცია და იმიგრაცია) ქვეყნებს შორის წარმოების ფაქტორების მოძრაობის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფორმაა. საერთაშორისო მიგრაცია ხორციელდება, როგორც ეკონომიკური, ისე არაეკონომიკური მიზეზებით. ეკონომიკურ მიზეზებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შრომითი რესურსების დაინტერესება მაღალი ანაზღაურებით. არაეკონომიკურ მიზეზებს კი განეკუთვნება: ბუნებრივი სტიქიური მოვლენები, ომები, სახელმწიფოების დაშლა და ა.შ.

ემიგრაციასა და იმიგრაციას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ემიგრაციის დადებითი მხარეებიდან სპეციალისტები გამოყოფენ უმუშევრობის შემცირებას და ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი გრანსფერების მრდას; უარყოფითი მხარეებიდან კი აღსანიშნავია ტექნოლოგიური პოტენციალის შემცირება და კულტურული და სამეცნიერო დონის შემცირება. ემიგრაციას რაც შეეხება აუცილებელია აღინიშნოს, რომ იგი ხელს უწყობს ხელუფასების დონეების გამოთანაბრებას ქვეყნებს შორის.

საერთაშორისო მიგრაცია ეროვნული სახელმწიფოების მხრივ რეგულირდება უფრო მკაცრად, სანამ საქონელის,

მომსახურების და კაპიტალის ქვეყნებს შორის მოძრაობა. სახელმწიფო რეგულირება როგორც წესი ხორციელდება ბიუჯეტის ხარჯზე დაფინანსებული სპეციალური პროგრამებით. ეს პროგრამები ერთის მხრივ გლუდაეს იმპერაციას და მეორეს მხრივ ასტიმულირებს ემიგრანტების დაბრუნებას სამშობლოში.

შრომითი მიგრაციის პრობლემებს არეგულირებს სპეციალური სახელმწიფო ინსტიტუტები: საგარეო საქმეთა სამინისტრო (საზღო რეჟიმით), იუსტიციის სამინისტრო (გასელისა და შემოსელის რეჟიმის კონტროლით), შრომის სამინისტრო (უცხოელი მუშაკების შრომითი საქმიანობის კონტროლით).

მიმღები ქვეყნები მზად არიან მიიღონ იმიგრანტები შემდეგი პირობებით - თუ ისინი შეასრულებენ სამუშაოს დაბალი ანაზღაურებით, იმუშავენ ახალ, პერსპექტიულ დარგებში, იქნებიან იშვიათი სპეციალობის მქონენი და მსოფლიოში ცნობილი პიროვნებები (მხატვრები, მეცნიერები, მუსიკოსები და ა.შ.).

უმეტესობა ქვეყნებში საერთაშორისო მიგრაცია, რეგულირდება კანონთა პაკეტით და კანონქვემდებარე აქტებით. ეს კანონები და კანონქვემდებარე აქტები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიულ კვალიფიკაციას (განათლება, მუშაობის სტაჟი), პირადი ხასიათის შემლუღებს (ჯანმრთელობა), რაოდენობრივ კვოტებს, ეკონომიკურ რეგულირებას (მაგალითად, იურიდიული პირები, რომლებსაც სურთ დაასაქმონ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, ბიუჯეტში იხდიან სპეციალურ გადასახადს), დროით შემლუღებს (იმიგრანტებისთვის დადგენილი აქვთ ქვეყანაში მათი ყოფნის მაქსიმალური ვადები), გეოგრაფიულ პრიორიტეტებს, აკრძალვებს (ზოგიერთ დარგში აკრძალულია იმიგრანტების მუშაობა).

გარდა ამისა, დასავლეთის ბევრ ქვეყანაში გარდება

სახელმწიფო ღონისძიებათა კომპლექსი იმიგრანტების სამშობლოში დასაბრუნებლად (რეემიგრაციისთვის): 1. მუშავდება რეემიგრაციის პროგრამები (ეხმარებიან მატერიალურად იმ იმიგრანტებს, რომლებსაც სურთ სამშობლოში დაბრუნება), 2. იმიგრანტების პროფესიული მომზადების პროგრამები, 3. მასიური ემიგრაციის ქვეყნებისთვის ეკონომიკური დახმარების პროგრამები.

VII. საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების ძირითადი მიმართულებები

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების გეოგრაფია და პარტნიორთა წრე განსაკუთრებული განსჯის საგანია. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა საქართველოსთან აქტიურად მოთანამშრომლე ასი ძირითადი ქვეყანა: რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, გერმანია, აშშ, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, შვეიცარია, იტალია და ბულგარეთი. თვალს თუ გადავავლებთ ამ ქვეყნების სამოგადობრივ-პოლიტიკურ მოწყობას, მათ შორის, დავინახავთ განვითარებულ ქვეყნებსაც, განვითარებად ქვეყნებსაც და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებსაც. თითოეული ქვეყანა საქართველოსთან თანამშრომლობაში ქმნის განსხვავებულ მიმართულებას და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ურთიერთიმოთხობენებით, ურთიერთვალდებულებებით, თანამშრომლობის ფორმებით, პრინციპებით და შედეგებით.

საქართველოსთვის რუსეთში უმსხვილესი პარტნიორი ქვეყანაა. რუსეთთან საქართველოს ეკონომიკური კავშირები მრავალწლიან ისტორიას ითვლის. ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში რუსეთზე მოდიოდა საქართველოს

პროდუქციის შემოგანისა და გაგანის ძირითადი ნაწილი. საქართველოს შემოპქონდა ნელლეული, სათბობი, შზა პროდუქცია, დეგალები, კვანძები და სხვ., რაც აუცილებელი იყო რესპუბლიკის მეურნეობის მრავალი დარგის, განსაკუთრებით კი სპეციალიზაციის დარგების (კვების და მსუბუქი მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და სხვ.) ფუნქციონირებისთვის და მოსახლეობის პირადი მოთხოვნებილების დაკმაყოფილებისთვის. შემოგანილი პროდუქციის 80%-ს შეადგენდა მრეწველობის პროდუქცია. საქართველოს ინტენსიური კავშირები ქქონდა ყველა რესპუბლიკასთან, მაგრამ მისი პროდუქციის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაცია, რომლის წილადაც მოდიოდა გაგანილი პროდუქციის თითქმის 50%. საქართველო აწვდიდა ქიმური მრეწველობის და შავი მეგალურგის, მსუბუქი და კვების მრეწველობის, მანქანათმშენებლობის პროდუქციას.

მიმდინარე პერიოდში, როცა საგარეო ეკონომიკური კავშირების მიმართულებებზე ვსაუბრობთ, საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა უნდა განვიხილოთ - დამოუკიდებელი სახელმწიფოების, მეზობელი ქვეყნების, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების, დიდი და პატარა ქვეყნის თანამშრომლობის ასპექტში, მათი ეკონომიკური და პოლიტიკური (რამეთუ სფერო პოლიტიზირებულია) მიზნების გათვალისწინებით.

საქართველო და რუსეთი ორივე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანაა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მათ ერთნაირი სასტარტო პირობები გააჩნიათ: შემცირებული მშპ, ერთმანეთის ანალოგიური საკანონმდებლო ბაზა, შესაბამისი ინსტიტუტები და საკუთრებითი ურთიერთობების ფორმები, უმუშევრობის მაღალი დონე, პერიოდული ინფლაციური მოლოდინი, ბიუჯეტისა და საგადამხდელი ბალანსის ქრონიკული დეფიციტი და სხვ. ორივე ქვეყანას

ერთნაირად სჭირდება განვითარებული ქვეყნების მხრივ ფართო ტექნიკური დახმარებები, სავაჭრო შედეგები და პროტექციონისტული მიდგომა საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში.

ერთნაირ სასტარტო პირობებსა და თანამშრომლობის პრეალწლიან გამოცდილებას დაეძაბა ორივე ქვეყნის წვერობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ). დსთ-ს ჩარჩოებში შესაძლებელი იყო წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომლობა პრეფერენციებით. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე. გარდა ამისა, ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ურთიერთმჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობის გზით უკეთესი შანსები აქვთ მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირებისთვის, ვიდრე თითოეულს ცალ-ცალკე.

საქართველო-რუსეთის ეკონომიკური კავშირების სპეციფიკურ თავისებურებას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ რუსეთი არის დიდ ღია ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანა, საქართველო კი მცირეზე. საქართველო გერიგორიულად პარაგარაა, მაგრამ გააჩნია ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური უპირატესობები. პრაქტიკული რეალობაა აზია-ევროპის დერეფანი საქართველოში, რაც ბევრი ქვეყნის ინტერესის საგანს წარმოადგენს, მათ შორის რუსეთისაც.

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ბოლო ინფორმაციით 2003 წ. სექტემბრისთვის „მომზადებულია ნავთობსადენის დერეფნის 68 კმ, მიწები განლაგებულია ნავთობსადენის დერეფნის 37 კმ-ზე, მიწები შედუღებულია 23 კმ-ზე. უშუალოდ ნავთობსადენის მშენებლობაში დასაქმებულია 1960 მოქალაქე. ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში, ქართული კომპანიების მიერ შესრულებულია 6 844 500 ლარის სამშენებლო სამუშაოები. 2200-ზე მეტი ოჯახისათვის გადახდილია

13 400 000 ლარი მიწისა და მოსავლის კომპენსაციისთვის. ნავთობსადენის გასწვრივ მდებარე რაიონებში ადგილობრივი მეწარმეებისგან შეძენილია 1871500 ლარის ღირებულების ინერტული მასალა. ქართული კომპანიებისაგან შეძენილია 1 839 720 ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა. ადგილობრივი მოსახლეობისგან შეძენილია 398 840 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები. ადგილობრივი მოსახლეობისთვის მათი ქონების დაქირავების საზღაურად გადახდილია 266 590 ლარი. ბათუმისა და ფოთის პორტებში გვირთების მიღებასა და გადამუშავებაში გადახდილია 6 059 800 ლარი. საქართველოს რკინიგზისთვის გვირთების გრანსპორტირებისთვის გადახდილია 5 404 200 ლარი. ქართული სამშენებლო კომპანიების მიერ საქართველოს ბიუჯეტში გადარიცხულია 317 550 ლარი. ნავთობსადენის მშენებლობის დაწყებიდან დღემდე საქართველოს 10 000-მდე მოქალაქემ სსვადასხვა ფორმით მიიღო მონაწილეობა პროექტისთვის აუცილებელი მომსახურების გაწევისა და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის პროცესში. პროექტით ეკონომიკური ზეგავლენა საქართველოში ათასობით ოჯახს შეესო“ (იხ.გაგებითი „საქართველოს რესპუბლიკა“, N 249, 18 სექტემბერი, 2003 წ.).

საქართველოს პრეზიდენტის (1994-2003 წწ.) ე.შვეარდნაძის ნაშრომის [37] და რუსი პრაქტიკოსის, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. ჩერნიავსკის კვლევის მიხედვით [72] პროგრამა TRACECA (Transport corridor Europe - Caucasus - Asia) გახშიანდა 1993 წელს ბრიუსელში და შემდგომ მიიღო „დიდი აბრეშუქის გზის აღორძინების“ სახელწოდება. პროგრამა გამოხატავს აშშ, ევროპის კავშირის სახელმწიფოებისა და თურქეთის უმსხვილესი კომპანიების ინტერესებს. მისი დამუშავების მიზეზი გახდა სსრკ-ს დაშლა, ეთნოკონფლიქტების კერების გაჩენა კავკასიის რეგიონში, ტრადიციული საგრანს-

პორტო კავშირების მოშლა და ახალის არ არსებობა.

ევროკავშირის კომისიის 1993 წ. მაისის შეხვედრას ესწრებოდნენ წარმომადგენლები ამერბაიჯანიდან, სომხეთიდან, საქართველოდან, ყაზახეთიდან, ყირგიზეთიდან, ტაჯიკეთიდან, თურქმენეთიდან და უზბეკეთიდან. ამ შეხვედრაზე განხილულ იქნა საგრანსპორტო ღერუების ხუთი ძირითადი მიზანი: 1. ტრანსპორტის განვითარება და ინტენსიფიკაცია. თანამშრომლობა საგრანსპორტო მომსახურების სფეროში. 2. რეგიონულ დონეზე, ვაჭრობის სფეროში გეგმების კოორდინაცია, ევროკავშირთან კოოპერირების გზით. 3. რეგიონულ დონეზე, ტრანსპორტის სფეროში მეცნიერული სიახლეებისა და აღმოჩენების გაცემა. 4. ნორმატიულ-სამართლებრივი ხასიათის შეთანხმებებისა და კონვენციების განხილვა და დანერგვა წვერი ქვეყნების მიერ ვაჭრობაში და ტრანსპორტის დარგში. 5. წვერი ქვეყნებისა და ევროკავშირის ტექნიკური ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისობა ერთმანეთთან.

შემდეგი შეხვედრა გაიმართა 1994 წ. მარტში კუნძულ კრეტაზე. მასზე შემუშავებულ იქნა კონკრეტული ტექნიკური პროექტები, რომლებიც ითვალისწინებდა TRACECA-ს ფარგლებში, უახლოესი გზებით, ორი კონტინენტის დაკავშირებას, საავტომობილო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო მაგისტრალებით. შემუშავებული პროექტების სარეალიზაციოდ 1995 წ. შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტდა პროგრამის წვერი ქვეყნების წარმომადგენლებით და კონსულტანტებით ევროკავშირიდან.

სამუშაო ჯგუფების შეხვედრები შედგა 1995 წ. მაისში ალმა-ატაში (განხილულ იქნა 15 პროექტი მგზავრების მომსახურების მონიტორინგის შესახებ, ტრანსპორტის მოძრაობის განრიგის პროგნოზირების მოდელები, ინფრასტრუქტურის მართვის საკითხები და სხვ.), 1995 წ. ოქტომბერში ვენაში (დაზუსტდა TRACECA-ს მარშრუტი, გან-

ისაზღვრა საკევანძო საკითხები, რომელთა შესახებაც საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენა დაევალათ წევერ-ქეყნებს. დადგინდა, რომ პროექტები, რომლებიც არ არის დაკავშირებული პროგრამის რეალიზაციასთან დაუინანსდებოდა ეროვნული ბიუჯეტებიდან ან სხვა წყაროებიდან. დიდი ყურადღება დაეთმო საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სახსრების მიღების კრიტერიუმების განსაზღვრას), 1996 წ. მარტში ვენეციაში (გაკეთდა განცხადება მეოთხე შეხვედრა გამართულიყო ათენში 1996 წ. ოქტომბერში, პროგრამის დაფინანსების საკითხებთან დაკავშირებით).

თავიდანვე TRACECA-ს პროექტების სარეალიზაციოდ დაიგეგმა სოლიდური თანხების გამოყოფა. 1995 წ. აღმატის შეხვედრაზე განხილული პროექტების განხორციელებისთვის ხელმოწერილ იქნა კონტრაქტები. ამ კონტრაქტების შესრულებისთვის ევროკავშირის კომისიამ გამოყო 12 მლნ. ეკიუ. 1996 წ. ვენეციის შეხვედრაზე ევროკავშირის კომისიის მიერ გაკეთდა განცხადება 10 მლნ. ეკიუ-ს გამოყოფის შესახებ. საგრანსპორტო დერეფნის დაფინანსებისადმი მხარდაჭერა თავის დროზე გამოთქვეს საერთაშორისო-საფინანსო ინსტიტუტებმაც - განვითარებისა და რეკონსტრუქციის ევროპის ბანკმა სააეგომობილო გზებისა და პორტების რეკონსტრუქციისთვის დაგეგმა 190 მლნ. დოლარი, განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკმა 35 მლნ. დოლარი. განვითარებისა და რეკონსტრუქციის ევროპის ბანკმა საკრედიტო ხაზი გახსნა შემდეგი პირობების მიხედვით: თურქმენეთში აეგომ-აგისგრალის მშენებლობა 80 მლნ. დოლარი, ბაქოს პორტის ნავსაბელის რეკონსტრუქცია - 50 მლნ. დოლარი, პორტ თურქმენბაშნის ნავსაბელი - 50 მლნ. დოლარი, სომხეთის სააეგომობილო გზების მოდერნიზაცია, განვითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკთან ერთად - 40 მლნ. დოლარი, საქართველოში მარცვლეულის გერმი-

ნალის მშენებლობა ფოთში - 1,5 მლნ. დოლარი. განუითარებისა და რეკონსტრუქციის საერთაშორისო ბანკმა საქართველოს გამოუყო 15 მლნ. დოლარი საავტომობილო გზების სრულყოფისთვის. TRACECA-ს გრადიციულ კონფერენციაზე თბილისში 1997 წ. აპრილში დაამტკიცდა 14 სამუშაო პროექტი, საერთო ღირებულებით 20 მლნ. ეკიუ. ამ პროექტების რეალიზაცია გათვალისწინებული იყო 1998-1999 წწ.

დამუშავებულია TRACECA-ს მარშრუტის უსაფრთხოების პროგრამაც. TRACECA-ს მარშრუტის უსაფრთხოების საკითხებს მიეძღვნა 1998 წ. ოქტომბერში საქართველოში გამართული სემინარი, რომელიც მოაწყო ნატოს ეკროაგლანტიკური პარტნიორობის საბჭომ.

1998 წ. ოქტომბერში ბაქოში გაიმართა კონფერენცია, რომელსაც ესწრებოდნენ წარმომადგენლები 32 ქვეყნიდან (მათ შორის, თურქეთის, უკრაინის, მოლდოვას, უზბეკეთის, საქართველოს, ყირგიზეთის, ბულგარეთის, რუმინეთის პრეზიდენტები და სომხეთის პრემიერ-მინისტრი) და 13 საერთაშორისო ორგანიზაციიდან. კონფერენციამ მიიღო დეკლარაცია. იგი თავისი შინაარსით საგრანსპორტო დერეფნის პოლიტიკური მნიშვნელობის დადასტურებას წარმოადგენს ეკონომიკურთან ერთად.

ს. ჩერნიაესკის მიხედვით [72] TRACECA-ს პროგრამასთან დამოკიდებულებაში „ოფიციალური რუსეთის პოზიცია უცნობია. გადაწყვეტილების მიღება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დამთავრდება მოსაზრებების უწყებათაშორისო ბრძოლა“.

აზია-ევროპის საგრანსპორტო დერეფანი აუცილებლად შეიგანს მნიშვნელოვან კორექტივებს წევრი-ქვეყნების საგარეო ეკონომიკურ კავშირებში. ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამართლებრივ ასპექტებში იგი არის პრობლემა, რომელიც უნდა განიხილებოდეს მხოლოდ და მხოლოდ

სახელმწიფო დონეზე მოთანამშრომლე ქვეყნებშიც და დაინტერესებულ ქვეყნებშიც.

დაუბრუნდეთ საქართველო რუსეთის, როგორც მცირე და დიდი ქვეყნის ეკონომიკურ ურთიერთობებს. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით, რუსეთის - დიდ ქვეყანას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს - მცირე ქვეყნის ეკონომიკაზე საბიუჯეტო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკით. კერძოდ,

1). რუსეთს შეუძლია საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკით გაზარდოს (ან შეამციროს) საპროცენტო განაკვეთი. საქართველოში საპროცენტო განაკვეთის გაზრდა (შემცირება) გამოიწვევს ინვესტიციების შემცირებას (გაზრდას). იმის გამო, რომ არ იცვლება ეროვნული დანამოგების მაჩვენებელი, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშის დეფიციტი გაიზრდება, სალდოს მაჩვენებელი შეიცვლება (-) ნიშნით, მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის სალდოს მაჩვენებელი შეიცვლება (+) ნიშნით, შემცირდება დეფიციტი და სტიმულირდება დანამოგების გადინება ქვეყნიდან.

2). რუსეთში ფულად-საკრედიტო პოლიტიკით სავალუტო კურსის ცვლილება პირდაპირ აისახება საქართველოს ეროვნულ ვალუტაზე. ამის ნათელი მაგალითია 2000 წლის ცნობილი მოვლენები [21, 32] - სტაგისტიკა მოწმობს, რომ რუსეთის კრიზისმა კი არ გამოიწვია საქართველოს სავაჭრო ბალანსის დეფიციტი, არამედ გააღრმავა და გაამწვავა იგი. უცხოური ვალუტის გადინება ქვეყნიდან ფულის საერთო მასაში მისი ხვედრითი წილის შემცირებით გამოიხატება და პირდაპირ აისახება ეროვნული ვალუტის კურსზე. ამიგომ საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის აქტიური გავლენა ვალუტის კურსის სტაბილურობაზე კამათს არ იწვევს.

3). რუსეთის, როგორც დიდ ქვეყანას შეუძლია ფასების

შეცვლა. საქართველო პაგარა ქვეყანაა და ამიტომ უახებს გარედან ღებულობს. უახების გაზრდა (შექმირება) კი პირდაპირ აისახება ერთობლივი მოთხოვნისა და ერთობლივი მიწოდების მაჩვენებლებზე, შესაბამისად წონასწორობის მდგომარეობაზე რეალურ, ფულად, საბიუჯეტო და საგარეო სექტორებში.

გარდა რუსეთისა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებიდან საქართველოს პარგნიორები არიან უკრაინა და აზერბაიჯანი. საქართველოს და უკრაინას ორივეს ერთად ევროპაში გასასვლელად უკეთესი შანსები აქვთ, ვიდრე თითოეულს ცალ-ცალკე. რაც შეეხება აზერბაიჯანს, საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რამეთუ იგი ორი ერთნაირ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თანამშრომლობაა; მათ ერთნაირად ეხებათ რეგიონული პრობლემები; ორივე გარდამავალი ეკონომიკის, მცირე, ღია ეკონომიკაზე ორიენტირებული ქვეყანაა; ერთმანეთთან გერიგორიული სიახლოვე ამ ქვეყნებს მეტ შესაძლებლობას აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღონ TRACECA-ს პროექტში, ამ პროექტიდან მოსალოდნელი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტები ორივე ქვეყნისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ბაქო-თბილისი-სუფსა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენები საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული სტრატეგიული თანამშრომლობის ობიექტებია.

განვითარებული ქვეყნებიდან, საქართველოს პარგნიორებს შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება აშშ, ინგლისს და გერმანიას. კელავ აქტუალურია TRACECA. აშშ-მა ამ პროგრამის ჩარჩოებში თავის თავზე აიღო ევროპა-აზიის საგრანსპორტო ღერუფნის უსაფრთხოების დაცვა [72]; რისთვისაც ჯერ კიდევ 1998 წელს დაგეგმა საქართველოს ერთ-ერთი პორტში ამერიკული სამხედრო

ნაწილების განლაგება და ნაგოს სამხედრო საზღვაო ძალების შემადგენლობიდან საქართველოს ცენტრალურ ნაწილში სამხედრო-საგრანსპორტო თვითმფრინავების განთავსება.

საქართველოს მხარისთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნების ფინანსური დახმარება, არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის რეგულირებაში და მაკროეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფაში.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ გააქტიურდა თანამშრომლობა მეზობელ თურქეთთან, საქონელითა და მომსახურებით საგარეო ვაჭრობის, ერთობლივი საწარმოების, რეგიონული და სტრატეგიული თანამშრომლობის სფეროებში. საზღვრების გახსნისთანავე საქონელგაცვლით ოპერაციებს საქართველო ძირითადად აწარმოებდა თურქეთთან. გადიოდა ლითონები, ხე-ტყე, ელექტროენერჯია და სხვა სახის პროდუქცია და შემოდის პირველადი მოხმარების საქონელი ფართო ასორტიმენტით. თურქი პარტნიორების თანამონაწილეობით საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრაცია გაიარა უამრავმა ერთობლივმა საწარმომ. საქართველოს და თურქეთს ერთმანეთთან დააკავშირებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი. TRACECA-ს პროგრამის მხარდასაჭერად [72] 1999 წელს თურქეთის მხარემ დააფინანსა საქართველო-თურქეთის ერთობლივი სამხედრო - საზღვაო წრთვები, ფოთში და ბათუმში, სადაც განლაგებულია ნავთობის გერმინალები, კასპიის ადრეული ნავთისთვის. სამხედრო-საზღვაო სწავლება ითვალისწინებდა ხომალდების ბლოკირებას, ნავთობის გერმინალებისთვის საურთხის შექმნის შემთხვევაში.

გარდა ცალკე აღებული ქვეყნებისა საქართველო აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ანაც კერძოდ, საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მაკროეკონომიკური პოლიტიკის სუეროში, მსოფლიო ბანკიდან სტრუქტურული პოლიტიკის სუეროში, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციებთან საგარეო ვაჭრობის სუეროში [12].

საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, ორივე, წვერ-ქვეყნებთან თანამშრომლობს შეთანხმებულად. საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი რომელიმე ქვეყანაში შეაჩერებს ან შეწყვეტს საქმიანობას, მსოფლიო ბანკიც მაშინვე აჩერებს ან წყვეტს ასეთი ქვეყნის დაფინანსებას.

საქართველო საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის წვერი ქვეყანა გახდა 1992 წელს, 0,08% (111,0) წილით [29, გვ.355] ბანკისა და ფონდის საერთო წესების მიხედვით საქართველოს ერთი წელში შეეძლო მიეღო საკუთარი კვოტის 68% და 300% შემდგომ სამ წელში გრანშების სახით, რაც მოხმარდებოდა ქვეყანაში მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევასა და საფინანსო სისტემის შექმნას.

* საერთაშორისო სავალუტო ფონდი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ამოქმედდა 1945 წ., ბრეტონ-ვუდსში (შტატი ნიუ-ჰემპშირი, აშშ) 1944 წ. მიღებული „დასკენითი აქტის“ საფუძველზე შეიქმნა. „დასკენითი აქტი“ საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის შესახებ ე.წ. შეთანხმების მუხლებს მოიცავდა. ეს „მუხლები“ ასრულებდნენ ამ ორგანიზაციების წესდებათა როლს... რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკმა თავისი საქმიანობა 1946 წ. დაიწყო. მას და მასთან შექმნილ საერთაშორისო ასოციაციას მსოფლიო ბანკი დაერქვა [29, გვ.64-65].

ბანკისა და ფონდის წევრობამ საქართველოს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ქვეყანას, შესაძლებლობა მისცა გამოეყენებინა ამ საფინანსო ინსტიტუტების გამოცდილება.

- საერთაშორისო აღიარების მოპოვებაში,
- მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევაში,
- რეფორმების გაგარებაში,
- მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრირების ვმების მოძიებაში.

ყოველივეს, უპირველეს ყოვლისა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს წევრობას, ფონდმა და ბანკმა ხელი ყოველმხრივ შეუწყო მათი დეიდეოლოგიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის იდეის აგიტაციის მიზნით. ფონდმა და ბანკმა პრაქტიკულად შეძლო, საბაზრო ეკონომიკის იდეით, 1) გაუთვალისწინებელი (არაპროგნოზირებადი) ზემოქმედებისგან დაეცვა უკვე წევრი ქვეყნების ეკონომიკური სისტემები და არა მარტო ეკონომიკური სოციალური და პოლიტიკური, 2) განეხორციელებინა საბჭოთა ეკონომიკური სისტემის დემონტაჟი.

ხშირად გაეიგონებლით და გაეიგონებთ თითქოს ჩვენს ქვეყანაში აღმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა შეცვალა საბაზრო ეკონომიკამ. უნდა ითქვას, რომ ეს წარმოდგენელია, რამეთუ ცენტრალიზაცია, აღმინისტრირება, დავალებათა შესრულების სავალდებულობა ზემოქმედების ფორმებია მსოლოდ და არა ეკონომიკური სისტემის დამახასიათებელი ნიშნები. ისინი გარკვეული ზომითა და ფორმით გამოიყენება ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი ორიენტაციის ეკონომიკაში, გამომდინარე კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წითარებიდან. ამდენად, სინამდვილეში ცენტრალიზებული აღმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკა კი

არ შეეცვალეთ საბაზრო ეკონომიკით, არამედ საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკიდან მოვინდომეთ საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკაზე გადასვლა, გასაღების ორიენტაციის ეკონომიკის გვერდის ავლით, რამაც გამოიწვია: ეკონომიკურ სისტემაზე საერთოდ და მათ შორის საწარმოო დონეზე სპეციალისტთა შემზღვევლი ცოდნისა და შესაძლებლობების წარმოჩინება (შეუძლებელი იყო დამოუკიდებელი მომარაგება-გასაღება, უცნობი იყო რეალური ფასები, არ არსებობდა დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის გამოცდილება და ა.შ.), პროდუქციის უკონტროლო მოძრაობა, ძირითადად ქვეყნის საზღვრების გაელით; საწარმოების გაჩერება და უმუშევრობის ზრდა; ინფლაციური პროცესები (ფასების ლიბერალიზაცია); უმძიმესი სოციალური ფონი, ანუ მოკლედ, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა (და არა მარგო ეკონომიკური) - შედეგი განვითარების ბუნებრივი გზიდან გადახვევისა.

იმის გამო, რომ საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკაში მიწოდება ნაკარნახეია და გაწონაწონებულია მოთხოვნით, საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკაში კი მოთხოვნა უგულვებელყოფილია, აუცილებელი იყო გასაღების ორიენტაციის ეკონომიკა, რათა დაგვევსოვებინა სათანადო ცოდნა და გამოცდილება მოთხოვნის შესახებ (მოთხოვნის ფორმირების შესახებ) და შემდეგ, როცა ამის დრო დადგებოდა, გადავსულიყავით საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკაზე.

ბუნებრივია ისმის კითხვა: გასაღების ორიენტაციის ეკონომიკის გზას თუ ავირჩევდით, რა დადებით ეფექტებს მივღებდით, ან რას დაეკარგავდით ისეთს, რაც საბაზრო ორიენტაციის ეკონომიკის არჩევით (ნახტომით) მივიღეთ? ცხადია არაფერს არ დაეკარგავდით, პირიქით თაქს აჟარდებდით სტრატეგიული დარგების ფუნქციონირების

თავისებურებების გაუსყვალისწინებლობით თავსმოსხვეულ სოციალურ-ეკონომიკურ და სამოვადობრივ-პოლიტიკურ პრობლემებს.

ამასთან, არათუ გასაღების ორიენტაციის ეკონომიკის არჩევის შემთხვევაში, არამედ თვით საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკად დარჩენის შემთხვევაშიც მთელ ძალისხმევას თუ მოვახმარდით საწარმოების არა მასიურ გაჩერებას, არამედ მათი ფუნციონირების უზრუნველყოფას, აუცილებლად დაგვჭირდებოდა დახმარება და თანადგომა ქვეყნის გარედან, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს ეკონომიკა წარმოადგენდა ერთიანი საბჭოთა ეკონომიკური სისტემის შემადგენელ ნაწილს და საჭირო იყო მისი გადაყვანა ეკონომიკურ კავშირთა ახალ სისტემაზე. ვარე სამყაროსთვის პატარა ქვეყნის დახმარება არაერთარ პრობლემას არ წარმოადგენდა იმ პირობებშიც კი, როცა უცხოეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს არ გააჩნდათ სრული ინფორმაცია სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ სისტემებზე, არ ჰქონდათ მათთან მუშაობისა და თანამშრომლობის გამოცდილება, როცა გასატარებელი იყო პოლიტიკური რეფორმა. საქართველოსთანა პატარა ქვეყანას ეკონომიკური განვითარების გზის არჩევანი შეუზღუდავი აქვს.

ამრიგად, საწყისი ეტაპის ძირითადი ამოცანა იყო საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკის რეალურ შესაძლებლობებში გარკვევა და პარალელურად მზადება გასაღების ორიენტაციის ეკონომიკაზე გადასასვლელად. ასე თუ მოვიქცეოდით, ჩვენ ბაზარზე არ მოიყრიდა თავს ამდენი უხარისხო და ძვირადღირებული პროდუქცია, თანაც უცხოური, შენარჩუნებული იქნებოდა სამუშაო ადგილები, არ მოხდებოდა მიგრაცია ისეთი მასშტაბით, როგორც ახლა და რაც მთავარია თავიდან ავიცილებდით არსებულ უმძიმეს სოციალურ მდგომარეობასა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

საქართველოს ეკონომიკური სისტემა არის მცირე, ამჟამად ე.წ. ღიაზე ორიენტირებული, გააჩნია დიდ და მცირე ეკონომიკებთან თანაარსებობის მრავალწლიანი პრაქტიკა, ხასიათდება წარმოების ფაქტორთა მოძრაობის მობილურობით. სავალდებულოა მის განვითარებაში ყოველგვარი „ნახტომისთვის“ თავის არიდება, მკიდრო თანამშრომლობა პარგნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უკვე დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით. აუცილებელია გარედან არა მარტო ფინანსური დახმარება, არამედ ხელშეწყობა და მხარდაჭერა გასაღების სტიმულირებაში, განსაკუთრებით უკანასკნელი, მას შემდეგ რაც ქვეყანაში გამოვლენილი იქნება სრულად საწარმოო ორიენტაციის ეკონომიკის შესაძლებლობები.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების მონიგორინგსა და რეგულირებას ახორციელებს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია*.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილ საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, საქართველო წევრია შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების [12]:

*. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO) დაუქმდა 1995 წლის 1 იანვარს, მას შემდეგ რაც გარიყებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური შეთანხმების წევრმა ქვეყნებმა 1993 წლის 15 დეკემბერს დაამთავრეს ურუგვაის რაუნდის მოლაპარაკებები. მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია არის ურუგვაის რაუნდის დროს მიღებული გადაწყვეტილებების შედეგი და გარიყებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალური ხელშეკრულების შემკვიდრე [34].

1. შრომის საერთაშორისო ოფისი.
2. ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია.
3. მსოფლიო ბანკის ჯგუფი:
 - რესტრუქტურის და განვითარების ბანკი;
 - განვითარების საერთაშორისო ასოციაცია;
 - საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაცია;
 - მრავალმხრივი ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო.
4. საერთაშორისო საეკონომიკური ფონდი.
5. გაეროს ეკონომიკური კომისია ევროპისთვის.
 - გრანსევეროპული საავტომობილო მაგისტრალის პროექტი;
6. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო კავშირი.
7. მსოფლიო საფოსტო კავშირი.
8. ელექტროკავშირგაბმულობის საერთაშორისო ორგანიზაცია.
9. მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია.
10. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია.
11. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.
12. გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაცია.
13. გაეროს ვარკობისა და განვითარების კონფერენცია.
14. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია.
15. მსოფლიო საეაქრო ორგანიზაცია.
16. გაეროს სასურსათო და სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაცია.
17. მსოფლიო სასურსათო პროგრამა.
18. საერთაშორისო საეაქრო ცენტრი.
19. სასოფლო-სამეურნეო განვითარების საერთაშორისო ფონდი.
20. გაეროს ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების კონტროლის საერთაშორისო პროგრამა.

21. გაეროს გარემოს დაცვის პროგრამა.
- ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია.
22. კონვენცია კლიმატის ჩარჩო.
23. გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის პროგრამა.
- იუნესკოსთან არსებული მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი.
24. გაეროს განვითარების პროგრამა.
25. საერთაშორისო სამღვათიანთა თანამშრომლობის ორგანიზაცია.
26. ქიმიური იარაღის აკრძალვის მოსამზადებელი კომისია.
27. მრავალმხრივი ინვესტიციების საგარანტიო სააგენტო.
28. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.
29. მსოფლიო საფოსტო კავშირის რუსული ლინგვისტური ჯგუფი.
30. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპის ბანკი.
31. საბაჟო თანამშრომლობის საბჭო.
32. თანამშრომლობის ელექტროკავშირგაბმულობის ევროპული ორგანიზაცია.
33. საერთაშორისო საგზაო მოძრაობის ორგანიზაცია.
34. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია.
35. ევროპის საბჭოსთან არსებული ბუნებრივი საწარმოო კატასტროფების თავიდან აცილებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის თანამშრომლობის ჯგუფი.
36. სამოქალაქო დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია.
37. საერთაშორისო აკადემია.
38. ფესბურთის საერთაშორისო შედეგადა.
39. ევროპის ფესბურთის ასოციაციების გაერთიანება.
40. კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

ცია.

41. შაქრისა და ხორბლის ლონდონის საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია.

42. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობა.

43. შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი.

44. შავი ზღვის დაცვის პროგრამა (ბუქარესტის კონვენცია).

45. შავი ზღვის რეგიონის არქიტექტორთა ფორუმი.

46. ინგასი.

საქართველოს შეუძლია შექმნას სტაბილური ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების გარანტიები კავკასიაში და ევროპაში. ამ მიზნით კიდევ უნდა გაფართოვდეს მისი თანამშრომლობა აზერბაიჯანთან და სომხეთთან, უკრაინასა და რუსეთთან, აშშ-სთან და ევროკავშირის ქვეყნებთან, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

VIII. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის მართვა-რეგულირება და საგარეო ეკონომიკური მონაწილეები (საქართველოს მატალითზე)

განასხვავებენ პროტექციონისტულ და ლიბერალურ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას. პროტექციონისტულ (ადმინისტრირებულ) საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებენ განვითარებადი ქვეყნები და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, ლიბერალურს (თავისუფალს) კი განვითარებული ქვეყნები. პროტექციონისტული მიდგომა გულისხმობს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის მართ-

ეას აღმინისტრაციული მეთოდებით, ლიბერალური კი საგარეო ეკონომიკური კომპლექსის რეგულირებას უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით*.

* იხ. [66, გვ. 29-31]. „მართეა, როგორც ზოგადი და უნივერსალური ცნება ნიშნაეს გემოქმედებას სუბიექტებზე და მათგან - მათი საქმიანობის შედეგებზე. მართვის შინაარსი განისაზღვრება მართვის სფეროთი (საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, მრეწველობა, გრანსპორტი და ა.შ.) და მართვის ღონით (სახელმწიფო, რეგიონული, დარგობრივი, საწარმოო და ა.შ.) მართეა ნებისმიერ სფეროში და ნებისმიერ ღონებზე მოიცაეს მრავალფეროვან ურთიერთობებს და იმყოფება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გემოქმედების ქვეშ. მართვის ხასიათი, მეთოდები და პრინციპები განისაზღვრება კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პირობებით ქვეყნის განვითარების შესაბამის ეტაპზე.

ბაზრის პირობებში იცვლება სახელმწიფოს გემოქმედების ხასიათი ეკონომიკაზე მთლიანად და მათ შორის საგარეო ეკონომიკურ საქმიანობაზეც. ის ღებულობს რეგულირების ფორმას, ე.ი. იქმნება განსაზღვრული პირობები ეკონომიკის და მისი შემადგენელი ნაწილების უუქტიანი უუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ძირითადად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით. რეგულირების ტერმინის გვერდით ვაჭრობისა და გარიყების შესახებ გენერალური ხელშეკრულება (GAAT)-ის ღოკუმენტებში მთელი რიგი ქვეყნები იყენებენ ტერმინს „რეგლამენტაცია“... საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება ფართოდ გამოიყენება მთელ მსოფლიოში“.

საგარეო ეკონომიკური კავშირების მართვის ცნება მოდის ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან, უმეტესად სსრკ-დან, რომელიც ძირითადად ავითარებდა საგარეო ვაჭრობის ფორმას და მასზე დაწესებული კქონდა სახელმწიფო მონოპოლია. სახელმწიფო განსაზღვრავდა პარგნიორული დამოკიდებულების წრეს, ექსპორტ-იმპორტის სტრუქტურას, ვაჭრობის პირობებს, ფასებს, აღრიცხვას, კონტროლს, ექსპორტიდან მიღებული შემოსაულებების განაწილებას და იმპორტის დაფინანსებას, იყენებდა არაეკონომიკურ მეთოდებს, საფინანსო მეთოდებს და არასაგარიფო ბარიერებს; გამორიცხავდა საექსპორტო პროდუქციის მწარმოებლების კავშირს მომხმარებლებთან და იმპორტის მომხმარებელთა კავშირს მის მწარმოებლებთან. მოგვიანებით, როცა დაიწყო საგარეო ეკონომიკური რეფორმა (გასული საუკუნის 80-იან წლებში) სახელმწიფოს ზრუნვის საგანი გახდა საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელთა დაკავშირება მათი პროდუქციის უცხოელ მომხმარებლებთან [26]. დაიწყო პირდაპირი კავშირებით დარგობრივი თანამშრომლობის ფორმის განვითარება. პირდაპირი კავშირებით დარგობრივ თანამშრომლობას მოჰყვა ერთობლივი საწარმოების შექმნა, უცხოეთიდან წარმოების ფაქტორების მოზიდვის მიზნით და აქტიური მსჯელობა სპეციალურ ეკონომიკურ ზონებზე.

შემდეგ დაიწყო პოლიტიკური სისტემის რეფორმირების პროცესი, რაც დასრულდა რესპუბლიკებისთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოების სტატუსის მინიჭებით. ეკონომიკაში რეფორმები შეეცალა საბაზრო ეკონომიკის იღვამ. სამეურნეო პრაქტიკაში შემოვიდა შესაბამისი ტერმინები, მათ შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების რეგულირება და სხვ.

მიმდინარე პერიოდში, საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკაში ობიექტური აუცილებლობაა პროტექციონისტული მიდგ-

ომა, რომელიც მომავალში თანდათანობით შეიცვლება ლიბერალურიით. აწმყოს აუცილებლობა (პროტექციონიზმი) და მომავლის სასურველობა (ლიბერალიზმი) ამართლებს საგარეო ეკონომიკური კავშირების მართივა-რეგულირების გერმინის ხმარებას.

საგარეო ეკონომიკური კომპლექსის მართივა-რეგულირებაში მონაწილეობენ ხელისუფლები უმაღლესი ორგანოები, რეგიონული და დარგობრივი ორგანოები, სპეციალიზებული ფირმები და ორგანიზაციები და საწარმოები, რომლებიც იწოდებიან საგარეო ეკონომიკურ მონაწილეებად. საგარეო ეკონომიკური მონაწილეები, ყველა თაყისი კომპეგენციის ფარგლებში ახორციელებენ მიბანსწრაფულ მემოქმედებას საგარეო ეკონომიკურ კომპლექსზე.

ხელისუფლების უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები წარმოდგენილია პრეზიდენტით და პრეზიდენტის აპარატი; საკანონმდებლო ორგანო პარლამენტით და აღმასრულებელი ხელისუფლება - მთავრობით.

ლიტერატურა

1. აბლაძე მ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საქართველოში მათი მოზიდვის პრობლემები. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი, 2002 წ. იანვარი, N 64

2. აბესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. სამეცნიერო შრომების კრებული: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. II, თბ., „მეცნიერება“, 2003

3. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., ჯაპავა ე., სილაგაძე ა., წერეთელი გ. მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები. თბ., „მეცნიერება“, 2003

4. არევაძე ნ., მიშინა ე. საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების თავისებურებები და საექსპორტო პროდუქციის ხარისხი. სამეც. შრ. კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარებს პრობლემები საქართველოში“, ტ. II, თბ., 2002

5. არჩუაძე მ. თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მომავალი საქართველოში ე. ეკონომიკა, 1995, N 4-6.

6. აქუბარდია თ. სახელმწიფო ქონების პრივატიზების ფორმების შესახებ. ე. საქ. მ. ეც. აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკის სერია, 2002, N 3-4.

7. აჩელაშვილი კ. დარგთაშორისი ბალანსის საფუძველზე დარგების ფუნქციონირების შედარებითი შეფასების ერთი მიდგომის შესახებ. ეკონომიკის აქტუალური საკითხები, ტ. V, თბ., თსუ, 1998

8. დათუკიშვილი ე. საბაზრო ეკონომიკის არსისა და მისი ჩამოყალიბების კანონზომიერებების გახსნისათვის. სამეც. შრ. კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000

9. ღათუნაშვილი ლ. საინჟინერინო კლიმატი საქართველოში. სამეც.მრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“. ტ.1, თბ., „მეცნიერება“, 2000

10. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკის ქართული მოდელი და მისი თაყისებურებანი. სამეც.მრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ.1, თბ., „მეცნიერება“, 2000

11. თოქმაზიშვილი მ.რეფორმები საქართველოში: მოკლე მაკროეკონომიკური და ინსტიტუციონალური ანალიზი. თბ., კეეპკ, 1997

12. კაკაბაძე ე. საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობანი თანამედროვე პირობებში (ნაწ.1), თბ., გამ. „ეკონომილი“, 1998

13. კაპანაძე ი.საინჟინერინო ბაზარი და მისი თაყისებურებანი. სამეც.მრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. ტ.1, თბ., „მეცნიერება“, 2000

14. კურატაშვილი ა. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ალტერნატიული მიმართულების მნიშვნელობა. სამეც.მრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ.1, თბ., „მეცნიერება“, 2000

15. ლეკაშვილი ე. საქართველოს საეკონომიკური ურთიერთობები ამიერკავკასიის ქვეყნებთან რეფორმების პირობებში (1991-1997 წწ.), თბ., თსუ გამომცემლობა, 2001

16. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. გადასახადები და დაბეგვრა. თბ., ფსკი, 2002

17. მექვაბიშვილი ე. სახელმწიფო და ეკონომიკა. თბ., თსუ, 1995

18. ნათელაური ი. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის ფორმები. განხილვათა კრებული, თბ., თსუ,

1997

19. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური სტატისტიკა საქართველოში 1980-1995, ე. საქართ.მეც.აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკის სერია, 1997, N 1-2

20. ნათელაური ი. ბაზრის წონასწორობის მოდელი და ინფლაცია. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000

21. ნათელაური ი. ფულის ბაზრის წონასწორობის პირობები და საგარეო ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაციის ზოგიერთი აქტუალური პრობლემა საქართველოში. ე. „ბუღალტრული აღრიცხვა“, 2000, N 2

22. ნათელაური ი. ეკონომიკური სისტემების ბუნებრივი განვითარების გზა. ე. „პროგრესი“, 2001, N1-2

23. ნათელაური ი., გურაშვილი ნ. მცირე ღია ეკონომიკური სისტემების დაბალანსებული განვითარება და საგარეო სექტორის უნივერსალურობის ფუნქცია. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. II, თბ., „მეცნიერება“, 2002

24. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მაკროეკონომიკური შედეგები მცირე ღია ეკონომიკის ქვეყნებში. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. III, თბ., „მეცნიერება“, 2003

25. ნათელაური ი. საგარეო ვაჭრობის მოდელები და მათი როლი მაკროეკონომიკური წონასწორობის მიღწევაში. ე. საქართ. მეც. აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკის სერია, 2003, N 3

26. ნათელაური ი. ერთობლივი საწარმოების შექმნისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში. თბ., „21-ე საუკუნე“, 1992

27. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური რეფორმა და

თანამედროვეობა, ე. „პოლიტიკა“, 1990, № 12

28. პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. თბ., 2002

29. პაპავა ვ. საერთაშორისო საეკონომიკო უონდი საქართველოში: მიღწევები და შედეგები. თბ., 2000

30. რაზმაძე ნ. თანამედროვე საქართველოს საგარეო ვაჭრობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებთან. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. II, თბ., „მეცნიერება“, 2002

31. რევიშვილი ზ. ავროსამრეწველო სექტორის როლი მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციაში. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, ტ. I, თბ., „მეცნიერება“, 2000

32. საეკონომიკო კრიზისი (ლარის დევალუაციის მიზეზები და მოსალოდნელი შედეგები). საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 1999

33. საქართველოს მსოფლიო საეკონომიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანების შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი, თბ., 2001

34. საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების ცენტრის CEPAR-ის ინიციატივა „რას წარმოადგენს მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია“.

35. ყუიქრიშვილი მ. საქართველოში თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნის მნიშვნელობა საგარეო ვაჭრობის განვითარებაში. თბ., „მეცნიერება“, 1998

36. ყორღანაშვილი ლ. საერთაშორისო საეკონომიკური ურთიერთობები, თბ., 1997

37. შევარდნაძე ე. დიდი აბრეშუმის გზა. თბ., „მეცნიერება“, 1999

38. ჩიქავა ლ. საქართველოს ეკონომიკა, თბ., „მერიდიანი“, 1997

39. წერეთელი გ., ნათელაური ი. თავისუფალი ეკონომიკური ზონები და მათი შექმნის შესაძლებლობები საქართველოში ე.საქართ.მეც.აკადემიის „მაცნე“, ეკონომიკის სერია, 1999, N 1.

40. წერეთელი გ. ეკონომიკურ მათემატიკური მეთოდების საფუძვლები და მათი ეკონომიკაში გამოყენების ზოგიერთი პრაქტიკული ასპექტი. თბ., „მეცნიერება“, 1999

41. წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ფუნქციანობის შეფასების საკითხისათვის. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, გ.III, თბ., „მეცნიერება“, 2003

42. ხალური ნ. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების არაეკონომიკური ფაქტორები. სამეც.შრ. კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, გ.III. თბ., „მეცნიერება“, 2003

43. ჯიბუგი მ. მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრირების უახლესი ისტორია და პერსპექტივები. ეკონომიკის აქტუალური საკითხები, გ.XVI, თსუ, 2001

44. ჯოლია გ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ., „მეცნიერება“, 1998

45. ჯოლობავა თ. საბაჟო ეკონომიკის თეორიის აქტუალური პრობლემები და კვლევის მეთოდოლოგია. სამეც.შრ.კრ.: „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში“, გ.III, თბ., „მეცნიერება“, 2003

46. Авдокушин Е.Ф. Международные Экономические отношения. М., 1999

47. Буглай В.Б., Ливенцев Н.Н. Международные Экономические отношения. М., "Финансы и статистика", 1996

48. Валютная политика капиталистических стран.

М., Наука, 1990

49. Гаврилова Т.В. Международные экономические отношения. Новосибирск, 1998

50. Иностраннные инвестиции в экономике России: история и современность. М.,РАН ИНИОН,1995

51.Киреев А. Международная экономика. М., "Международные отношения", Т. 1,2, 1998,1999

52. Кудряшова И.В. Становление взаимоотношений России и МВФ и МБРР. Волгоград,1997

53. Леонтьев В. экономические эссе. М., изд-во Политической литературы, 1990

54. Леонтьев В. Межотраслевая экономика. М., экономика,1997

55. Линдерт П.Х. Экономика мирохозяйственных связей. М., "Прогресс", 1992

56. Ломакин В. К. Мировая экономика, М., "финансы",1998

57. Маркелова Е.Ю.,Мамон В.М., Котикова А.Б. Международные экономические отношения. С. Петербург,1997

58. Маркетинг во внешне экономической деятельности предприятия. М. Внешторгиздат,1990

59. Международные экономические организации: опыт и перспективы. Казан,1997

60. Место национальной экономики в системе мирохозяйственных связей. М. РАН ИНИОН,1996

61.Миронов Н.В. Внешние связи министерств, объединений и предприятий. М.,Юридическая литература, 1986

62. Митрофанов А.В. Шаги современной геополитики. М.,1997

63. Мэнкью Н.Г. Макроэкономика,М.,МГУ, 1994

64. Никифорова Н.В. Услуги в системе мировой торговли. М., ИНИОН РАН, 1990
65. Россия - СНГ - Азия: проблемы и перспективы сотрудничества. М., 1993
66. Рубинская Э.Т. Управление внешнеэкономической деятельности. М. Экспертное бюро, 1998
67. Сергеев П.В. Мировое хозяйство и международные экономические отношения. М.; Новый юрист, 1998
68. Совместное предпринимательство в современной международной экономике. М. РАН ИНИОН, 1991
69. Тенденции мирового экономического развития. Приложение к журналу "МЭ и МО", М., "Наука", 1991
70. Финансовые отношения между странами бывшего Советского Союза: Экономический обзор. МВФ, 1994, №1
71. Харрис Л. Денежная теория. М., Прогресс, 1990
72. Чернявский С. "Великий шелковый путь" и интересы России. ж. "МЭ и МО", 1999, №6
73. Экономическая теория национальной экономики и мирового хозяйства. М., 1998

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირების საკითხი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სინამდვილის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემაა.

პრობლემის სირთულეს განაპირობებს რამოდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფერო ეკონომიკის სხვა სფეროებთან შედარებით უფრო მეტად პოლიტიზირებულია, მეორეც, კვლევის ობიექტი - საგარეო ეკონომიკური კომპლექსი - უკიდურესად მრავალწახნაგოვანია: 1. აქვს მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ასპექტები; 2. მოიცავს ვაჭრობას საქონელით (სასაქონლო ჯგუფების, ქვეყნების და პროდუქტთა სახეების ჭრილში) და მომსახურებით (კომპიუტერული და ინფორმაციული მომსახურება, საფინანსო-სადაზღვევო მომსახურება, მომსახურება მშენებლობის, განათლების, ჯანდაცვის სფეროებში, საგრანსპორტო მომსახურება და ტურიზმი, ბიზნეს მომსახურება, სამთავრობო მომსახურება და ა.შ.), მარტო WTO-ს კლასიფიკაცია 600-ზე მეტი დასახელების მომსახურებას მოიცავს. დარგი ახალია და გაცვლის ობიექტი სპეციფიკური; 3. ქვეყნებს შორის თანამშრომლობა განიხილება ერთი საწარმოს მასშტაბითაც (ერთობლივ საწარმოებში), განსაზღვრულ გერიგორიაზეც (თავისუფალ ეკონომიკურ ზონებში), ცალკეულ ქვეყნებს შორისაც, ინტეგრაციულ ბლოკებშიც, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციების (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია, გაერო, ევროკავშირი) დაკვირვების, მონიტორინგისა და რეგულირების რეჟიმშიც. 4. ყოველივეს ემატება სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები და წარმოების ფაქტორების (კაპიტალი, შრომა, ტექნოლოგიები) ქვეყნებს შორისი გაცვლა. 5. და ბო-

ლოს, ისევე როგორც ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში, აქაც ცალკე პრობლემაა ინფორმაციული უზრუნველყოფა აღრიცხვა-ანგარიშგება, სტაგისტიკა, კონტროლი, მართვარეგულირება და ა.შ.

ყოველივეს გათვალისწინებით ჩვენ შევეცადეთ საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსი წარმოგვედგინა ჯერ ზოგადად, შემდეგ მისი სტრუქტურა განვიხილეთ ვრცლად და ზოგიერთი ელემენტი სიღრმისეულად, რამდენადაც ამის შესაძლებლობა მოგვცა ნაშრომის მოცულობამ.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსი წარმოადგენს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმების, მართვა-რეგულირების მეთოდების, მიმართულებებისა და საგარეო ეკონომიკური მონაწილეების ერთობლიობას; ეფუძნება უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის უპირატესობების გამოყენებას; ემსახურება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების პრაქტიკულ რეალიზაციას.

ზოგადად, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმებია: ა). გრადიციული ფორმები, ბ). ახალი ფორმები, გ). სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები; მართვა-რეგულირების მეთოდები იყოფა საგარიფო, არასაგარიფო, ფინანსურ და არაეკონომიკურ მეთოდებად; მიმართულებებში განიხილება თანამშრომლობა ა). ერთნაირი და განსხვავებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობის ქვეყნებს შორის, ბ). საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების წევრ-ქვეყნებს შორის; გ). ინტეგრაციული ბლოკებით და მათ გარეშე; რაც შეეხება საგარეო ეკონომიკურ მონაწილეებს, მათ წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობენ საგარეო ეკონომიკურ გარიგებებში, ახ-

ორციელებენ ან საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებს, ან მათ კონტროლს, მართვა-რეგულირებას და ა.შ.

საგარეო ეკონომიკური კომპლექსი წარმოადგენს ქვეყნის სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის ორგანულ შემადგენელ ნაწილს და ამდენად მისი განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს ეს უკანასკნელი საკუთარი მიზნებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე, დროის მოცემულ მომენტში.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კომპლექსის სტრუქტურასა და განვითარების თავისებურებებს განსაზღვრავს შემდეგი: 1. საქართველო გერიგორიულად პატარა, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოპოლიტიკური უპირატესობების ქვეყანაა. 2. იგი განეკუთვნება ვარდამავალი ეკონომიკის სტაგუსის მქონე ქვეყნების რიცხვს, 3. წლების მანძილზე საქართველო ვითარდებოდა გერიგორიულად დიდი, რესურსებით მდიდარი, პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნის სსრკ-ს შემადგენლობაში. 4. ამჟამინდელი საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები ორიენტირებულია მცირე ღია ეკონომიკური სისტემის შექმნაზე, 5. ღია ეკონომიკის შექმნის გზაზე საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მსგავსი სასტარტო პირობები გააჩნია. 6. იმისთვის, რომ საქართველომ შეძლოს მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაცია და მსოფლიო ბაზარში მონაწილეობა სჭირდება: სავაჭრო შეღავათები, ფართო გექნიკური დახმარებები და მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გრადიციული ფორმებიდან საქართველო უმეტესად ავითარებს საგარეო ვაჭრობას; დიდი პერსპექტივა აქვს სამეცნიერო-გექნიკურ თანამშრომლობას და უცხოურ ტურიზმს. ახალი ფორმებიდან საქართველოს გარკვეული

გამოცდილება გააჩნია ერთობლივი საწარმოების შექმნაში; წლების მანძილზე მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სპეციალური ეკონომიკური ზონების მიზანშეწონილობის დასაბუთების საზიო. რაც შეეხება სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობებს, მასში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ვალუტების ყიდვა-გაყიდვა, სავაჭრო კრედიტები, მიგრანტების გრანსფერები, სავაჭრო ვალები და გრანტები.

იმის გამო, რომ საქართველოში, პოლიტიკის პრიორიტეტია, დაბალია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, მაღალია უმუშევრობა, დაძაბულია სოციალური ფონი, მაკროეკონომიკური წონასწორობა მიიღწევა ფიქსირებული სავალუტო კურსით, საგადამხდელო ბალანსში მიმდინარე ოპერაციების ანგარიში, მათ შორის, სავაჭრო ბალანსი ქრონიკული დეფიციტის მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება. სავაჭრო ბალანსის დეფიციტს ემატება ექსპორტ-იმპორტის არასასურველი სტრუქტურა - სანედლეულო ექსპორტი და ფართო მოხმარების საქონელით წარმოდგენილი იმპორტი. ამასთან აუცილებელია ითქვას ისიც, რომ ფართო მოხმარების საქონელის იმპორტს ამჟამად საქართველოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ მასზეა დამოკიდებული ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ბედი. იმპორტმა საქართველოში სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა შეიძინა და ასე გაგრძელდება მანამ სანამ ქვეყანაში პოლიტიკის პრიორიტეტს არ შეცვლის ეკონომიკის პრიორიტეტია. ქვეყნები, რომლებშიც პრიორიტეტულია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები გამოირჩევიან ეკონომიკური ზრდისა და დასაქმების მაღალი დონით, ინვესტიციების ზრდასთან დაკავშირებული საგადამხდელო ბალანსის დეფიციტით, მცოცავი სავალუტო კურსით და საგადამხდელო ბალანსის რეგულირებით ავტომატურ რეჟიმში.

საგარეო ეკონომიკური კავშირების მართვა-რეგულირების მეთოდები საქართველოში პრიმიტიულია. ჯერ მარგო, საგარიფო მეთოდები წარმოდგენილია თითქმის უსიფიცირებელი საბაჟო გარიფით იმპორტზე.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური კავშირების გეორგაფია და პარტნიორთა წრე განსაკუთრებული განსჯის საგანია. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა საქართველოსთან აქტიურად მოთანამშრომლე ათი ქვეყანა: რუსეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, შვეიცარია, იტალია და ბულგარეთი. თვალს თუ გადავაულებთ ამ ქვეყნების სამოგალოებრივ-პოლიტიკურ მოწყობას, მათ შორის დაეინახაეთ განვითარებულ ქვეყნებსაც, განვითარებად ქვეყნებსაც და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებსაც. თითოეული ქვეყანა საქართველოსთან თანამშრომლობაში ქმნის განსხვავებულ მიმართულებას და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს - ურთიერთმოთხოვნებით, ურთიერთყალდებულებებით, თანამშრომლობის ფორმებით, პრინციპებით და შედეგებით.

